ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ცოტნე ჟღენტი

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

თბილისი
2019

აბსტრაქტი

ინსტიტუციური ეკონომიკა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური ნაწილია. ინსტიტუციური ეკონომიკის ერთ-ერთი საინტერესო კვლევის საგანი პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური ანალიზია, სადაც ძირითადი ყურადღება ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ინსტიტუციებს ენიჭებათ. საქართველომ გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისკენ ტრანსფორმაცია ადრეულ ოთხმოცდაათიანებში დაიწყო, თუმცა ინსტიტუციურ ცვლილებათა პროცესი კვლავაც აქტუალურია.

სადისერტაციო კვლევის მიზნებია: ინსტიტუციური განვითარების დონის შეფასება საქართველოში პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ჭრილში. ასევე, განსხვავებული ინსტიტუტების განვითარების დონის შეფასება საქართველოში, ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის კავშირების აღმოჩენა საქართველოს ეკონომიკაში, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენის შეფასება საქართველოს რეალურ ეკონომიკაზე.

კვლევის მიზნების მისაღწევად, განხორციელდა თანამედროვე ინსტიტუციური ინდექსების შესწავლა ინსტიტუციურ თეორიულ კლასიფიკაციებზე დაყრდნობით, ასევე სტატისტიკური მეთოდების საშუალებით, სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის კავშირების დადგენა კორელაციური და შედარებითი ანალიზის გამოყენებით.

სადისერტაციო კვლევის პრაქტიკული შედეგად შეიძლება ჩაითვალოს კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ როგორც უშუალოდ ინსტიტუციურ ცვლადებს, ასევე ინსტიტუციურ ცვლადებს შორის კავშირს და კავშირებს ინსტიტუციურ და რეალურ ეკონომიკის ინდექსებს შორის. პროექტის შედეგები საინტერესოა როგორც საქართველოსთვის, ასევე სხვა პოსტ ტრანსფორმაციული ქვეყნებისათვის. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება არის საქართველოში ინსტიტუციური ცვლილებების და ტრანსფორმაციული პროცესების შესახებ პრაქტიკული კვლევების თანამედროვე მიდგომებით შევსება.

Abstract

Institutional economics is one of the important part of modern economic theory. Characteristics of Institutions in Post communist transition countries are very interesting topics for Institutional Economics. Georgia started transition from planned to market economy in early 90s but institutional change process is still very actual for society.

Main goals of the research are: to evaluate level of institutional development of different institutions in the Georgia and to compare to other post-transition countries, to discover interactions between the formal and informal institutions in the economy, to determine the institutional impact on the real economy.

To reach the goals main objectives were to use modern institutional classifications, to review institutional indicators and to use statistical methods for evaluating interactions between institutional and real economic variables including correlation analysis.

The practical outcome of the research are coefficients describing level of institutional groups, relationships between institutional variables and interactions between institutional and macroeconomic variables. The most important scientific outcome of the research is to fill practical researches about institutional change processes in Georgia. Research results should be important for public governance and for private sector.

შინაარსი

შესავალი 9

თავი I. ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და მიმდინარე გამოწვევები 17

1.1. ინსტიტუციური ეკონომიკის საფუძვლები და ინსტიტუტები ტრანსფორმაციის პროცესში 17

1.2. ინსტიტუციური ჯგუფების კლასიფიკაციის ორგანზომილებიანი მოდელი .. 49

1.3. ინსტიტუციურ ცვლილებათა თანამედროვე გამოწვევები 58

თავი II. ეკონომიკური ტრანსფორმაცია და ინსტიტუციური ცვლილებები 70

2.1. ინსტიტუციურ ცვლილებებათა მახასიათებლები 70

2.2. ინსტიტუციური ცვლილებების მახასიათებლები და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია 77

2.3. საქართველოს ეკონომიკური და ინსტიტუციური გარემოს სიტუაციური ანალიზი 83

თავი III. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირები და მათი კავშირი ეკონომიკურ ზრდასთან 105

3.1. კვლევის მეთოდოლოგია 105

3.2. ინსტიტუციურ ჯგუფების და მათ შორის კავშირების შეფასება საქართველოსა და პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში 125

3.3. ინსტიტუციური ჯგუფები და რეალური ეკონომიკა - საქართველო და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკები 148

3.4 . ინსტიტუციური ჯგუფების რეალურ ეკონომიკაზე გავლენის შეფასება გლობალური ფინანსური კრიზისის ჭრილში 158

დასკვნები და რეკომენდაციები 164

დანართი 186

დანართი

დიაგრამა 2.1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში, 2000 წლის დოლარებში, 1968-2018 წლები. 85

დიაგრამა 2.2. ინფლაცია საქართველოში, 1992-1995 წლები. 87

დიაგრამა 2.3. ტრანსფორმაციის ინდიკატორები საქართველოში, 1996-2014 წლები...92

დიაგრამა 2.4. ფასების ლიბერალიზაციის ინდიკატორი, 1991-2014 წლები. 94

დიაგრამა 2.5. მცირე საწარმოთა პრივატიზაციის ინდექსი, 1991-2014 წლები. 95

დიაგრამა 2.6. მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის ინდექსი, 1991-2014 წლები. 96

დიაგრამა 2.7. ვაჭრობის და ფინანსური ბაზრის განვითარების ინდექსი, 1991-2014 წლები. 97

დიაგრამა 2.8. სახელმწიფო მმართველობის და კომპანიების რესტრუქტურიზაციის ინდექსი, 1991-2014 წლები. 98

დიაგრამა 2.9. კონკურენციის პოლიტიკის ინდექსი, 1991-2014 წლები....99

დიაგრამა 2.10. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდიკატორები საქართველოში, 2008-2018 წელი....101

დიაგრამა 3.1 ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მატრიცა....107

დიაგრამა 3.2. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოში (1-7, 2018 წლები). 126

დიაგრამა 3.3. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოში (1-7, 2008-2018 წლები). 128

დიაგრამა 3.4. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების ცვლილება საქართველოში (1-7, 2008-2018 წლები). 130

დიაგრამა 3.5. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (1-7, 2018 წლები). 132

დიაგრამა 3.6. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოსა და პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (1-7, 2018 წელი)....134

დიაგრამა 3.7. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის საქართველოში, 2008-2018 წლები....136

დიაგრამა 3.8. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციური ჯგუფებს შორის საქართველოსა და პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებს შორის, 2008-2018 წლები. 141
დიაგრამა 3.9. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყანათა ჯგუფებს შორის, 2008-2018 წლები. 145
დიაგრამა 3.10. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის საქართველოში, 2008-2018 წლები.....149
დიაგრამა 3.11. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის, საქართველო და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკები, 2008-2018 წლები. 154
დიაგრამა 3.12. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის, ქვეყანათა ჯგუფებისთვის, 2008-2018 წლები. 156
დიაგრამა 3.13. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის საქართველოში, პერიოდების მიხედვით. 159
დიაგრამა 3.14. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, პერიოდების მიხედვით. 161

დანართი

ცხრილი 2.1. წლიური ინფლაცია საქართველოში, 1992-1995 წლები. 88
ცხრილი 2.2. წლიური ინფლაცია საქართველოში თვეების მიხედვით, 1992-1995 წლები. 89
ცხრილი 2.3. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდექსები საქართველოში, 2018 წელი. 103
ცხრილი 3.1. პოტენციური ინსტიტუციური ინდიკატორების დახასიათება.....109
ცხრილი 3.2. ინდიკატორების განაწილება ინსტიტუციურ ჯგუფებში.....116
ცხრილი 3.3. ინსტიტუციური ჯგუფების იერარქიაში, პოზიციათა ჯამი, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, 2018 წელი.....133
ცხრილი 3.4. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში, 2008-2018 წლები. 138
ცხრილი 3.5. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის თითოეული პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკისთვის, 2008-2018 წლები. 141
ცხრილი 3.6. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, 2008-2018 წლები. 143
ცხრილი 3.7. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკათა ჯგუფებში, 2008-2018 წლები. 146
ცხრილი 3.8. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში 2008-2018 წლები.....150
ცხრილი 3.9. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, 2008-2018 წლები.....151
ცხრილი 3.10. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციის კოეფიციენტები, 2008-2018 წლები.....153

ცხრილი 3.11. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2008-2018 წლები. 157
ცხრილი 3.12. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში, პერიოდების მიხედვით. ..160
ცხრილი 3.13. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, პერიოდების მიხედვით. 162
ცხრილი 4.1 ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (1-7, 2008-2018 წლები). 186

შესავალი

თემის აქტუალობა

პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ინსტიტუტებს ენიჭებათ. ინსტიტუციური ცვლილებების უმთავრესი შემსწავლელ მიმართულებას მიეკუთვნება ახალი ინსტიტუციური თეორია, რომელიც ცდილობს საბაზრო ურთიერთობებით აღწეროს ყველა ინსტიტუციური ცვლადი. პოსტკომუნისტურმა ტრანსფორმაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ მეცნიერებაზე, გააჩინა რა ახალი კითხვები, რომლებზეც სრული პასუხები ჯერ არ არსებობს. ასევე, საჭირო გახდა თეორიების ჩამოყალიბება, რომლებიც ახსნიდნენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და აჩვენებდნენ გზას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ინსტიტუტების ტრანსფორმაციის პროცესი. შესაბამისად, ამ კითხვებზე პასუხი მნიშვნელოვანია ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც განიცდიდა ტრანსფორმაციულ ცვლილებებს.

ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისკენ ტრანსფორმაცია დაიწყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო საბაზრო ეკონომიკათა რიგს მიეკუთვნება. თუმცა, როგორც ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აქტუალობას არ კარგავს ინსტიტუციურ ცვლილებათა აქტიური პროცესი. ერთის მხრივ, საბჭოთა ეპოქის შემდეგ შეიქმნა ფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს და მოქმედებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მეორეს მხრივ, დროში იწელება არაფორმალური ინსტიტუტების ცვლილებათა პროცესი, რომელთაც შედარებით დიდი დრო სჭირდებათ ტრანსფორმაციისათვის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად ფორმალური ინსტიტუტებისა, არაფორმალურ ინსტიტუტებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ქვეყნის განვითარებაზე. ხშირად, განვითარებად ქვეყნებში სწორედ ამ კუთხით ჩნდება პრობლემა, გამოხატული არსებული არაფორმალური ინსტიტუტების შეუთავსებლობით ფორმალურ ინსტიტუტებთან და მთლიანად

ეკონომიკურ პროცესებთან. ხსენებული პრობლემა მოიცავს საზოგადოების და ბიზნესის ირაციონალურ მოლოდინებს, მოქმედი ფორმალური ინსტიტუტების არაეფექტიანობას, ადამიანების ნდობის ხარისხს საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მიმართ, საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზის მიმართ, საბაზისო ეკონომიკურ განათლების დონეს, მოსახლეობის წარმოდგენებს ეკონომიკურ ცხოვრებაში კერძო და სახელმწიფოს როლის შესახებ.

დღესდღეობით, საქართველოში არსებული ფორმალური ინსტიტუტების ჩარჩოს მიუხედავად, შეიძლება ითქვას რომ არაფორმალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი აზრის სახით ჯერაც საკმაოდ აქტიურ ტრანსფორმაციის პირობებშია. ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვნესი ადამიანური ფაქტორი ნაწილობრივ გეგმური ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემაში შექმნილი წარმოდგენების გავლენის ქვეშაა. შესაბამისად, მოცემული ფაქტორი პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს ყველა ინსტიტუტზე და ეკონომიკის განვითარების მიმართულებასა თუ სიჩქარეზე. პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური ხდება კრიზისულ პერიოდში და გამოიხატება მონეტარულ და ფისკალური პოლიტიკის მიმართ საზოგადოების უნდობლობით. ასევე, მცირე კრიზისულ პერიოდებში მკვეთრად იზრდება ნეგატიური მოლოდინები მთლიანად ეკონომიკური პროცესების მიმართ.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ არსებობს უამრავი თეორიული მიგნებები, რომლებიც კარგად ახასიათებენ ინსტიტუტების როლს, მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს ერთიანი ინსტიტუციური ტრანსფორმაციიული მოდელი. შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება პრაქტიკული კვლევები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უშუალოდ ინსტიტუტების როლის შესახებ. რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, საკმაოდ ძლიერი თეორიული საფუძვლების ფონზე, შედარებით პრობლემატურია პრაქტიკული მოდელების შეფასება მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებების ტენდენციების შესახებ, განსაკუთრებით კი არაფორმალური ინსტიტუტების ეკონომიკურ პროცესებზე გავლენის შესახებ. კვლევის სიახლე უნდა იყოს ხსენებულ პრობლემაზე ორიენტირება, განსაკუთრებით კი პოზიტიურ თუ ნეგატიურ კავშირებზე სხვადასხვა

ინსტიტუციურ დონეებსა და რეალურ ეკონომიკას შორის. აღსანიშნავია, რომ ერთი კონკრეტული მოდელი ვერ იარსებებს ყველა საბაზრო ეკონომიკაზე გადამსვლელ ქვეყნისათვის, მათი ინსტიტუციური სტრუქტურის, განსაკუთრებით კი არაფორმალური ინსტიტუციებს შორის არსებული მნიშვნელოვანი სხვაობების გამო. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უშუალოდ საქართველოს მაგალითზე ჩატარებული მეცნიერული კვლევები, სხვა პოსტ ტრანსფორმაციული ქვეყნების ჭრილში.

კვლევის პრობლემის მდგომარეობა

ინსტიტუციური ცვლილებები და მათი გავლენა ეკონომიკის ფუნქციონირებაზე მსოფლიო ეკონომისტების კვლევის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახლდათ, როგორც მე-20 საუკუნის განმავლობაში, ასევე ყურადღების ცენტრშია თანამედროვე ინსტიტუციური ეკონომიკის წარმომადგენელთა ნაშრომებში. პრობლემები ასახულია რიგ კლასიკურ ნაშრომებში: დუგლას ნორტი (North, 1991), ოლივერ უილიამსონი (Williamson, 2000), ტრაიენ ეგერტსონი (Eggetrsson, 1991), ელინორ ოსტრომი (Ostrom, 1986), ტორსტენ ვებლენი (Veblen, 1899), რიჩარდ ნელსონი (Nelson, 1982) და სხვები. სადისერტაციო ნაშრომში ასევე გამოყენებულია, თანამედროვე სამეცნიერო წრეების მიერ ჩატარებული კვლევები ინსტიტუციების შესწავლის და ინსტიტუციური გამოწვევების შესახებ - დარენ აჩემოღლუ (Acemoglu, 2003), ჯოფრი ჰოდჯსონი (Hogdson, 2006), სტეფან ვოიგტი (Voigt, 2016), დონ ტაპსკოტი (Tapscott, 2016), რაშელ ბოტსმანი (Botsman, 2017).

საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებებზე, მათი ეკონომიკაზე გავლენის შესწავლის და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საკითხის გარშემო, აღსანიშნავია რიგი ქართველის მეცნიერებების ნაშრომები: პაპავა. ვ, სილაგაძე ა. მექვაბიშვილი. ე, ხადური. ნ, კაკულია. ნ, ბალარჯიშვილი. ი. და სხვები.

კვლევის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომს გააჩნია რამდენიმე ძირითადი მიზანი, მათ შორისაა; **ინსტიტუციური განვითარების დონის შეფასება საქართველოში სხვა პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ჭრილში,** რაც მოიცავს სხვადასხვა რაოდენობრივი და

თვისებრივი ასპექტით საქართველოს ეკონომიკაში ინსტიტუციური მდგომარეობის შეფასებას. საინტერესოა, სხვადასხვა ინდიკატორების დინამიკა 90-იანი წლებიდან დღემდე.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია **ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის კავშირების აღმოჩენა საქართველოს ეკონომიკაში**. კერძოდ, თუ რამდენად მოქმედებს საზოგადოებაში არსებული არაფორმალური კანონები თუ კავშირები ფორმალურ ორგანიზაციებზე. ასევე, თუ რამდენად აფერხებენ თუ ხელს უწყობენ ისინი ფორმალური ინსტიტუტების ეფექტიანად მუშაობას. შესაბამისად, აუცილებელია ამ კავშირების რაოდენობრივი სახით გამოსახვა და ეკონომიკური შინაარსის მოძებნა.

კვლევის შემდგომი და ძირითადი მიზანი გულისხმობს **ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების რეალურ ეკონომიკასთან კავშირის შეფასებას** სტატისტიკური მეთოდებით. საზოგადოებისთვის, ინსტიტუტების ფუნქციონირების საბოლოო მიზანი საერთო კეთილდღეობის დონის ამაღლებაა, შესაბამისად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზემოთხსენებული ინსტიტუტები. შედეგად, აუცილებელია, იმის გაზომვა თუ როგორ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, კერძოდ კი ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებზე ინსტიტუციური განვითარება.

კვლევის მიზნების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომების ამოცანებია:

- ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ არსებული თეორიული და პრაქტიკული მასალის გაცნობა/დამუშავება, ტრანსფორმაციის პროცესში ინსტიტუციების როლის გამოკვეთის მიზნით;
- ინსტიტუციური ინდიკატორების მოძიება, დახარისხება და საჭიროების შემთხვევაში მათი მოდიფიკაცია კვლევის მიზნების შესაბამისად;
- ინსტიტუციური ჯგუფების დაყოფის მოდელის შერჩევა და მოდელის საფუძველზე სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის სტატისტიკური კავშირების აღმოჩენა საქართველოში, ასევე შედარება სხვა პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკებში არსებულ ტენდენციებთან, რათა გამოვლენილ იქნას კვლევაში გამოყენებული ინსტიტუციური დაჯგუფების შესაბამისობა;

- ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის კავშირების ანალიზი საქართველოში, ასევე შედარება სხვა პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკებში არსებულ ტენდენციებთან.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინსტიტუციური ეკონომიკის მეცნიერების თეორიულ ნაშრომებს. ასევე, აქტიურად იქნა გამოყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკების შესახებ.

კვლევაში გამოყენებული ძირითადი მიდგომა არის ინსტიტუტების დაჯგუფება შერჩეული თეორიული მოდელით, ხოლო სტატისტიკური მეთოდების საშუალებით ინსტიტუციურ ცვლადებსა და რეალური ეკონომიკის ცვლადებს შორის კავშირების აღმოჩენა.

კვლევის ძირითადი ამოცანას თვისებრივი ცვლადების მოძიება და მოდელში მათი ინტეგრაცია წარმოადგენს. სადისერტაციო ნაშრომის კვლევით ნაწილში, ძირითადად გამოყენებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემები. ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საერთაშორისო ორგანიზაციების და ცალკეულ მკვლევარ-ექპერტთა პროგნოზები და შეფასებები საქართველოს ინსტიტუციური განვითარების სისტემაში არსებულ და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია შესაბამისი სამთავრობო ორგანოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების კანონმდებლობა და ოფიციალური მონაცემები საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით.

კვლევის მეცნიერული სიახლე

კვლევაში გამოყენებულია ინსტიტუტების შეფასების და გაზომვის ნოვატორული მიდგომები. ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მიღწევებია:

- ინსტიტუციური დაჯგუფების ინოვაციური, ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მოდელის განხილვა;

- ორგანზომილებიანი ინსტიტუციური დაჯგუფების მოდელის პრაქტიკულად შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ორგანზომილებიანი ინსტიტუციური დაჯგუფების მორგება საქართველოს ეკონომიკაზე და მისი პრაქტიკული შეფასება;
- ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კავშირების შეფასება საქართველოში;
- ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის კავშირების შეფასება საქართველოში;
- საქართველოში, ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული ტენდენციების შედარება სხვა პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებთან;
- საქართველოში, ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კავშირების შედარება სხვა პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებთან.

შედეგად, კვლევის შედეგები განისაზღვრება ჩვენს მიერ გაანგარიშებული ინსტიტუციური კოეფიციენტებით, რაც თავის მხრივ შესაბამის თეორიულ საფუძვლებს და არსებულ საბაზო, საერთაშორისო ინსტიტუციურ ინდიკატორებს დაეყრდნობა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის შედეგების სამეცნიერო ღირებულებას უპირველესად წარმოადგენს ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ პრაქტიკული გაანგარიშებების და თანამედროვე კვლევების შევსება საქართველოში. ნაშრომის შედეგები საინტერესო უნდა იყოს როგორც საქართველოსთვის, ასევე სხვა პოსტ ტრანსფორმაციული ქვეყნებისათვის.

კვლევის შედეგად მიღებული იქნება კოეფიციენტები, რომლებიც დაახასიათებენ როგორც უშუალოდ ინსტიტუციონალურ ცვლადებს შორის კავშირს, ასევე კავშირს ინსტიტუციონალურ და რეალურ ეკონომიკას შორის.

კვლევის საკითხები ეკონომიკის გარდა გარკვეულწილად არის საინტერესო სხვა სოციალური მეცნიერებებისთვისაც. ინსტიტუტებს შორის კავშირები მეტად საინტერესო საჯარო მმართველობის სფეროში, ასევე კერძო სექტორისთვის.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია

კვლევის შუალედური და საბოლოო შედეგები წარდგენილ იქნა რიგ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე, მათ შორის გამოსარჩევია:

- 21-ე საერთაშორისო კონფერენცია ბიზნესსა, ეკონომიკასა და ფინანსებში, ბარსელონა, ესპანეთი (21st International Conference on Business, Economics and Finance);
- საერთაშორისო კონფერენცია ბიზნესსა და ეკონომიკაში, ფრაიბურგი, გერმანია (Journal of Arts & Sciences (IJAS) International Conference for Business and Economics);
- მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკაში, ლისაბონი, პორტუგალია (Seventh International Conference in Economics, EconWorld2018@Lisbon).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 180 გვერდისგან. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, 3 თავს, 10 ქვეთავს, დასკვნებს და რეკომენდაციებს, გამოყენებული დასახელების ლიტერატურის ჩამონათვალს, ასევე 24 დიაგრამას და 17 ცხრილს.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიული საფუძველები. კერძოდ, ისეთი ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა ინსტიტუტების კონცეფცია, ინსტიტუციური სკოლების განვითარების მოტივაცია და საფუძვლები, ინსტიტუტების კლასიფიკაცია და მახასიათებლები. ასევე, განხილულია უშუალოდ ინსტიტუციური კლასიფიკაციის ორგანზომილებიანი მოდელის თეორიული საფუძვლები, რაც კვლევის პრაქტიკული ნაწილის ბაზისად გამოიყენება. პირველი თავში ასევე ჩამოყალიბებულია ინსტიტუციურ ცვლილებათა შესახებ არსებულ თანამედროვე გამოწვევები და მასთან დაკავშირებულ

თანამედროვე ალტერნატიულ შეხედულებები, რაც ძირეულად ცვლის არსებულ ინსტიტუციურ ეკონომიკურ თეორიას.

ნაშრომის მეორე თავი პოსტ კომუნისტური ტრანსფორმაციის და მის შემდგომი პერიოდის შეფასებას ეხება. კერძოდ, განხილულია პოსტ კომუნისტური ტრანსფორმაციის თეორიული მოდელები და მათში ინსტიტუტების ბუნება. ასევე, ახსნილია ინსტიტუტების ქცევის მოტივები, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის, ისევე ნებისმიერი ინსტიტუციურ ცვლილებათა პროცესის დროს. მეორე თავში, გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია, მათ შორის დახასიათებულია ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ცვლილებების ტენდენცია. ასევე, სიტუაციური ანალიზის საშუალებით განხილულია მიმდინარე ინსტიტუციური ინდიკატორები, რაც კვლევის პრაქტიკული ანალიზის წყაროა.

ნაშრომის მესამე თავი მიმოიხილავს კვლევაში გამოყენებულ პრაქტიკულ მეთოდებს და კვლევის შედეგებს. კერძოდ, მოცემულია კვლევის ტექნიკური მეთოდოლოგიის განხილვა, აღწერილია შეფასებული ინსტიტუციური ჯგუფების ზომა საქართველოში და სხვა პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნებში, შეფასებულია კავშირები სხვადასხვა ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის დინამიკაში. მესამე თავი, ასევე მოიცავს კავშირების შეფასებას ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკის მაჩვენებლებს შორის.

თავი I. ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და მიმდინარე გამოწვევები

1.1. ინსტიტუციური ეკონომიკის საფუძვლები და ინსტიტუტები ტრანსფორმაციის პროცესში

თანამედროვე საზოგადოება შეთანხმებულია იმ ფაქტზე, რომ ეკონომიკური განვითარება დიდწილად განისაზღვრება იმ ინსტიტუციური ჩარჩოთი, რომლის შიგნითაც მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები.

გასული საუკუნის განმავლობაში, ეკონომიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინსტიტუტების კონცეფციის როლი ეკონომიკური პროცესების ასახსნელად. ეკონომიკურ თეორიაში ინსტიტუტების როლის ზრდა გამოიხატა შესაბამისი ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლების ჩამოყალიბებით. ამ სკოლებმა, ეკონომიკურ პროცესების კვლევისას ცენტრალური როლი სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებს და მათ ეფექტიანად ფუნქციონირების ხარისხის შესწავლას დაუთმეს.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში, ინსტიტუტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინსტიტუციურმა სკოლებმა დიდი წვლილი შეიტანეს არამარტო ინსტიტუციური ეკონომიკის, არამედ მთლიანად თეორიული ეკონომიკის განვითარებაში.

შესაბამისად, ინსტიტუციური ეკონომიკა დღესდღეობით ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამასთანავე აუცილებელი ნაწილია.

ინსტიტუტების კონცეფციის მეცნიერული შეფასებამდე, განვიხილოთ მისი ეტიმოლოგიური საფუძვლები.

ტერმინი „ინსტიტუტი“ საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. მათ შორის არამარტო ეკონომიკურ მეცნიერებაში, ასევე მეცნიერების ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკა, გეოგრაფია და ა.შ.. თუმცა, დღემდე არც სამეცნიერო

წრეები და არც საზოგადოება არ არის შეთანხმებული მის ზუსტ და უნივერსალურ განმარტებაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკურ მეცნიერების ტერმინოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი ენა არის ინგლისური, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებში ლათინური ენა, განვიხილოთ ტერმინი „ინსტიტუტის“ მნიშვნელობას ინგლისურის მიხედვით, რასაც ლათინური ენის საფუძვლები გააჩნია.

ინგლისურ ენაში, ტერმინი „ინსტიტუტი“ გამოიყენება სამი ძირითადი მნიშვნელობით:

1. ორგანიზაცია;
2. შენობა, სადაც ფუნქციონირებს ორგანიზაცია;
3. ტრადიცია, ჩვევა ან წესი.

ინსტიტუციურ ეკონომიკაში სიტყვა ინსტიტუტი გამოიყენება მეტწილად მესამე მნიშვნელობით, რომელიც უფრო ფართო გაგებისაა და მოიცავს სრულ ინსტიტუციურ სპექტრს.

ნაშრომის სამეცნიერო ხასიათიდან გამომდინარე, შემდგომში ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ ინსტიტუტებზე, როგორც სოციალ-ეკონომიკურ ფენომენზე და მეტწილად დავეყრდნობით ინსტიტუციურ ეკონომიკური მიმართულების მქონე სამეცნიერო სკოლებს.

ინსტიტუტების კონცეფციის ახსნა აუცილებლად უნდა დავიწყოთ, ეკონომიკაში ნობელის პრემიის მფლობელის და ახალი ინსტიტუციური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის, ამერიკელი ეკონომისტის დუგლას სესილ ნორტის[1] განმარტებით.

ავტორის მიერ წარმოდგენილი ინსტიტუტების მრავალი დახასიათებიდან, ყველაზე ფართოდ დამკვიდრდა შემდეგი განმარტება - „ინსტიტუტები არის ადამიანების მიერ შექმნილი წესები, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებს“ (North, 1991).

---

[1] დუგლას სესილ ნორტი (Douglass Cecil North, 1920-2015) - ამერიკელი ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებაში ნობელის პრემიის მფლობელი (1993). ძირითადი ნაშრომები: ‘Structure and change in economic history” (1981), „Understanding the process of economic change.” (1991), „Institutions, Institutional Change and Economic Performance “(2006) და სხვ.

ზემოთაღნიშნული განმარტება შეიძლება მივიჩნიოთ ინსტიტუტების ერთ-ერთ კლასიკურ დეფინიციად მთლიანად ინსტიტუციურ ეკონომიკაში. ეს განმარტება იქცა ერთგვარ საბაზო წერტილად ინსტიტუტების არსის და როლის განხილვისას, შემდგომი თაობის ინსტიტუციური ეკონომიკის მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებში.

შედარებისთვის, თუ განვიხილავთ 21-ე საუკუნის სამეცნიერო პუბლიკაციებს - აღსანიშნავია რომ, მსგავსი შეფასება ასევე გვხვდება ახალი ინსიტუტიციური ეკონომიკური სკოლის თანამედროვე წარმომადგენლის ჯოფრი ჰოჯსონის ნაშრომებში[1], რომელიც აღნიშნავს -„ინსტიტუტები წარმოადგენს სისტემას, შემუშავებული და არსებული წესების, რომლებიც ფორმას აძლევენ სოციალურ ურთიერთობებს“ (Hodgson, 2006).

ორივე ზემოთმოყვანილ განმარტებაში:

- ყურადღება გამახვილებულია ინსტიტუტების არსზე, რომ ინსტიტუტები ეს არის ადამიანების მიერ გარკვეული მიზნით შემუშავებული წესების ერთობლიობა;
- ხაზგასმულია მათი როლი საზოგადოებაში, რაც მოიცავს სოციალური ურთიერთობების დარეგულირებას.

უმთავრესი სხვაობა ზემოთმოცემულ დეფინიციებს შორის მდგომარეობს შემდეგში - ჯოფრი ჰოჯსონი ტერმინ „სოციალური ურთიერთობის დარეგულირებას“ ცვლის ტერმინ „სოციალური ურთიერთობებისთვის ფორმის მიცემით. აღნიშნული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ტერმინოლოგიური ჩანაცვლება რეალურად უფრო მეტად უსვამს ხაზს ინსტიტუტების ენდოგენურ ხასიათს. კერძოდ, კი იმ ფაქტს რომ ინსტიტუტების არსებობა ენდოგენურად გამომდინარეობს ადამიანების, როგორც სოციალური არსებების ბუნებიდან. შესაბამისად ინსტიტუტები წარმოადგენენ არა ეგზოგენურად მოცემულ მარეგულირებლებს, არამედ სოციალური ურთიერთობების პარალელურად ბუნებრივად არსებული ნორმებს. ინსტიტუტების ენდოგენურობის

[1] ჯოფრი ჰოჯსონი (Geoffrey Hodgson, 1946) - თანამედროვე ბრიტანელი ეკონომისტი, ეკონომიკური აზრის ისტორიის და ინსტიტუციური ეკონომიკის მკვლევარი. ძირითადი ნაშრომები: „Economics and institutions” (1988), “The approach of institutional economics” (1998), “What Are Institutions?” (2006) და სხვ.

საკითხს თავის ნაშრომებში, აქტიურად განიხილავს და ეთანხმება დუგლას ნორტი[1], შედეგად ზემოთმოცემულ დეფინიციებს შორის განსხვავება მხოლოდ ტერმინოლოგიურ დაზუსტებად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც უკვე აღინიშნა, ინსტიტუტების ერთიანი მულტიდარგობრივი დეფინიციის არარსებობის გამო, საზოგადოების მიერ ხშირად ხდება ინსტიტუტების არასრული ან არაზუსტი მნიშვნელობით გამოყენება. ამის ერთ-ერთი მაგალითი არის ინსტიტუტების და ორგანიზაციების გაიგივება. რეალურად, ორგანიზაციები, როგორც გარკვეული ფორმალიზებული მახასიათებლებით წარმოდგენილი ინსტიტუციური სტრუქტურა, მთლიანი ინსტიტუციური სივრცის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია.

ეკონომიკური მეცნიერები თანხმდებიან ინსტიტუტების სოციალურ ბუნებაზე, თუმცა მათი არსის შეფასებისას რიგ შემთხვევებში ხაზს უსვამენ სოციალურ ურთიერთობებში მათ დამხმარე ფუნქციას, ხოლო რიგ შემთხვევებში სოციალურ ურთიერთობებში მათ შემზღუდავ ფუნქციას. ზემოთმოცემული ორი განმარტება მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ხასიათისაა. ასევე, ნეიტრალური სახის დეფინიციად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი განმარტება - ინსტიტუტები ეს არის „თამაშის წესები საზოგადოებაში და მათი გავლენა ეკონომიკურ ქცევებზე“ (Rodrik,.Subramanian, Trebbi, 2004).

თუ დავაკვირდებით სამეცნიერო ლიტერატურაში ინსტიტუტების არსის შეფასებას დინამიკაში, დავინახავთ რომ შემზღუდავი ფუნქცია ნელ-ნელა იკავებს მეორეხარისხოვან როლს და მკვლევარები უფრო თვალსაჩინოდ მის დამხმარე ფუნქციას წარმოგვიდგენენ. ძველი თაობის ინსტიტუციური მკვლევარები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ ინსტიტუტების, როგორც გარკვეული ეკონომიკური ქცევების შემზღუდავ ინსტრუმენტზე. მათგან განსხვავებით, თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში ინსტიტუტები მეტწილად წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური ქცევების ხელშემწყობი მექანიზმი.

ინსტიტუტების, როგორც გარკვეული ურთიერთობების შემზღუდავ როლზე მეტად საინტერესო შეფასებას ვაწყდებით, შედარებით ადრეული თაობის

[1] დუგლას ნორტის მიერ ინსტიტუტების ენდოგენური როლის შესახებ შეფასებებს დეტალურად მიმოვიხილავთ ინსტიტუტების მახასიათებლების აღწერისას.

ინტიტუციონალისტ ეკონომისტ ჯონ როჯერ კომონსთან[1]. ავტორი ინსტიტუტების არსის შეფასებისას, რიგ მომენტში ძირითად ყურადღებას სწორად მათ შემზღუდავ როლზე აჩერებს და აკეთებს შედარებას - „ზოგჯერ ინსტიტუტები ჰგვანან შენობას, აგებული კანონებით, სადაც ინდივიდები არიან პატიმრებივით“ (Commons 1934, 69). ცხადია, ავტორი შედარებას გადატანითი მნიშვნელობით იყენებს და ამით არანაირად არ აკნინებს ინსტიტუტების მნიშვნელობას ადამიანებისთვის, თუმცა ის ინსტიტუტებს წარმოაჩენს როგორც აუცილებელ, თუმცა შემზღუდავი ფუნქციების მქონე ინსტრუმენტად.

შედარებისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ თანამედროვე ინსტიტუციური ეკონომიკის წარმომადგენლები მეტ ყურადღებას ინსტიტუტების დამხმარე ფუნქციაზე აკეთებენ, მაგალითისთვის - ინსტიტუტები ეს არის „კლასტერი სოციალური ურთიერთობების, რომელიც მოიცავს საზღვრებს ძალაუფლებისათვის, ასევე კანონის ძალა, რეზერვი საშუამავლოდ სოციალური განსხვავებულობის, ადამიანთა უფლებების დაცვის ძლიერი სისტემა, მინიმალური დონე თანაბარი შესაძლებლობების ფართოდ მიღების მიღწევის“ (Acemoglu at al. 2003). ხსენებულ დეფინიციაში ჩამოთვლილია რიგი მიმართულებები, რითაც ხასიათდება ინსტიტუტების, როგორც სოციალური ურთიერთობისთვის დამხმარე სტრუქტურის რაობა. ასევე, ინსტიტუტების შემზღუდველი ფუნქცია დანახულია უფრო პოზიტიური კუთხით - „საზღვრები ძალაუფლებისთვის“. რაც გულისხმობს იმას, რომ თეორიაში არსებული ნორმები და წესები ადამიანებისთვის კი არ ქმნიან აუცილებელი წინააღმდეგობებს, არამედ პირიქით ცდილობენ შეზღუდონ ძალაუფლება გარკვეულ, ეფექტიან ჩარჩოში.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც უმნიშვნელოვანესი ყურადღება ეთმობა ინსტიტუტების არსს ყველა ზემოთმოცემული მიმართულებით. მაგალითად, ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები მარტივი ენით აგვიღწერენ, რომ ინსტიტუტები არის

[1] ჯონ როჯერ კომონსი (John Rogers Commons, 1862-1945) - ამერიკელი ეკონომისტი, ინსტიტუციური ეკონომიკის და შრომის ეკონომიკის ისტორიის მკვლევარი. ძირითადი ნაშრომები: “The Distribution of Wealth” (1893), “The Contract and the Market: Towards a Broader Notion of Transaction?” (1932), “Institutional Economics” (1934).

წესები, რომლებიც ამარტივებენ ტრანსაქციების განხორციელებას[1]. აქვე, იგივე ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ინსტიტუტების შემზღუდავ ფუნქციაზე და აღნიშნავენ, რომ „გარდა ტრანსაქციების განმახორციელებელი როლისა, ინსტიტუტები არიან საზღვრები ადამიანთა ქცევის ანუ ზღუდავენ ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს სხვას“ (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 31). ცხადია, ინსტიტუტების შემზღუდავ ფუნქციაზე საუბრისას, ეკონომისტები ყოველთვის საუბრობენ ისეთი ტიპის ურთიერთობების შეზღუდვაზე, რომელიც ნეგატიური შედეგის მომტანი შეიძლება იყოს საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის ანუ ინსტიტუტი შეიძლება ზღუდავდეს ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება რიგი ინდივიდების ინტერესებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სწორად ინსტიტუტების შემზღუდავი ფუნქციების გარშემო არსებობს აზრთა განხეთქილება სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების ეკონომისტებს შორის. საკითხი განსაკუთრებით მწვავეა ფორმალური სახელმწიფო ინსტიტუტების არსის და მიზნების გარშემო.

აუცილებელია განვიხილოთ ასევე ფორმალიზებული განმარტება ინსტიტუტების შესახებ, ამ კუთხით გამოსარჩევნია ინსტიტუტების დეფინიცია მსოფლიო ბანკის მიხედვით: -„ფორმალური და არაფორმალური წესები და მათი გავლენის მექანიზმი, რომელიც აყალიბებს საზოგადოების ქცევის ფორმას ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დონეზე“ (World Bank, 1998).

აღსანიშნავია, რომ მოცემულ განმარტებაში გამოყოფილია, როგორც ინსტიტუტების ორი ძირითადი ტიპი (ფორმალური და არაფორმალური), ასევე მათი არსებობა როგორც ორგანიზაციულ, ისე პიროვნულ (ინდივიდუალურ) დონეზე. ასევე, მსგავსად ეკონომისტი მეცნიერ-მკვლევარების დახასიათებებში, მსოფლიო ბანკიც ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუტების როლზე, გამოხატულს სოციალური ურთიერთობების ფორმირების პროცესში.

ინსტიტუტების ბუნება და გაურკვევლობა - ინსტიტუტების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა და ის სოციალური კონსტრუქციის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. თუმცა, როგორც ზევით აღინიშნა

[1] ტრანსაქციების მნიშვნელობას ინსტიტუციური ცვილებების პროცესში, უფრო დეტალურად განვიხილავთ პირველ და მეორე თავებში.

ინსტიტუტები არ არის მოცემული ეგზოგენურად, არამედ მათი წარმოშობა პირდაპირ უკავშირდება ადამიანებს. ინსტიტუტები არის ენდოგენური ნაწილი მთლიანი სოციალური კონსტრუქციის. ინსტიტუტების არსებობის მიზეზების საფუძვლების ძიებას, მივყავართ უშუალოდ ინსტიტუტების მიზნებთან. შესაბამისად, ინსტიტუტები არსებობენ იმიტომ რომ შეასრულონ ის მიზნები, რისთვისაც ისინი შექმნეს ადამიანებმა. ამიტომ ინსტიტუტების საფუძვლების და მიზნების განხილვა ერთი კონცეფციის ნაწილია. შედეგად, გრძელვადიან პერიოდის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის შეფასებისას ინსტიტუტები ყოველთვის ენდოგენურ ფაქტორად უნდა განვიხილოთ.

დუგლას ნორტი აღნიშნავს, რომ ინსტიტუტების არსებობა განპირობებულია ადამიანების ბუნებისგან და აქვს მიზანი შეამციროს გაურკვევლობა გაცვლის პროცესში (North, 1991). დუგლას ნორტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს გაურკვევლობის კონცეფციას ინსტიტუტების როლის განხილვისას, და აქვე უნდა ითქვას რომ ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თანამედროვე ინსტიტუციურ თეორიებში გაურკვევლობის კონცეფცია ერთ-ერთ ცენტრალურ დეტერმინანტად წამოწია. დღევანდელმა ადამიანმა (Homo sapiens) მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა ათასწლეულების მანძილზე. ჩვენს გარშემო არსებული გარემო ყოველთვის იყო სავსე უამრავი სახის გაურკვევლობით. გაურკვევლობების წარმომშობის ძირითადი მიზეზები არის ფაქტები:

- ადამიანებს არ გაგვაჩნია სრულყოფილი ინფორმაცია გარემოს შესახებ;
- გარემო არის მეტად არაპროგნოზირებადი.

შესაბამისად, გაურკვევლობის პრობლემის გადალახვის ერთი გზა არის გარემოს შესახებ ცოდნის შეძენა, ხოლო მეორეს მხრივ ასევე აუცილებელია იმ სოციალური სტრუქტურის (არხების) არსებობა, რის მეშვეობითაც ცოდნა გამოყენებულ იქნება საქმიანობაში. ასეთ სოციალურ სტრუქტურად ჩამოყალიბდა ინსტიტუტები. შესაბამისად, ადამიანთა საქმიანობაში გაურკვევლობის არსებობა, არის მიზეზი ინსტიტუტების შექმნის, ხოლო ინსტიტუტების მიზანი თვითონ ამ გაურკვევლობის დონის შემცირებაა.

ეკონომიკურ ურთიერთობებში გაურკვევლობის არსებობა არის ერთ-ერთი საფუძველი ინსტიტუტების და შესაბამისად ინსტიტუციური ეკონომიკის არსებობის.

გაურკვევლობა არ არის უჩვეულო სიტუაცია, ეს არის თანხმლები პირობა ადამიანისეული ორგანიზაციის განვითარებისთვის როგორც ისტორიულ, ისე პრე-ისტორიულ ხანაში (North, 2006).

როგორც უკვე აღინიშნა, ინსტიტუტების, როგორც საერთო წესებად პოზიციონირება საკმაოდ პოპულარულია ნეოინსტიტუციურ ეკონომიკურ მეცნიერებაში. საერთო წესები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გაურკვევლობის შემამცირებელი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ ლიტერატურაში ვაწყდებით მეტად საინტერესო შეფასებას - ადამიანები სოციალური არსებები არიან, იმისათვის რომ იარსებონ მათ სჭირდებათ ურთიერთობები სხვა ადამიანებთან. მათი ურთიერთობა შეუძლებელია განხორციელდეს, თუ არ იარსებებს რაიმე საერთო გაგება - თუ როგორ ხდება საპასუხო ურთიერთობები ან როგორ ხდება სანქცირება. ადამიანები ასევე უნდა იყვნენ დარწმუნებულები რომ მათი მოლოდინები განხორციელდება. (Kasper, Streit, 1999) აღნიშნული შეფასება წააგავს თამაშთა თეორიაში არსებულ „პატიმართა დილემის“[1] ცნობილ მაგალითს. ადამიანებს ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად გვჭირდება რაციონალური მოლოდინები სოციუმის სხვა წევრების ქცევის შესახებ. ამისთვის კი ვიყენებთ საერთო წესებს თუ ნორმებს სხვადასხვა ინსტიტუტების სახით. რადგან ინსტიტუტები იქმნება და გამოიყენება არა ინდივიდუალურ არამედ საზოგადოებრივ დონეზე, მათი წყალობით შეგვიძლია განვსაზღვროთ სოციალური ურთიერთობების მოსალოდნელი განვითარება. ამის კარგი მაგალითია ის არაფორმალური ნორმები, მათ შორის ტრადიციების სახით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა ადამიანების მიერ.

ეკონომიკური ტიპის საქმიანობაში, გაურკვევლობის დონის შემცირება ხდება ინსტიტუციური გარემოს გამოყენებით. ინსტიტუტები ზრდიან ეკონომიკური ქცევების განჭვრეტადობას, რაც აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს საშუალებას მოამზადონ კონტრაქტები და განახორციელონ ტრანსაქციები. ყველაზე საბაზისო

[1] პატიმართა დილემა - სტანდარტული თეორიული მაგალითი თამაშთა თეორიიდან, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალურად რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების მიუხედავად, ინდივიდები ვერ აღწევენ საერთო სარგებლიანობას კოოპერაციის გარეშე.

ინსტიტუტებად ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის მიიჩნევენ სამეტყველო ენას და ვალუტას.

თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, გლობალური ვაჭრობის განვითარების პროცესში, სხვადასხვა საზოგადოების ურთიერთობის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს, სწორად ეს ორი ინსტიტუტი თამაშობდა - ენა, რის მეშვეობითაც ხდებოდა სავაჭრო ურთიერთობების მიმდინარეობა და ვალუტა, რის საშუალებითაც ხდებოდა სავაჭრო ტრანსაქციის განხორციელება. სამეტყველო ენას, როგორც ინსტიტუტის წარმოშობას არა წმინდა ეკონომიკური, არამედ ზოგადად სოციალური ურთიერთობების აუცილებლობა უდევს საფუძვლად, რადგან ადამიანებისთვის ერთმანეთთან კონტაქტი აუცილებელი სოციალური ელემენტია. სასაუბრო ენა კი წარმოდგა ინსტიტუტად, რომელიც თავაზობს საერთო წესებს სხვადასხვა ინდივიდებს, ერთმანეთთან საუბრისას გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად. რაც შეეხება მეორე საბაზისო ინსტიტუტ - ვალუტას, ის წმინდა ეკონომიკური ხასიათის ფენომენია. ცხადია, ტერმინ „ვალუტის“ ქვეშ იგულისხმება არამარტო ფულით ვაჭრობა, არამედ ნებისმიერი საქონლით, რომელიც ისტორიის მანძილზე გამოიყენებოდა როგორც გაცვლის სტანდარტი. ვალუტის როგორც ინსტიტუტის როლი, კარგად მოჩანს გარიგების განხორციელებისას - ვალუტა რეალურად ეს არის შეთანხმება სხვადასხვა ინდივიდებს შორის იმის შესახებ, რომ გარკვეული საშუალება გამოყენებულ იქნეს გაცვლის საშუალებად მრავალჯერადი ოპერაციების დროს. შესაბამისად, გარიგების ყველა მხარეს მყოფი სუბიექტები არიან დარწმუნებული, რომ ვალუტის სახით არსებულ ფიზიკურ საშუალებას კვლავ გამოიყენებენ სხვა ეკონომიკური ტრანსაქციების დროს. აღნიშნული ამცირებს გაურკვევლობას, შესაბამისად გაწეულ ხარჯებს და ამარტივებს ეკონომიკურ ოპერაციებს.

რაც უფრო ვუღრმავდებით ინსტიტუტების საფუძვლებს და მათ როლს გაურკვევლობის შემცირების პროცესში, უფრო მეტად იკვეთება ინდივიდთა რწმენის დეტერმინანტები -თუ რისი სჯერათ ინდივიდებს, რა ფაქტორები ზრდის მათ თავდაჯერებას და როგორ აფასებენ ნდობის ხარისხს სოციალური ინტერაქციების დროს. დუგლას ნორტის მიხედვით, რწმენის ინსტიტუტები მოიცავს ადამიანს სხვადასხვა წარმოდგენებს ადამიანებისვე გადმოსახედიდან. რწმენა არის შიდა,

ხოლო ინსტიტუტები გარე რეპრეზენტაცია გამოხატულება ამ წარმოდგენების (North, 2005).

ინსტიტუციურ ეკონომიკაში მნიშვნელოვანია განვასხვავოთ შემდეგი დეფინიციები - „რისკი“ და „გაურკვევლობა“. რისკი არის მდგომარეობა, როდესაც ცნობილია კონკრეტული ტრანსაქციის შედეგების ალბათობა. ხოლო გაურკვევლობა გულისხმობს სიტუაციას, სადაც უცნობია პოტენციური შედეგები თუ სიტუაციები. ინსტიტუტების უმთავრესი მიზანი არის გაურკვევლობის და არა რისკის შემცირება. რისკი, მსგავსად გაურკვევლობისა გხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, რისკი ახასიათებს კონკრეტულ სიტუაციას თავისი მოსალოდნელი შედეგებით. გაურკვევლობა კი ბუნდოვანს ხდის მოსალოდნელ შედეგებს. ინსტიტუტების მიზანი გაურკვევლობის შემცირებაა, რაც გაზრდის მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმაციას. მაგრამ, ინსტიტუტების განვითარება და გაურკვევლობის შემცირება, თავის თავში არ მოიცავს სარისკო სიტუაციების შემცირებას. ინდივიდებს კვალავაც უწევთ და მოუწევთ სარისკო სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა მათ ამავდროულად გააჩნიათ გარკვეული რაციონალური წარმოდგენები მომავლის შესახებ, არსებული ინსტიტუციური გარემოს დამსახურებით.

როგორც უკვე აღინიშნა, გაურკვევლობის მთავარი განმსაზღვრელი არის არასრულყოფილი ინფორმაცია. არასრულყოფილი ინფორმაცია შეიძლება არათანაბრად იყოს გადანაწილებული ტრანსაქციებში მოქმედ სუბიექტებზე, რაც ტრადიციულად, ყოველდღიურ ეკონომიკურ სიტუაციებში გვხვდება. არასრულყოფილი ინფორმაციის გადანაწილების ორი მაგალითია არასრულყოფილი ინფორმაციის ასიმეტრიული გადანაწილება ან მთლიანად ინფორმაციის დეფიციტი (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010).

დუგლას ნორტი აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ხდებოდა სისტემატიური შემცირება გაურკვევლობის, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანების გარშემო არსებულ ფიზიკურ სამყაროსთან. ხოლო გაურკვევლობა, რომელიც გამომდინარეობს ადამიანური ფაქტორებისგან, ეკონომიკური განვითარების პარალელურად კიდევ უფრო კომპლექსური გახდა. სწორად აღნიშნული ფაქტი განაპირობებს სხვაობას სოციალურ და ტექნიკურ მეცნიერებებს შორის, რადგან განსხვავებით ფუნდამენტური მეცნიერებისგან, სოციალურ

მეცნიერებებში არ არსებობს ფუნდამენტური კანონები, რომელთა აღმოჩენა შეამცირებდა გაურკვევლობას ჩვენს გარშემო. (North, 2005, 16)

დუგლას ნორტი, ასევე წარმოადგენს გაურკვევლობის ჯგუფების კლასიფიკაციას, სადაც სხვადასხვა ჯგუფებს შორის სხვაობა აიხსნება იმ ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ გაურკვევლობის ხარისხის ცვლილებას (North, 2005). სულ მოცემულია ხუთი ტიპის გაურკვევლობა:

1. გაურკვევლობა, რომელიც შეიძლება შემცირდეს გაზრდილი ინფორმაციით არსებული ცოდნის საფუძველზე;
2. გაურკვევლობა, რომელი შეიძლება შემცირდეს გაზრდილი ცოდნის ბაზით, არსებული ინსტიტუციური სტრუქტურის ფონზე;
3. გაურკვევლობა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ინსტიტუციური გარემოს ჩანაცვლებით;
4. გაურკვევლობა, რომელიც გვხვდება ახალ სიტუაციებში და საჭიროებს წარმოდგენების რესტრუქტურიზაციას
5. შემთხვევითი გაურკვევლობა, რომელიც წარმოშობს ირაციონალურ წარმოდგენებს

თუ გადავავლებთ თვალს ეკონომიკურ ისტორიას, თვალშისაცემია ყველა ზემოთმოცემული ტიპის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი შემცირება. ინსტიტუციური ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით საინტერესოა იმ ტიპის გაურკვევლობები, რომლის შემცირება ინსტიტუციურ ცვლილებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ჩვენ განვიხილეთ და დავუკავშირეთ თითოეული ჯგუფი შესაბამის ინსტიტუციურ ცვლილებებს.

- პირველი ტიპის გაურკვევლობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტიტუტები, კერძოდ კი ინსტიტუტები ამცირებენ გაურკვევლობას არასრულყოფილი ინფორმაციის მქონე ბაზრებზე. ინსტიტუტების როლი ინფორმაციული ვაკუუმების დაძლევაში, ფასდაუდებელია.
- მეორე ტიპის გაურკვევლობა, რადგან უკავშირდება გაზრდილ ცოდნის ბაზას, ის დიდწილად გამომდინარეობს კაცობრიობის ტექნოლოგიურ თუ მეცნიერულ მიღწევებზე. ამ შემთხვევაში, ინსტიტუტების გავლენა

მნიშვნელოვანი, თუმცა არაპირდაპირია. ინსტიტუტები გვეხმარებიან ისეთი სოციალური ურთიერთობების დამყარებაში, რომელიც ტექნოლოგიურ პროგრესს და შედეგად გაურკვევლობის შემცირებას იწვევს ახალი ცოდნის საფუძველზე.

- მესამე ტიპის გაურკვევლობაზე პირდაპირ ყველაზე მნიშვნელოვან და პირდაპირ გავლენას ახდენენ ინსტიტუტები. გაუმჯობესებული ინსტიტუციური გარემო, ცხადია ამარტივებს ეკონომიკურ ტრანსაქციებს. გაურკვევლობის არსებობდა შესაძლოა ასევე გამოწვეული იყოს არსებული არაბუნებრივი ინსტიტუციური სტრუქტურით, რასაც როგორც წესი რევოლუციური ინსტიტუციური ცვლილებები მოყვება.
- მეოთხე ტიპის გაურკვევლობა, გამომდინარე იქიდან რომ დამოკიდებულია წარმოდგენების რესტრუქტურიზაციაზე, მეტწილად განისაზღვრება ადამიანური განვითარების დონის ცვლილებით. ინსტიტუტების როლი აქ ირიბია, კერძოდ კი არაფორმალური ნორმების ცვლილებით, რომელიც ერგება ახალ სიტუაციებს.
- მეხუთე ტიპის გაურკვევლობა შემთხვევითი ცვლადია, რომელზეც როგორც ინსტიტუტები ისე ყველა ზემოთაღნიშნული ფაქტორი მოქმედებს.

დუგლას ნორტი ინსტიტუტების დახასიათებისას, უფრო უღრმავდება მათ ეკონომიკურ როლს და აღნიშნავს - ინსტიტუტები არიან ფილტრი ინდივიდებსა და კაპიტალს შორის, და ასევე კაპიტალსა და წარმოებულ პროდუქციას შორის (North, 1981, 201).

ინსტიტუციური იერარქიული სქემა გამოიყურება შემდეგნაირად: ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას ღირებულებები, შემდეგ მოდის ნორმები, ნორმების შემდეგ უკვე ფორმალური თუ არაფორმალური წესები, ხოლო ამ წესებს ახორციელებს მმართველობითი სტრუქტურები (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 33).

ჩვენ ვერ გავიგებთ თუ საით მივდივართ, იმის გაანალიზების გარეშე სად ვიყავით. დღევანდელობის არჩევანი არის წარსულში შექმნილი ინსტიტუტების შედეგი (North, 2005, 51).

ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა - ინსტიტუციური ეკონომიკის უმთავრესი შემსწავლელი არის ახალი ინსტიტუციური სკოლა (ნეოინსტიტუციური ეკონომიკა). ახალი ინსტიტუციური სკოლა არის ერთის მხრივ, განვითარება ტრადიციული ინსტიტუციური სკოლის და ასევე ემყარება რიგ ნეოკლასიკური ეკონომიკის პოსტულატებს.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ადამიანები არიან მოგების მაქსიმიზაციის სურვილის მქონე სუბიექტები, შესაბამისად ეკონომიკური გაცვლების მიმდინარეობისას წინა პლანზე გამოდის ინსტიტუტების როლი, რომლებიც ფორმას აძლევენ ადამიანთა ურთიერთობებს და ეხმარებიან მათს ამ პროცესში. ინდივიდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვა სუბიექტებთან ურთიერთობის პროცესში წარსულ გამოცდილებას. მაგრამ, ერთჯერადი გაცვლის შემთხვევაში არ არსებობს ასეთი ურთიერთობის პრაქტიკა და შესაბამისად წარმოიქმნება კოოპერაციის პრობლემა ანუ სახეზეა არასრულყოფილი ინფორმაცია სასურველი შედეგის მისაღწევად. (North, 1991). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინსტიტუტები აწესრიგებენ საბაზრო ურთიერთობებს შეზღუდული ინფორმაციის და გაურკვევლობის ფონზე.

ყველა ეკონომიკური თეორიის წარმოშობის უკან დგას გარკვეული პრაქტიკული პრობლემები, რომელზეც პასუხი არსებული თეორიების ფარგლებში სრულყოფილად გაცემულ არ იქნა. უპასუხოდ დარჩენილი კითხვები კი ჰქმნის ველს ახალი მეცნიერული იდეების გენერირებისთვის.

ტრაიან ეგერსტოუნი[1] გამოყოფს სამ ძირითად კითხვას, რაზეც პასუხი ვერ გასცა ტრადიციულმა ინსტიტუციურმა და ნეოკლასიკურმა ეკონომიკამ და შესაბამისად გაჩნდა მოტივაცია ნეოინსტიტუციური ეკონომიკური მიმართულების განვითარების.

ნეოინსტიტუციური ეკონომიკა განმარტავს, თუ:

1. რა გავლენას ახდენს სოციალური წესები და ეკონომიკური ორგანიზაციები ეკონომიკური სუბიექტების ქცევაზე, რესურსების განაწილებასა და შემოსავლების უთანაბრობაზე?

---

[1] ტრაიან ეგერსტოუნი (Thrainn Eggertsson, 1941) - ისლანდიელი ეკონომისტი, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი. ძირითადი ნაშრომები: „Economic behavior and institutions: Principles of Neoinstitutional Economics“ (1990), “Empirical studies in institutional change” (1996), „Imperfect institutions: Possibilities and limits of reform“ (2009) და სხვ.

2. რატომ განსხვავდება ეკონომიკური ორგანიზაციების ტიპები სხვადასხვა დარგებში მსგავსი საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში? რა ტიპის ეკონომიკური ლოგიკა დევს ეკონომიკურ შეთანხმებებში (მაგალითად - ფირმაში), პროდუქციის საწარმოებლად და გასაცვლელად?
3. რა ეკონომიკური საფუძველი უდევს ფუნდამენტურ სოციალურ და პოლიტიკურ წესებს, რაც განსაზღვრავს პროდუქციის გაცვლას და წარმოებას ? როგორ იცვლება ეს წესები? (Eggertsson, 1990, 62)

მნიშვნელოვანია ახალ ინსტიტუციურ სკოლასა და ტრადიციულ ინსტიტუციურ სკოლას შორის არსებული განსხვავებების დაფიქსირება. სკოლებს შორის არსებული განსხვავებები შესაძლებელია დაჯგუფდეს იმ ძირითადი ფაქტორების გარშემო, რაც დამახასიათებელია თითოეული ეკონომიკური მიმართულებისთვის. ესენია: კვლევის შეკითხვა, ეკონომიკური აგენტების მახასიათებლები და სტრუქტურების როლი. ქვემოთ მოცემულია თითოეული მათგანის განხილვა:

კვლევის შეკითხვა - ტრადიციული ინსტიტუციური ეკონომიკისთვის მთავარი შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში, თუ რით აიხსნება გრძელვადიან პერიოდში ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკა. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკისთვის კი ძირითადი შეკითხვა წარმოადგენს თუ როგორია ეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურები, გამომდინარე არსებული ინსტიტუციური გარემოდან? რა არის ამ სტრუქტურების წარმოშობის და ცვლილებების საფუძველი?

ეკონომიკური აგენტების მახასიათებლები - ტრადიციული ინსტიტუციური სკოლის მიხედვით, ეკონომიკური აგენტები ხასიათდებიან შემდეგი თვისებებით - პროცედურული რაციონალიზმი, გაზიარებადი მენტალური რუკა (shared mental maps), ჩვევები და საკუთარი ინტერესების დაცვა. ხოლო ახალი ინსტიტუციური სკოლა წინ პლანზე გამოყოფს შემდეგ მახასიათებლებს: შეზღუდული რაციონალიზმი, ოპორტუნიზმი და ტრანსაქციული ხარჯების მინიმიზაციისკენ მიდრეკილება.

სტრუქტურების როლი: ტრადიციული ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლის მიხედვით, ყველა ინსტიტუციური სტრუქტურა ჩართულია ინტერაქტიულ პროცესში და არსებობს დიდი რაოდენობა ეკონომიკური პროცესების ამხსნელი

ცვლადების. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი არის ოფიციალური ამოცანების განსაზღვრა ფართო საზოგადოებრივი კონსესუსის ბაზაზე. ბაზრები არ არის ნეიტრალური და გავლენას ახდენს საზოგადოებრივ სტრუქტურებზე. ახალი ინსტიტუციური სკოლის მიხედვით, მოცემულია ტექნოლოგია, კულტურას და ფორმალური ინსტიტუტები. ასევე შეზღუდულია ამხსნელი ცვლადების რაოდენობა. სახელმწიფოს როლი არის ფორმალური ინსტიტუტების მოწესრიგება. ბაზრები არის ეფექტიანი ალოკაციის მექანიზმი შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ფონზე. (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 77).

ახალი ინსტიტუციური სკოლის მიხედვით, ინდივიდები ვერ ახერხებენ ყოველთვის რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას. ინდივიდების მიერ რაციონალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები, შეგვიძლია დავაჯგუფოთ სამ კატეგორიად (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 77) :

- პირველი კატეგორია - როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენ ვცხოვრობთ არასრულყოფილი ინფორმაციის მქონე სამყაროში. ინდივიდებს ხშირად უწევთ გადაწყვეტილებები მიიღონ გაურკვევლობის ფონზე, რაც არასრულყოფილი ინფორმაციით გამოისახება. მსგავს პირობებში თავისთავად მცირდება რაციონალური გადაწყვეტილების მიღების შანსები. შესაბამისად, ინდივიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მეტწილად სულაც არ არის მაქსიმალურად ეფექტიანი.
- მეორე კატეგორია - ინდივიდების მიზნები არ არის მკვეთრი და ნათელი, რაც არასრულყოფილ ინფორმაციასთან ერთად კიდევ უფრო ამცირებს გადაწყვეტილების ეფექტიანობას. ქცევითი აქსიომის მიხედვით, ადამიანების რაციონალურობა არ არის მკვეთრად გამოხატული და ნათელი, ინდივიდებს აქვთ ამბიციები შედეგის მიღწევის, რომლის შესაბამისად ცვლიან თავის მიზნებს. ინდივიდის ქცევის განსაზღვრად მხოლოდ გარემო პირობების ანალიზი არ არის საკმარისი და საჭიროა ცოდნა მისი მენტალური მდგომარეობის შესახებ (Eggertsson, 1990). ადამიანები არიან სოციალური არსებები, შესაბამისად მათი მენტალური მდგომარეობა ძნელია აღიწეროს რაიმე მათემატიკური ფორმულებით და ინსტრუმენტებით. ინდივიდები

ხშირად ახდენენ თავის მიზნების მოდიფიცირებას ან საერთოდ ცვლიან ამ მიზნებს. შედეგად, თუნდაც დროის კონკრეტულ მომენტში ძნელია განსაზღვრა თუ რა არის კონკრეტული ადამიანისთვის რაციონალური მიზანი.

- მესამე ფაზა - გარდა იმისა, რომ ადამიანების რაციონალური მიზნები ყოველთვის მკაფიო და ნათელი არაა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რომ ინდივიდები ხასიათდებიან შეზღუდული რაციონალიზმით. შეზღუდული რაციონალიზმი გულისხმობს, რომ ადამიანებს არ გააჩნიათ უნარი მოახდინონ ფორმულირება და გადაჭრან კომპლექსური პრობლემები. ეკონომიკაში შეიძლება ადამიანებს გააჩნდეთ მკაფიო მიზნები, ასევე საკმარისი მოცულობის ინფორმაცია, თუმცა მაინც ვერ მოახერხონ რაციონალური გადაწყვეტილების მიღება, რადგან ვერ მოახდინონ ამ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

1970-იან და 1980-იან წლებში, ახალი ინსტიტუციური სკოლის მთავრი მიზანი იყო აეხსნა პოლიტიკური, საკანონმდებლო და სოციალური მიზეზები, რომელიც განსაზღვრავდა ინდივიდების ქცევას და კავშირს ინდივიდებსა და ინსტიტუტებს შორის. (Hodgson, 2006, 2).

ინსტიტუციური ეკონომიკა გამოყოფს ქცევის ოპტიმატიზაციას და ოპორტუნიზმს მახასიათებლებს. საბაზრო ტრანსაქციები არ ხორციელდება ვაკუუმში, იმისათვის რომ ინდივიდებმა მოახდინონ გაცვლა, საჭიროა მათ გააჩნდეთ საკმარისი მოლოდინი, რომ მოცემული ტრანსაქცია გაზრდის მათ კეთილდღეობას. ქცევა რომლის მიზანი, ცხადი ამოცანების შესრულებაა, ინსტიტუციური ეკონომიკა რაციონალურ ქცევად განსაზღვრავს. ინსტიტუციონალური ეკონომიკა გვასწავლის - რა პირობების კომბინაციას შესაძლებელია ელოდო მოსალოდნელი ქცევისგან, როდის უნდა დაიცვა საკუთარი თავი და რა ინსტრუმენტებია ამისთვის საჭირო. (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 14)

ახალი ინსტიტუციური სკოლის მოდელი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად, ეგზოგენური ფაქტორებად პირობითად მოცემულია ინსტიტუციური გარემო (მაგ: ღირებულებები, ნორმები, კანონები და რეგულაციები) და ასევე ეკონომიკური აგენტების თვისებები და პრეფერენციები (მაგ: შეზღუდული რაციონალიზმი, ოპორტუნიზმი და ხარჯების მინიმიზაციის ქცევა). ეს ეგზოგენური

ფაქტორები კი ახდენენ გავლენას ენდოგენურ ფაქტორზე, რაც არის მმართველობითი სტრუქტურები (ფირმები და კონტრაქტები).

ინსტიტუციური მახასიათებლები. ინსტიტუტუციური ცვლილებები ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. მუდმივი კავშირი ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის ეკონომიკური სიხისტით და კონკურენციით, ამოსავალი წერტილია ინსტიტუციური ცვლილებების. კონკურენცია აიძულებს ორგანიზაციებს განავითარონ ცოდნა და უნარები. განვითარებული უნარები და მეტი ცოდნა კი აძლიერებს ორგანიზაციების აღქმას ინსტიტუციური ცვლილებების შესაძლებლობების შესახებ. ცვლილებების აღქმა გამომდინარეობს ბაზრის მონაწილეების მენტალური კონსტრუქციისგან. ინსტიტუციური გარემო იძლევა სტიმულებს, რომელიც წარმართავს ცოდნას და უნარებს მაქსიმალური შედეგების მისაღებად. ეკონომიკური მიზნის, წინააღმდეგობების და ექსტერნალიების არსებობა ხდის ინსტიტუციური ცვლილების პროცესს უდიდეს უპირატესობად და მასზე დამოკიდებულს (North, 2005, 59).

ინსტიტუტების მახასიათებლებზე საუბრისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა უკავშირდება დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს ინსტიტუციურ სტრუქტურას და მასში მონაწილე ინდივიდებს შორის. ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია ინსტიტუციურ თეორიებზე მეთოდოლოგიის შესახებ. გამოიყოფა რამდენიმე მეთოდი - ინსტიტუტებს და ინდივიდებს შორის ურთიერთობების შესახებ:

მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის შემთხვევაში, წინასწარ ცნობილია ინდივიდების მახასიათებლები და ეს მახასიათებლები არ იცვლება სხვა ინდივიდების გავლენის ან ინსტიტუციური ცვლილებების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ინდივიდების პრეფერენციები და მახასიათებლები არ იხსნება სოციალური სტრუქტურით.

განსხვავებით წინა მეთოდისგან მეთოდოლოგიური კოლექტივიზმის შემთხვევაში, სოციალურ სტრუქტურებს აქვთ საკუთარი სივრცე და მახასიათებლები. ინდივიდების ქცევა განისაზღვრება არსებული სოციალური სტრუქტურის გამომდინარე.

წინა ორი მეთოდის ნაკლოვანებების გამო, გამოიყოფა მეთოდოლოგიური ინტერაქციონიზმი (Nooteboom, 2007), სადაც მიმდინარეობს ორმხრივი პროცესი ინდივიდებსა და სოციალურ სტრუქტურას შორის.

როგორ მკვიდრდება ინსტიტუტები საზოგადებაში ? იმისათვის რომ წესი (ნორმა) ფართოდ დამკვიდრებულ იქნას, მან უნდა დააკმაყოფილოს სამი პირობა(Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 29):

1. ნორმა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ანუ ის უნდა გავრცელდეს ყველა მონაწილე სუბიექტზე და ყველა შემთხვევაზე;
2. ნორმა უნდა იყოს გასაგები, შესაბამისად მაქსიმალურად გამჭირვალე და რეალისტური, რათა ყველა ადამიანმა გაიგოს რას გულისხმობს ეს წესი და რა შეიცვლება მისი არსებობის გარეშე;
3. ნორმა უნდა იყოს ღია, რათა მოქნილი წესები მოერგოს ახალ შემთხვევებს. არსებობს გარკვეული დაპირისპირება მეორე და მესამე პირობას შორის, რადგან რაც უფრო ღია არის წესები, ნაკლებად განსაზღვრულს ხდის მათ.

ნორმების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სანქციები. ეს სანქციები შესაძლებელია იყოს ნეგატიური ან პოზიტიური. ნეგატიური სანქცია არის ინსტრუმენტი ნორმის დამრღვევი მოქმედების წინააღმდეგ, ხოლო პოზიტიური სანქცია არის დაჯილდოება ან წახალისება რაიმე ქცევის.

ინსტიტუციურ სტრუქტურას და ინდივიდებს შორის კავშირის მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ - აგენტ სენსიტიური (agent-sensitive) და აგენტ არასენსიტიური (agent-insensitive) ინსტიტუტები.

აგენტ სენსიტიური ინსტიტუტის შემთხვევაში, წონასწორობა და კონვენციები შესაძლებელია დაუყონებლივ შეიცვალოს, თუ ეკონომიკური აგენტები ან აგენტების პრეფერენციები შეიცვლება.

მათგან განსხვავებით, აგენტ არასენსიტიური ინსტიტუტები ამ უპირატესობას მოკლებულია. აგენტ არასენტიურ ინსტიტუტებში გადაწყვეტილები მიიღება ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე და არა ინდივიდების ფსიქოლოგიური პრეფერენციებიდან (Hodgson, 2006).

შედეგად, აგენტ სენსიტიური ინსტიტუტები უფრო მეტად მოქნილი არიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და უფრო მეტად შეესაბამებიან ადამიანების ბუნებას. ხოლო აგენტ არასენსიტიური ინსტიტუტები, რიგ შემთხვევებში შეიძლება გახდნენ დამაბრკოლებელი ფაქტორები სოციალური ინტერაქციებისას ეფექტიანობის მისაღწევად.

ცალკეული ინსტიტუტების ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზი, შეუძლებელია მთლიანად ეკონომიკური ტრანსფორმაციის ფენომენის გაანალიზების გარეშე.

ეკონომიკური ტრანსფორმაცია გულისხმობს ეკონომიკაში შემავალი ინსტიტუციური სტრუქტურის ნაწილობრივ ან სრულად გარდაქმნას მაკრო დონეზე და მის მორგებას ახალ ეკონომიკურ წესებზე.

ტრანსფორმაციის პროცესის უმთავრესი შემსწავლელი არის ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლა (NIE[1]). ახალი ინსტიტუციური სკოლა ხსნის - თუ როგორ იწყება ტრანსფორმაცია, აღწერს მის ფუნქციონირებას და იმას, თუ როდის იწყება და როდის მთავრდება ეს პროცესი. შესაბამისად, ანალიზის უმთავრესი სფერო გარდამავალ პერიოდში არსებული ინსტიტუტებია. გამომდინარე იქიდან, რომ გასული საუკუნის მანძილზე უმთავრესი ინსტიტუციური ცვლილებები გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში გვხვდებოდა, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლის პრაქტიკული დაკვირვების ძირითადი წყარო - პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და მასში განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებებია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ინსტიტუციური ეკონომიკა ხსნის ინსტიტუტების საფუძვლებს და ქცევას, რაც შეიძლება გვხვდებოდეს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ტრანსფორმაციაში, მათ შორის ძირითადად გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომისკენ მოძრაობისას.

პირველი მნიშვნელოვანი დაშვება, რასაც ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა იყენებს ინსტიტუტების მიმართ, მდგომარეობს შემდეგში რომ ინსტიტუტები არიან ბაზრის ენდოგენურ ელემენტები და მათი მიზნები გამომდინარეობს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიიდან. როგორც დუგლას ნორტი აღნიშნავდა, ინსტიტუტები

[1] NIE- New Institutional Economics (ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა).

არიან წესები, რომლითაც იმართება ადამიანების ქცევა და ფორმა ეძლევა სოციალურ ურთიერთობებს (North, 1991). ხოლო ბაზარი არის ადგილი, სადაც ინდივიდთა ქცევა გამოისახება ნებაყოფლობით გაცვლაში. ამ ბაზრებზე გარდა სტანდარტული პროდუქტისა ანუ საქონლისა და მომსახურებისა, ხდება ასევე გაცვლა მოლოდინების, რისკების, პრივილეგიების და უპირატესობების. ასევე საბაზრო წესებით შეიძლება აღვწეროთ ის ურთიერთობები, რომლებიც არსებობს პოლიტიკურ ასპარეზზე, ორგანიზაციებსა და ბიუროკრატიაში. სახელმწიფო სტრუქტურებს, კორპორაციებს, პოლიტიკურ პარტიებს და სხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ ორგანიზაციებს არ აქვთ მხოლოდ კოლექტიური ფუნქციონალური ინტერესი. ისინი შედგებიან კერძო ინდივიდებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ პირადი ინტერესები. სწორად ამ ინტერესების თანხვედრა გვაძლევს საერთო ორგანიზაციულ მიზანს და მიმართულებას, რომლის ფორმალიზება ხდება ოფიციალურ დოკუმენტებში. შესაბამისად, ინსტიტუციური მიზნების ქვეშ გაერთიანებული ეკონომიკური აგენტები წარმოადგენენ ნეოკლასიკური თეორიით აღწერილი მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული სუბიექტები.

უშუალოდ ინსტიტუციური ცვლილებების აღწერამდე, აუცილებელია თეორიულად აღვწეროთ ის ინსტიტუციური სტრუქტურა რაც ახასიათებდა გეგმურ ეკონომიკას.

გეგმური ეკონომიკის დახასიათება. კომუნისტური სისტემა, ისევე როგორც კაპიტალისტური თუ ტრანსფორმაციულ პერიოდში მყოფი სისტემა შედგება სწორედ ზემოთაღწერილი მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული ინდივიდებისაგან, რომელთა საბოლოო მიზანი ნებისმიერ შემთხვევაში უცვლელია და საკუთარი კეთილდღეობის ამაღლებაა. ამ მიზნის მიღწევის გზები კი განსხვავდება ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელიდან გამომდინარე, რის საფუძველზეც ხორციელდება ინსტიტუტების შექმნა და გარდაქმნა.

ახალი ინსტიტუციური სკოლა ცდილობს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიით ახსნას ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკა და გამოავლინოს მის შემადგენელ სუბიექტების გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები. გეგმური ეკონომიკის მთავარი არენა და ინსტრუმენტები ინსტიტუციური კულტურის მიხედვით იყოფა ოთხ მხარედ (Lichtenstein, 1996):

- ცენტრალური კომუნისტური პარტიის აპარატი,
- სახელმწიფო დაგეგმვის ბიუროკრატია,
- სახელმწიფო კომპანიების მენეჯერები და მომუშავეები,
- მთლიანი საზოგადოება.

მოცემული ოთხივე მხარე შედგება მოგებაზე-ორიენტირებულ რენტა-მომხვეჭელი ინდივიდებისაგან. ინსტიტუციური ეკონომიკის საფუძვლების მიმოხილვისას, აღვნიშნეთ რომ ინსტიტუტები არიან ადამიანების მიერ შექმნილი ნორმები, რომელთა ფუნქციაც ადამიანებისთვის სოციალური ურთიერთობების გამარტივებაა. შესაბამისად, ინსტიტუციური წარმონაქმნის განხილვისას, ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია უმთავრეს ყურადღებას აქცევს ამ ინსტიტუტის უკან მდგომი ინდივიდების მიზნებს.

ინსტიტუციური კულტურის თითოეულ სეგმენტში შემავალ ინდივიდებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში საკუთარი რესურსები მოახმარონ სხვა ორგანიზაციას, მაგალითად ყველაზე მარტივი მაგალითი - შეიცვალონ სამუშაო ადგილი.

შესაბამისად, პირადი ინტერესების არსებობა და ახალი შესაძლებლობები იწვევს მუდმივ ცვლილებას ორგანიზაციებში და ხდის მათ უფრო დინამიურს.

როგორც ნებისმიერი ინსტიტუციური კულტურა, კომუნისტური პარტიის კულტურაც განიცდის ცვლილებებს. დუგლას ნორტის მიხედვით, ინსტიტუციური ცვლილება არის მრავალგანზომილებიანი და მრავალდონიანი ეკონომიკური ფენომენი, რომლის სრულად შესწავლა ემპირიულ დონეზე შეუძლებელია (North, 2006) ინსტიტუციური ცვლილების გამომწვევი სუბიექტები რაციონალური გადაწყვეტილების მიმღები ინდივიდებია, რომლებსაც არსებული ჩარჩო-პირობები არ აძლევს საშუალებას მოახდინონ მოგების მაქსიმიზაცია (North, 1991). შესაბამისად, ისინი ცდილობენ ინსტიტუციური ცვლილებების ხარჯზე გააფართოვონ ჩარჩო-პირობები ისე, რომ მიიღონ მაქსიმალური მოგება. მათ რაციონალურ გადაწყვეტილებებზე გავლენას კი ახდენს ენდოგენური და ეგზოგენური ცვლილებები. ამ დროს კოლექტიური ქმედებები იწვევს უბილეთო მგზავრის პრობლემას და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ახალი ინსტიტუციური თეორიით, კომუნისტური სისტემის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს აღწერს როგორც გარკვეულ მიკროეკონომიკურ ბაზარს და იყენებს საბაზრო ეკონომიკის ელემენტებს შეფასებისათვის. პარტია ხასიათდება როგორც შეზღუდული წევრობის იერარქიული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს კოლექტიურ სტრატეგიას. ორგანიზაციის არსებობის მიზანი არის თავისი წევრებისათვის კეთილდღეობის მაქსიმიზაცია, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ნეოკლასიკური თეორიის ეკონომიკური სუბიექტის. თავისი მიზნების მისაღწევად დამოკიდებულია მის წევრებზე, პარტიაში მიღება და თანამდებობაზე დაწინაურება ხდება გარკვეული კრიტერიუმებით, რომელიც წინასწარ მოცემულია და ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა სხვადასხვა ქვეყნების რეალობაში არსებული სხვადასხვა კომუნისტური საზოგადოებისთვის. ეს კრიტერიუმები და მიმართულებები მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

პარტიის აქტივისტთა შერჩევის პროცესში აუცილებელია მთლიანი მოსახლეობიდან ისეთი ადამიანების ჯგუფის შერჩევა, რომელთა მიზნებს შორის სხვაობა იქნა მინიმუმადე დაყვანილი, რაც გააადვილებს საერთო მიზნის არსებობას.

პარტიის წევრებისათვის პარტიაში გაწევრიანება არის რაციონალური გადაწყვეტილება, აკეთებენ რა ანალიზს მოსალოდნელი სარგებლისა და დანახარჯის.

კომუნისტური პარტიის წევრების კეთილდღეობის ზრდა გამოიხატება იმით, რომ ისინი სარგებლობენ განსაზღვრული პრივილეგიებით, როგორიცაა ფულადი ანაზღაურება, საცხოვრებელი, მოწინავე ადგილები სხვადასხვა ტიპის რიგებში, რაც დამახასიათებელია გეგმური ეკონომიკისათვის. ეს პრივილეგიები კომუნისტური პარტიის წევრებს აყენებს უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობას.

სანაცვლოდ, პარტიის წევრობისათვის გაწეული დანახარჯები არის შედარებით უმნიშვნელო, ისინი ახორციელებენ პარტიის პოლიტიკურ და სოციალური მიზნების შესრულებას, რაც განაპირობებს სისტემის მდგრადობას და მონოპოლიურ მდგომარეობას.

პარტიაში ცვლილებები ატარებს მუდმივად დინამიურ ხასიათს, მის მონოპოლიურ როლს კი განაპირობებს შემდეგი ფაქტორები (Lichtenstein, 1996):

- ფუნქციონირება, როგორც ორგანიზაცია;

- წევრებისათვის შესაძლებლობების მუდმივი ზრდა;
- წარმოდგენა რეალური ან მოჩვენებითი ეკონომიკური პროგრესის და მისი გავრცელება მთელი მოსახლეობის მასშტაბით;
- განეიტრალება ისეთი სუბიექტების, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრებები სისტემის ფუნქციონირებაზე.

გარკვეულ ინსტიტუტებს საზოგადოებრივ პროცესებში ეძლევა განსაკუთრებული როლი, ისინი ახდენენ გავლენას მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე. ტრანსფორმაციის პროცესში „საზოგადოებრივ ელიტას“ ეძლევა ახალი პოტენციური შესაძლებლობები.

ეს „საზოგადოებრივი ელიტა“ არის:

- პოლიტიკური კლუბები,
- ეკლესია,
- სავაჭრო გაერთიანებები

კომუნისტურ წყობაში ამ ინსტიტუტების როლი, ისევე როგორც მთლიანი საზოგადოების როლი შემცირებულია, რადგან კომუნისტური სისტემა აღიარებს სახელმწიფოს, როგორც დომინანტს და ყველა კერძო მისწრაფებები იგნორირებულია. ტრანსფორმაციის პროცესში ამ „საზოგადოებრივ ელიტას“ ეძლევა შანსი არსებული გავლენის საზღვრების გაფართოების, რადგან ძლიერი სახელმწიფოს როლის შემცირებით ხდება ძალაუფლების დროებითი ჩანაცვლება სხვა ინსტიტუციების მიერ. ეს ინსტიტუციები კი უმეტესად წარსულში ძლიერი ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზაციებია, რომელთაც ჯერ მთლიანად არ დაუკარგავთ საზოგადოებრივ ცნობაზე გავლენა. მათი ქმედება გარკვეულ შემთხვევაში ემსგავსება ინტერესთა ჯგუფების თამაშს, აქვთ მნიშვნელოვანი მართვის ბერკეტები სახელმწიფოს მოძლიერებამდე და ხანდახან შემდგომაც (Thorsten, Laeven, 2005). ამ გაერთიანებების გავლენის ხარისხი, დამოკიდებულია სოციალიზმში გატარებულ პერიოდზე, რადგან რაც უფრო დიდხანს გრძელდება სოციალიზმი, უფრო სუსტდება ასეთი ინსტიტუციების გავლენა თაობების ცვლილებასთან ერთად. კომუნისტურ წყობილებაში გაზრდილი თაობა ინდიფერენტულია მოცემული ინტიტუტების მიმართ, რადგან ნაკლებად აქვთ მათთან ხელშესახები კავშირი. კომუნიზმის

საბოლოო მიზანი სპეციფიკური ადამიანის შექმნაა, რომელიც ინსტიტუციურ ეკონომიკაში ცნობილია ჰომო-სოვეტიკუსის სახელით.

ჰომო-სოვეტიკუსი არის ადამიანი, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული. ინსტიტუციური თეორიის თანახმად, ინსტიტუციური ნორმებისა და წესების მატარებლები ადამიანები არიან. საქმე შეეხება არა კონკრეტულ ინდივიდებს, არამედ ადამიანთა ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებულ (განსაზღვრულ) მოდელს. ქართველი ეკონომისტის ლ. პაპავას მოსაზრების თანახმად, "ნეკროეკონომიკის აღმწარმოებელ რუტინას განაპირობებს იმ ადამიანის ქცევა, რომელიც მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ჩამოყალიბებული ჰომო სოვეტიკუსიდან (ანუ სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანიდან) საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ადამიანის ტიპზე – ჰომო ეკონომიკუსზე (პაპავა, 2001). ლ. პაპავას აღწერილი აქვს ასევე გარდამავალი პერიოდის ადამიანი - „ჰომო ტრანსფორმატიკუსი", რომელიც არის პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის "მთავარ გმირი". ეს არის ადამიანი, რომელმაც "ვერ შეძლო მთლიანად განთავისუფლებულიყო სახელმწიფოს წინაშე შიშისაგან და მის ხარჯზე არსებობის ჩვევისაგან, თუმცა, ამავდროულად, იწყებს მოქმედებას მაქსიმალური სარგებლიანობისა და მოგების მიღებისათვის თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე". ჰომო ტრანსფორმატიკუს-ის წინამორბედად მეცნიერი მიიჩნევს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის "ჩრდილოვან სექტორში" დაკავებულ ადამიანებს, რომლებსაც ეწოდებათ არა "მეწარმეები", არამედ საქმოსნები (პაპავა, 2001).

კომუნისტური პარტიის, როგორც ბაზრის ელემენტების ერთობლიობის წარმოდგენა გვეხმარება პოსტკომუნისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის მექანიზმის აღქმაში. მაგალითად 70-იანი წლების ჩინეთში არსებობდა არეალი პარტიაში ორი მიმართულების კონსერვატიული და რეფორმისტული კოალიციისათვის. გამარჯვებულმა რეფორმისტულმა კოალიციამ გასწია პოლიტიკური რისკი სოციალისტური გზიდან გადახვევისათვის, თუმცა სამაგიეროდ მიიღო დადებითი შედეგი გამარჯვების სახით, წარმატებული პოლიტიკის შედეგად. 1978 წლიდან დაწყებული ჩინურმა გრადულისტურმა რეფორმებმა ქვეყნას მოუტანა 35 წლიანი

მაღალი ზრდის პერიოდი, რომლის ტემპი მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქნა შესუსტებული. კონსერვატიული პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, ჩინური ეკონომიკა მეტი ალბათობით გააგრძელებდა იმ არასტაბილურ თვისებებს, რაც ახასიათებდა 1978 წლამდე.

ტრანსფორმაციის პროცესის მახასიათებლები და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია - ახალი ინსტიტუციური თეორია გვთავაზობს შემდეგ მოდელს ტრანსფორმაციის სიჩქარეზე და თანმიმდევრობაზე: ტრანსფორმაციის დროს იცვლება ძველი თამაშის წესები ახლით, ასევე ხდება ცვლილება სოციუმში, რასაც ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება. პიტერ მურელის მიხედვით, მოკლევადიან პერიოდში ძველი მოლოდინები და რუტინები ისევ ფუნქციონირებს როგორც ბიუროკრატიული გარემოს და ცენტრალური დაგეგმვის, ამიტომ სწრაფი და მოულოდნელი ცვლილებები გავლენას ახდენს პროდუქციის გამოშვებაზე ნეგატიური კუთხით. წარმატებული ტრანსფორმაცია უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად (Murrell, 1991):

- პირველ ეტაპზე მიღწეულ უნდა იქნას მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, რის ინსტრუმენტებსაც წარმაოდგენს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. სახელმწიფოში უნდა შეიქმნას ორიარუსიანი საბანკო სისტემა, კერძო სექტორის ჩართულობის ზრდასთან ერთად, ცენტრალური ბანკის აქტიური ფუნქციები უნდა შეიცვალოს პასიურით (სარეზერვო მოთხოვნებით და რეფინანსირების განაკვეთით). ფისკალური კუთხით იქმნება საგადასახადო სისტემა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს მანამდე არსებული პირდაპირი სახელმწიფო შემოსავლები, სახელმწიფო ხარჯებშიც უნდა შემცირდეს სუბსიდიების წილი.
- მეორე ეტაპი იწყება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ, როდესაც იცვლება ფორმალური ინსტიტუტები, რომლებმაც უნდა ასტიმულირონ კერძო ბიზნესი. კორპორაციული კანონმდებლობა ქმნის კონკურენციულ გარემოს ბაზარზე, ხდება სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაცია. იქმნება გაკოტრების და კონტრაქტის კანონმდებლობა.
- მესამე ეტაპი არის ყველაზე მეტად დროში გაწელილი, რომელიც მოიცავს ფასების სრულ ლიბერალიზაციას, ადამიანური და სხვა რესურსების ბაზარზე

გატანას, თავისუფალ საგარეო ვაჭრობას და ყველა სახელმწიფო ორგანოს შექმნას რაც შემდგომში აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისათვის.

პოლიტიკურ-სოციალური ტრანსფორმაციის ციკლის ვადასა და ცვლილებების იერარქიაზე ასევე შეგვიძლია განსხვავებული მეთოდოლოგიით გამოვყოთ სამი ეტაპი (Kollmorgen, 2010):

- პირველ ყველაზე ხანმოკლე ეტაპზე ხდება ძალაუფლების გადაცემა , რომელიც შეიძლებდა გაგრძელდეს რამდენიმე თვე ან თუნდაც კვირა.
- მეორე ეტაპზე ახალი მიზნის შესაბამისი ინსტიტუციების შექმნა, ეს ეტაპი უკვე რამდენიმე წელს საჭიროებს.
- ტრანსფორმაციის ბოლო ეტაპი კი გაწელილია დროში (35-55 წელი) და მოიცავს ინფრასტრუქტურულ, სოციალ-კულტურულ და სოციალ-სტრუქტურულ ცვლილებებს, რასაც ემპირიული მონაცემების საფუძველზე ორი თაობა სჭირდება.

განვიხილოთ ტრაიან ეგერსტოუნის მოდელი, რომელიც აკავშირებს ინსტიტუტებს და სიმდიდრეს ერთმანეთთან მოკლევადიან პერიოდში (Eggertsson, 1990). მოდელისათვის ამოსავალი წერტილია:

- ინსტიტუციები
- ადამიანის უფლებები
- საგარეო კონტროლი (ანუ კონტროლი კანონმდებლობით)

მოცემული ელემენტები ქმნიან საბაზო სტიმულებს ეკონომიკაში. საბაზო სტიმულებით ტრანსაქციული დანახარჯების ფონზე მყარდება ეკონომიკაში შიდა კონტროლი, ანუ ეკონომიკის ფუნქციონირება გადადის შიდა ინსტიტუციებზე, ეს ყველაფერი აისახება კონტრაქტებსა და ორგანიზაციების სტრუქტურაზე, რაც საბოლოოდ ეკონომიკის შემოსავალს განაპირობებს.

ინსტიტუტებიდან ეკონომიკის გამოშვებამდე კავშირი ასევე შეიძლება აღიწეროს შემდეგი სახით: საზოგადოებაში არსებობს ორგანიზაციების ფორმების ცნობილი უამრავი ვარიანტის სიმრავლე, რომელიც მოიცავს სიმრავლეს იმ ორგანიზაციული ფორმებისა, რომლებიც პრაქტიკულად შეესაბამება მოცემულ

რეალობას. ამ ფორმების გამოცდის შემდეგ ეს ფორმები მიღებენ რეალური ორგანიზაციების ფორმას და ჩამოყალიბდება ფორმალური კონტრაქტები. რაც უკვე აისახება ეკონომიკის წარმოებაზე. ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკა განიხილება როგორც პოლიტიკური ორგანიზაციების, ეკონომიკური სუბიექტების და ინსტიტუციებს შორის კავშირი, რაც აისახება ეკონომიკის გამოშვებაზე. თავის მხრივ ეკონომიკის გამოშვება გავლენას ახდენ ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლებზე, რომელიც გადაეცემა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათგან უკვე ინსტიტუციებს და შემდეგ უკავშირდება ისე ეკონომიკურ სუბიექტებს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი კვლავ გავლენას ახდენს ეკონომიკის გამოშვებაზე (North, 1996).

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ჩამოყალიბების ნებისმიერი პროგრამა მოითხოვს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ცვლილებებს, რადგანაც იცვლება სახელმწიფო მმართველობის ფორმა და სტრუქტურა. ვერცერთი სტაბილიზაციის პროგრამა ვერ იქნება ეფექტიანად განხორციელებული მყარი ინსტიტუციური საფუძვლის გარეშე. ემპირიულ ფაქტებზე დაყრდნობით, უმეტესად სწორად ამ საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში იქმნება მნიშვნელოვანი პრობლემები და შესაბამისად იწელება ეკონომიკების ტრანსფორმაცია დროში. მყარი ინსტიტუციური საფუძვლის გარეშე ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური გადაწყვეტილებების ეფექტიანი რეალიზაცია, დაკარგულია რა გადაცემის არხები საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის (Ahrens, 2006). ამ შემთხვევაში დაწინაურებულა არა ინსტიტუციები, არამედ კონკრეტული ინდივიდები, კონკრეტული გადაწყვეტილებები თუ ინტერესის ჯგუფები. ისტორია გვიჩვენებს რომ, ქვეყნების ნაწილი განურჩევლად მათს მიერ არჩეული მოდელისა, ცვლილებების შემდეგ მალევე აღწევს მაღალ ეკონომიკურ ზრდის ტემპებს (ჩინეთი, ესტონეთი და ა.შ.), ნაწილი კი გრძელვადიან სტაგნაციას განიცდის (საქართველო, ბელორუსია და ა.შ.).

როგორც ზევით ითქვა, აქტიური შესწავლის საგანია ინსტიტუციების შიგთავსი, ანუ მათი სტრუქტურა. მმართველობის სტრუქტურული განზომილება უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე წესს (Ahrens, 2006):

1. ისინი უნდა იყოს მკაფიო და ეკონომიკური აგენტები უნდა დარწმუნებული იყვნენ მის განხორციელებაში;

2. პოლიტიკური და ეკონომიური სუბიექტები უნდა იცნობდნენ ამ წესებს და შეეძლოთ მათი განხორციელება;
3. წესები უნდა იყოს მოქნილი ინსტიტუციური ცვლილებების მიმართ, რაც შეიძლება იყოს გემოვნების, ტექნოლოგიის ან საზოგადოებრივი სურვილით გამოწვეული დროის განმავლობაში;
4. უნდა არსებობდეს ინსტიტუციური გარანტიები. ეს ოთხი მიმართულება თავის მხრივ შეიძლება ჩამოყალიბდეს მმართველობის ოთხ განზომილებად:
    - პროგნოზირება,
    - გამჭირვალეობა,
    - მონაწილეობის შესაძლებლობა,
    - ანგარიშვალდებულება.

ეს პრინციპები აყალიბებენ სანდო იმიჯს მმართველობის, რის შემდეგ ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკა, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. რიგმა ტრანსფორმაციაში მყოფმა ქვეყანამ კრახი განიცადა, რადგან მაღალი შესაძლებლობები და არადელეგირებული უფლებები იწვევს კორუფციას და ნეპოტიზმს სახელმწიფო სექტორში. მთავრობის ფართო შესაძლებლობები ტრანსფორმაციულ პერიოდში წააგავს კომუნისტურ სისტემას, სადაც ასევ სახელმწიფო მიიჩნევა, როგორც ნეიტრალური მგეგმავი, რომელმაც იცის თუ როგორ უნდა მოხდეს საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან, სადაც ძირითადი ალოკაციური ფუნქცია მთლიანად ბაზარს უჭირავს.

ბაზრის ზრდაზე ორიენტირებული მმართველობის სტრუქტურის (MEGS) მიხედვით სახელმწიფო უნდა იყოს:

- ძლიერი, რომ განახორციელოს პოლიტიკა,
- დაიცვას საკუთრების უფლებები,
- დაიცვას ეკონომიკა ვიწრო ინტერესებისგან,
- ჰქონდეს სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობები, მისი ქცევა უნდა იყოს შეზღუდული გონივრულ ჩარჩოებში.

შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით ვაწყდებით ფუნდამენტურ პოლიტიკურ დილემას ეკონომიკურ სისტემაში: რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო, უფრო დიდი გარანტიები შეუძლია მან მისცეს მოქალაქეებს მათი უფლებების დასაცავად, თუმცა ამასთანავე, უფრო დიდი შესაძლებლობა ეძლევა სახელმწიფოს შეზღუდოს მოქალაქეების უფლებები. ამიტომ, სახელმწიფოს სიძლიერე უნდა იყოს უფრო მეტად ინსტიტუციებზე დამოკიდებული და არა პოლიტიკის განმახორციელებელ სუბიექტებზე, სადაც ყოველთვის იკვეთება პირადი და სახელმწიფო ინტერესები. სახელმწიფოს წარმატებას უნდა განსაზღვრავდეს ძლიერი ინსტიტუციები, და არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსები თუ სხვა დარგის პროფესიონალები. განვითარებული სახელმწიფო ვერ იქნება დაყრდნობილი პოლიტიკოსების კეთილსინდისიერებაზე, ამიტომ იზღუდება მათი გარკვეული უფლებები.

სახელმწიფო სისტემები, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ხასიათდება ბიუროკრატიით. ბიუროკრატიული სისტემა, როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე ასუსტებს ეკონომიკურ ეფექტიანობას, გადაცემის მექანიზმებს და იწვევს სამთავრობო ხარჯების ზრდას. გაზრდილი ხარჯის გამომწვევი არის სხვადასხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებსაც რეალურად ევალებათ ერთიდაიგივე ოპერაციები. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენს უფლება-მოვალეობათა დელეგირება სხვადასხვა სტრუქტურებს შორის. ამ ჭრილში უმთავრესი რა თქმა უნდა სასამართლო ხელისუფლებაა, რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს როგორც აბსოლუტურად დამოუკიდებელი სამთავრობო განშტოება და წარმაოდგენდეს ეფექტიანობის გარანტს. ასევე მთავრობის შეზღუდვებზე ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთი როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი (World Bank), რომლებიც ცდილობენ დანერგონ „გლობალური თამაშის წესები“. სახელმწიფო ვალდებული ხდება ითანამშრომლოს ასეთ ორგანიზაციებთან.

ბაზრის ზრდაზე ორიენტირებული მმართველობის სტრუქტურის (MEGS-ის) კიდევ ერთი აუცილებელი ფაქტორი ის სივრცეა, სადაც უნდა შეიქმნას ინსტიტუციები. ეს სივრცე ან საფუძველი უნდა მოიცავდეს ინსტიტუციურ

რეფორმებს, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ორგანიზაციულ სიძლიერეს. უშუალოდ ეკონომიკური ინსტიტუციების შექმნისას ლიბერალური სკოლის მიხედვით, მთავარ ალოკაციურ მექანიზმად უნდა იქცეს ბაზარი-ფასის პრინციპი, რომლის მიხედვით უნდა განხორციელდეს და მიღებულ იქნას შემდეგი შესაბამისი შედეგები (Ahrens, 2006):

- თავისუფალი ბაზრის გარანტიის არსებობა,
- კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა,
- კონტრაქტის თავისუფლება,
- მონეტარული სისტემის სტაბილურობა,
- ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარგანჭვრეტადობა.

ინსტიტუციის კულტურა არის მისი სოციალური სტრუქტურა, ფორმალური და არაფორმალური წესები, რომელიც შეგვიძლია მივამსგავსოთ გენეტიკურ კოდს, რომელიც გადადის მორიგ თაობებზე. ამით ის ჰგავს ბიოლოგიურ გენეტიკურ კოდს, რომელსაც ასევე აქვს გადაცემის ფუნქცია და დროთა განმავლობაში ხდება მისი მუტაცია, ანუ ინსტიტუციის კულტურის შემთხვევაში განვითარება. ინსტიტუციის კულტურა წარმოდგება როგორც:

- რელიგია,
- ფილოსოფია,
- იდეოლოგია,
- გემოვნება,
- ფორმალური კოდექსები.

ინსტიტუციური ცვლილებებში ორგანიზაციული გენეტიკური კოდის მნიშვნელობას ასევე დიდ როლს ანიჭებენ ევოლუციური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები - რიჩარდ ნელსონი[1] და სიდნი უინტერი. უინტერი და ნელსონი რუტინას განიხილავენ როგორც ორგანიზაციულ მეხსიერებას (Nelson, Winter, 1985).

[1] რიჩარდ ნელსონი (Richard Nelson, 1930) - ამერიკელი ეკონომისტი, ევოლუციური ეკონომიკის წარმომადგენელი. ძირითადი ნაშრომები: “An Evolutionary Theory of Economic Change” (1982), “Understanding Technical Change as an Evolutionary Process” (1987) და სხვ.

სიდნი უინტერმა[1] განიხილა რუტინა, როგორც განმეორებადი ქცევა, რომელიც ასევე დამოკიდებულია გარემო პირობებზე და შესაძლებელია მისი ცვლილება გარემო პიროების ცვლილებისას (Winter, 1964, 263). ხსენებულ რუტინას ხშირად ვხვდებით ინსტიტუციური ცვლილებების აღწერისას.

რუტინის სტაბილურობა თამაშობს ერთ-ერთ ძირითად როლს, კერძოდ ის არის ერთგვარი მექანიზმი ცვლილებების ხარისხისთვის და იძლევა შედარების თუ გაუმჯობესების საშუალებას (Tyre, Orlikowski 1996). უინტერი ასევე აღნიშნავს, რომ რუტინის კონცეცია საკამოდ პროდუქტულია ფირმის დონეზე, თუმცა ის კვლავ ტოვებს რიგ შეკითხვებს (Winter 1995). უინტერი და ნელსონი აღნიშნავენ, რომ ტრადიციული, საბაზისო ინსტიტუტები უფრო კარგად იძლევიან ეკონომიკური რეალობის აღწერის საშუალებას, ვიდრე თანამედროვე ფორმალიზებული ინსტიტუტები. მიუხევად იმისა, რომ ფირმები ინდივიდუალურ დონეზე მოგების მაქსიმიზაციისთვის (Nelson, Winter, 1985).

აქვე აღვნიშნოთ, რომ შოკური ტრანსფორმაციის დროს, ახალი საზოგადოების სტრუქტურა არ არის ყოველთვის მთლიანად ახალი, ის ინარჩუნებს ძველ ინსტიტუციურ ელემენტებს. პირველ რიგში ეს არის არაფორმალური ინსტიტუციები, მორალური და ეთიკური ნორმები, რომლებიც საჭიროებენ შედარებით მეტ დროს ტრანსფორმირებისათვის. შედეგად, რადიკალურმა ტრანსფორმაციამ შეიძლება ორივე კუთხით იმოქმედოს ეკონომიკურ განვითარებაზე, არაფორმალური ინსტიტუტების წყალობით მარტივად გადააგოროს პროცესი, ან ისევ ამ ინსტიტუტების გააქტიურებით შეიქმნას მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები.

განვითარებად ქვეყნებში, ინსტიტუტების მნიშვნელობას მაღალი ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად ხაზს უსვამს პერული ეკონომისტი ერნანდო დე სოტო[2] ეკონომიკური მიგრაციის განხილვისას. მის მიხედვით, განვითარებადი და პოსტ

---

[1] სიდნი უინტერი (Sidney Winter, 1935) - ამერიკელი ეკონომისტი, ევოლუციური ეკონომიკის წარმომადგენელი. ძირითადი ნაშრომები: „Economic natural selection and the theory of the firm“ (1964), „An Evolutionary Theory of Economic Change“ (1982), „Understanding dynamic capabilities“ (2003) და სხვ.

[2] ერნანდო დე სოტო (Hernando de Soto, 1941) - პერუელი ეკონომისტი, არაფორმალური ეკონომიკის მკვლევარი. ძირითადი ნაშრომები: „The Other Path: The Invisible Revolution in the Third World“ (1989), The Mystery of Capital: „Why Capitalism Triumphs in the West and Fails Everywhere“ (2000), „The Other Path: The Economic Answer to Terrorism“ (2002).

კომუნისტური ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მიგრირებული ადამიანები, განვითარებული ინსტიტუტების წყალობით, ერგებიან არსებულ ეკონომიკურ სტრუქტურას და ჰქმნიან დამატებით ეკონომიკურ დოვლათს (de Soto, 2000).

1.2. ინსტიტუციური ჯგუფების კლასიფიკაციის ორგანზომილებიანი მოდელი

ახალი ინსტიტუციური სკოლის მიხედვით, ინსტიტუციური ჩარჩო მოიცავს უამრავ ინსტიტუციურ ერთეულს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან დანიშნულებით, სტრუქტურით თუ ბუნებით. შესაბამისად, ინსტიტუციური ანალიზი საჭიროებს განსხვავებული ინსტიტუტების დაჯგუფებას გარკვეული ნიშნების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციურ სივრცეს ახასიათებს მუდმივი ცვალებადობა. ინსტიტუტები იცვლიან სტრუქტურას ან ნაცვლდებიან ახალი ინსტიტუტებით. გარკვეული ინსტიტუტების გაქრობა არის არა ვაკუუმის შემქმნელი, არამედ შედეგი საზოგადოების ღირებულებების და მიზნების გრძელვადიანი ცვლილების (North, 1981,14). შედეგად, ხდება მნიშვნელოვანი გადაჯგუფებები ინსტიტუციურ სივრცეში. მოსალოდნელი ინსტიტუციური ცვლილებებისთვის მოტივაცია და მზაობა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ცვლილებისათვის გასაწევი ხარჯების მოცულობაზე. ინსტიტუციურ სივრცეზე კი გავლენას ახდენს როგორც ტრანსფორმაციული, ისე ტრანსაქციული ხარჯები (North, 1991, 13). რაც უფრო მაღალია ცვლილებისთვის გასაწევი ხარჯების მოცულობა, ინსტიტუციური ცვლილებების პროცესი უფრო მეტად იწელება დროში. ხოლო რაც უფრო დაბალია ტრანსაქციული და ტრანსფორმაციული ხარჯები, უფრო მარტივად და სწრაფად ხდება შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები და გადაჯგუფებები.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილში გამოვიყენებთ მოდელს, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ დაჯგუფებების კონკრეტულ მეთოდს. ხოლო, მოცემულ თავში კი განვხილავთ ამ მოდელის თეორიული საფუძვლებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება ინსტიტუტების უამრავი კლასიფიკაცია, თუმცა კვლევისთვის ყველაზე მეტად საინტერესო არის ის კლასიფიკაციები, რომლებიც ერთის მხრივ ამახვილებენ ყურადღებას ინსტიტუტების ბუნებაზე და ასევე, ხასიათდებიან ადვილად დაკვირვებადი

ნიშნებით, რათა მარტივად მოხდეს ინსტიტუტების პრაქტიკული, რაოდენობრივი ანალიზის განხორციელება.

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები. ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ინსტიტუციური დაჯგუფება მოცემულია ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტი დუგლას ნორტის მიერ. ის მოიცავს ინსტიტუტების (ნორმების) დაყოფას ორ ფართო ჯგუფად: ფორმალური და არაფორმალური (North, 1991, 14-17):

- ფორმალური ნორმები, რომლებიც მოცემულია წერილობითი ფორმით და მოიცავს იურიდიულ ნორმებს, კონსტიტუციიდან სხვადასხვა ტიპის და რანგის კანონებამდე, ასევე ნებისმიერი სახის ინდივიდუალური ხასიათის კონტრაქტებს .
- არაფორმალური ნორმები, რომლებიც განისაზღვრება ქცევის წესებით და შეთანხმებებით და არიან განუყოფელი ნაწილი ჩვენი კულტურის.

აღნიშნული კლასიფიკაცია შეგვიძლია მივიჩნიოთ საბაზო კლასიფიკაციად ინსტიტუციურ ეკონომიკაში. ნებისმიერი შემდგომი ინსტიტუციური კლასიფიკაცია თუ ანალიზი გვერდს ვერ უვლის აღნიშნულ კლასიფიკაციას.

ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების დაჯგუფების ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაცია არის შემოთავაზებული თანამედროვე ავტორების მიერ (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010, 25). მათ მიხედვით, ფორმალური ინსტიტუტები არის საჯარო ქცევის წესები, რომელიც დადგენილია საჯარო ავტორიტეტის მიერ საკანონმდებლო ძალით და ხორციელდება იურიდიული ძალით, რომელსაც აქვს უფლება სანქცია დაუწესოს ინდივიდს თუ ორგანიზაციას წესის დარღვევისთვის.

ხოლო, არაფორმალური ინსტიტუტები არის ქცევის კერძო წესები, რომელიც ვითარდება თანდათანობით თუ სპონტანურად და არ საჭიროებს ლეგალურ შეზღუდვებს, რადგან წესების სანქცირება ხდება კერძო მხარეების მიერ ავტომატურად ან არის უშუალოდ მათ ავტორთა პირად ინტერესში მათი შესრულება. თუმცა, აქვე ავტორები აღნიშნავენ რომ ფორმალური და საჯარო არ არის ერთმანეთის შესატყვისი ცნებები, ისევე როგორც არაფორმალური და კერძო.

მიუხედავად ამისა, ფორმალური (მათ შორის არასაზოგადოებრივი) ინსტიტუტები ხშირად განიხილებიან როგორც საბოლოო შედეგი სახელმწიფოს ქცევის, ხოლო არაფორმალური ინსტიტუტები, როგორც საზოგადოების (Williamson, Kerekes, 2006).

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში გვხვდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ინსტიტუტები. შესაბამისად, სახელმწიფოს როლის, როგორც გამყოფ ხაზად გავლება ამ კლასიფიკაციაში, ცალსახად მცდარია.

ზემოთმოცემულ აღწერებზე დაყრდნობით, მთავარი სხვაობა ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის არის მათი ბუნება, კერძოდ ის რომ ფორმალური ინსტიტუტები მოცემულია წერილობითი სახით, განსხვავებით არაფორმალური ინსტიტუტებისგან. შესაბამისად ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების პროცესში, რომლებიც იწვევს ინსტიტუტების გადაჯგუფებას, შესაძლებელია არაფორმალურმა ინსტიტუტმა მიიღოს ფორმალური სახე, ან/და პირიქით. რომელიმე ინსტიტუტმა, რომელიც არ იყო წერილობითი სახით მოცემული, შესაძლებელია განიცადოს ტრანსფორმაცია და მოგვევლინოს ფორმალური სახით. ისტორიის მანძილზე ასეთი ცვლილებები პროცესია ეკონომიკური განვითარების, დღესდღეობით ფორმალური სახით არსებული ნორმები კანონების სახით, გარკვეულწილად საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული არაფორმალური ნორმების რეპრეზენტაციაა.

ჯოზეფ სტიგლიცი[1], არაფორმალური ინსტიტუტების ფორმალურ ინსტიტუტებად ტრანსფორმაციის პროცესს პირდაპირ უკავშირებს ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. მისი აზრით, როცა საზოგადოების კეთილდღეობა იზრდება ეკონომიკური, დღის წესრიგში დგება მისი სოციალური კაპიტალის შეცვლის საკითხი. ამ დროს, ინტერპერსონალური ურთიერთობები ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ფორმალური ინსტიტუტებით, როგორიცაა სხვადასხვა ტიპის სტრუქტურული სისტემები, რომლებიც ახორციელებენ წარმომადგენლობით მმართველობას. რიგ შემთხვევებში,

[1] ჯოზეფ სტიგლიცი (Joseph Stiglitz, 1943) - ამერიკელი ეკონომისტი, ახალი კეინზიანური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი. ძირითადი ნაშრომები: „Credit rationing in markets with imperfect information“ (1981), „Globalization and its Discontents“ (2002), ‘The price of inequality: How today's divided society endangers our future“ (2012) და სხვ.

ეს ტრანსფორმაცია ასევე იწვევს სრულად ახალი სოციალურ კაპიტალის შექმნას (Stiglitz, 2000, 59). ცხადია, დღევანდელი კაპიტალისტურ სისტემაში, მკვეთრად გაზრდილია ფორმალური ინსტიტუტების წილი. თუმცა, არსებული ტექნოლოგიური პროგრესი, ინსტიტუციონალური დეცენტრალიზაციის ფონზე არაფორმალური ინსტიტუციური სივრცის წილის ზრდის მოლოდინს. აღნიშნული საკითხი ვრცლად 1.3 თავში იქნება განხილული.

რიგ შემთხვევებში, არაფორმალური ინსტიტუტები ითავსებენ ფორმალური ინსტიტუტების როლს, როცა ისინი ვერ ასრულებენ მათი ბუნების შესაბამის ფუნქციებს. განვითარებად ქვეყნებში, არაფორმალური ინსტიტუტები აძლევენ ფორმას ფორმალურ ინსტიტუტებს და საბაზრო ურთიერთობებს, და ასევე ხდებიან დომინანტური ნორმები როდესაც ფორმალური ინსტიტუტების და საბაზრო ჩავარდნის დროს (Casson, Della Giusta, Kambhampati, 2010).

არაფორმალური ინსტიტუტები წარმოადგენენ არა მხოლოდ მორალური კანონს რწმენის სისტემის, ასევე ახასიათებენ ნორმებს ინდივიდუალურ კულტურის შესახებ. (North, 1981, 50). პოსტ კომუნისტურ სისტემაში, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების დიქოტომიის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართველ ეკონომისტ ვლადიმერ პაპავას, რომლის მოსაზრებებს ნაშრომის მეორე თავში, პოსტ კომუნისტური ტრანსფორმაციის აღწერისას მიმოვიხილავთ.

შიდა და გარე ინსტიტუტები. ჩვენს კვლევაში, შეგვიძლია ასევე გამოვიყენოთ ერთი საინტერესო თეორიული დაჯგუფება ინსტიტუტების შესახებ. ეს არის შიდა და გარე ინსტიტუტები. მსგავსი დაჯგუფება, ერთ-ერთი პირველი ნახსენებია გერმანელი ეკონომისტის ლუდვიგ ლაჰმანის[1] მიერ 1973 წელს, რომელიც პასუხობდა კითხვას თუ საიდან მოდიან ინსტიტუტები, რა არის მათი წყარო. თანამედროვე გერმანელი ეკონომისტი სტეფან ვოიგტი კი გვთავაზობს ამ კლასიფიკაციის შემდეგ აღწერას (Voigt, 2016,3):

- ნორმა არის გარე, თუ მის აღსრულებაზე პასუხიმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს,

[1] ლუდვიგ ლაჰმანი (Ludwig Lachmann, 1906-1990), გერმანელი ეკონომისტი. ძირითადი ნაშრომები: „Capital and Its Structure“ (1956), „Macro-economic Thinking and the Market Economy“ (1973), „The market as an economic process“ (1986) და სხვ.

- შიდა ნორმის სანქცირება ხდება უშუალოდ საზოგადოების მიერ.

ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია შიდა ინსტიტუტები, რომლებიც პირველად ვიღაცამ აღმოაჩინა, დარწმუნდა მის სარგებლიანობაში და შემდეგ მოხდა მისი გამოყენების ფართოდ დანერგვა საზოგადოებაში (Kasper, Streit 1999: 100-109). ავტორები ასევე გვთავაზობენ უშუალოდ შიდა ინსტიტუტების კლასიფიკაციას (Kasper, Streit, 1999, 111-114):

- კონვენციები - წესები, რომელთაც ობიექტური საკუთარი ინტერესის ქონის გამო ეთანხმებიან ინდივიდები. მაგალითისთვის - სამეტყველო ენა და გრამატიკული წესები, რომლებიც ამარტივებს სოციალურ ურთიერთობებს, შესაბამისად ადამიანები ავტომატურად ეთანხმებიან ამ წესებს.
- ინტერნალიზებული წესები - ამ წესებს ინდივიდები სწავლობენ გამოცდილებით, განათლებით. ეს არის ერთგვარი ქცევის წესები, რომლებიც ეფუძნება სამართლიან საყოველთაო მორალურ პრინციპებს. მაგალითად: ვალის გადახდა ან არ მოტყუება. ეს წესები, ერთის მხრივ გამომდინარეობს ინდივიდუალური პრეფერენციებიდან, მაგრამ ასევე აქვს გარკვეული სანქცირების ფუნქცია: თუ ინდივიდი არ გადაიხდის ვალს, მას განმეორებით შემთხვევაში აღარ ექნება ვალის აღების შესაძლებლობა.
- ჩვევები და კარგი მანერები, - რაც გამოიხატება რეპუტაციის სახით. ნებისმიერი ძალადობრივი ფაქტორი მნიშვნელოვნად იწვევს რეპუტაციის გაურესებას. ბიზნეს საქმიანობაში კი რეპუტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.
- ფორმალიზებული შიდა წესები - რომლებიც გამომუშავებულია გამოცდილების შედეგად, თუმცა ხდება მისი ფორმალური კონტროლი/ ადმინისტრირება გარკვეული ჯგუფის მიერ. ასეთი წესები გვხვდება სპორტში, ასევე გამოიყენება ვაჭრობასა და ბიზნესში.

ზემოთჩამოთვლილი შიდა ინსტიტუტების ოთხი ჯგუფიდან, პირველი სამი მიეკუთვნება არაფორმალური ინსტიტუტების ჯგუფს და მხოლოდ მეოთხე ჯგუფი არის მოცემული ფორმალური სახით.

შიდა ინსტიტუტების შექმნის პროცესი მეტად პრაგმატული და დეცენტრალიზებულია, მოიცავს რიგ შეცდომებს, რადგან განპირობებულია

მრავალმხრივი სოციალური ინტერაქციებით (Parker, Stacey, 1995). ასევე როგორც ოლივერ უილიამსონი[1] აღნიშნავს, შიდა ინსტიტუტების ცვლილება დროში გაწელილია (Williamson, 2000).

ფრიდრიხ ჰაიეკის[2] მიხედვით, გარე ინსტიტუტები მოიცავენ სამოქალაქო, კომერციულ და სისხლის სამართლის კანონებს (Hayek, 1973, 131-139), მაგრამ გარდა ამისა, მასში შედის სხვადასხვა დანიშნულების მქონე დირექტივები, პროცედურული და ადმინისტრაციული წესები სახელმწიფო საქმიანობის გარშემო.

მიუხედავად იმისა რომ გარე ინსტიტუტების მართვა უმეტესად ეკისრებათ სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რეალურად მათ შექმნასა და ადმინისტრირებაში ჩართულნი არიან ასევე კერძო კლუბები, სავაჭრო და ბიზნეს ასოციაციები და კერძო ინტერესის მქონე ლობისტები (Kasper, Streit, 443).

თუ პირველ კლასიფიკაციაში (ფორმალური და არაფორმალური) საკვანძო როლი ენიჭებოდა ინსტიტუტის ბუნებას - იყო თუ არა ის წერილობითი ფორმით მოცემული თუ არა, მეორე კლასიფიკაციაში (შიდა და გარე) ძირითადი ყურადღება ენიჭება ინსტიტუტის საფუძვლებს, თუ რა არის ამ ინსტიტუტის არსებობის წყარო და ვის ეკისრება მოცემული ინსტიტუტის ადმინისტრირება.

შედეგად, ეს ორი კლასიფიკაცია, ჯამურად პასუხობს მთავარ კითხვებს ინსტიტუტების რაობის შესახებ.

ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მატრიცა. ცალ-ცალკე ინსტიტუციური კლასიფიკაციების განხილვის შემდეგ, წარმოვადგინოთ ორივე კლასიფიკაცია ერთ სიბრტყეზე და სხვადასხვა მხრიდან შევაფასოთ ინსტიტუციური სტრუქტურები.

გერმანელი ეკონომისტი სტეფან ვოიგტი[3] 2016 წლის ნაშრომში (Voigt, 2016) გვთავაზობს თეორიულ მოდელს, სადაც ერთდროულად გამოიყენება ორივე კლასიფიკაცია ინსტიტუტების დასაჯგუფებლად. თუ გამოვიყენებთ ორივე

---

[1] ოლივერ უილიამსონი (Oliver Eaton Williamson, 1932) - ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის მფლობელი ეკონომიკურ მეცნიერებაში ელინორ ოსტრომთან ერთად (2009). ძირითადი ნაშრომები: „The Economic Institutions of Capitalism“ (1985), „Economic Organization“ (1990), „The Mechanisms of Governance“ (1996) და სხვ.

[2] ფრიდრიხ ჰაიეკი (Friedrich Hayek, 1899-1992) - ავსტრიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი. ნობელის პრემიის მფლობელი გუნარ მურდალთან ერთად (1974). ძირითადი ნაშრომები: „The Road to Serfdom“ (1944), „Individualism and Economic Order“ (1948), „Law, Legislation and Liberty“ (1973-1979) და სხვ.

[3] სტეფან ვოიგტი (Stefan Voigt, 1962) - გერმანელი ეკონომისტი, ინსტიტუციური ეკონომიკის მკვლევარი. აღსანიშნავია, მისი სტატიები ინსტიტუტების გაზომვასთან დაკავშირებული თანამედროვე მეთოდოლოგიის შესახებ : „How (not) to measure institutions“ (2013), „How to Measure Informal Institutions“ (2016) და სხვ.

მიდგომას, ჩვენ მივიღებთ ორგანზომილებიან ინსტიტუციურ სტრუქტურას ოთხი ინსტიტუციური ჯგუფის შემადგენლობით, სადაც თითოეულ ჯგუფი ხასიათდება ორი განზომილებით:

- არის ფორმალური თუ არაფორმალური ინსტიტუტი ?
- არის შიდა თუ გარე ინსტიტუტი?

ეს ოთხი ჯგუფია:

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები
- ფორმალური გარე ინსტიტუტები
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები

ნაშრომის შემდგომ ნაწილში, მათს ნაცვლად რიგ შემთხვევებში გამოვიყენებთ გარკვეულ აღნიშვნებს:

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - FII
- ფორმალური გარე ინსტიტუტები - FEI
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები -III
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები - IEI

თითოეული ინსტიტუციური ჯგუფი მოკლედ შეგვიძლია აღვწეროთ შემდეგი სახით:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები (FEI): კანონები და სხვა ოფიციალური ნორმები, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ;
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები (FII): საზოგადოებასა და ბიზნესში არსებული ფორმალური ნორმები;
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები (IEI): სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა და საზოგადოების დამოკიდებულება საჯარო ინსტიტუტების მიმართ;
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები (III): დაუწერელი ქცევის კანონები საზოგადოებაში, მაგალითად: ეთიკური ნორმები.

ინსტიტუციური ჯგუფები და ეკონომიკური ზრდა. კვლევის პრაქტიკულ ნაწილში, ვეცდებით ეკონომიკურ ზრდას და ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირის აღმოჩენას. ეკონომიკურ თეორიაში, ინსტიტუტების როგორც ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტად პოზიციონირება ინსტიტუციური სკოლის წარმომადგენელ ეკონომისტებს უკავშირდება.

ახალი ინსტიტუციური სკოლა ეკონომიკური პროცესების ასახსნელად, ასევე ფართოდ იყენებს საკუთრების უფლებას. დუგლას ნორტი და რობერტ ტომასი იყვნენ მოწინავეები ეკონომიკური ზრდის საკუთრების უფლების სტრუქტურით ახსნით, მათ მიხედვით - ეკონომიკურ ზრდას ექნება ადგილი, თუ საკუთრების უფლების წყალობით სოციალური აქტივობის განხორციელებას ექნება ეკონომიკური აზრი. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ისეთი საკუთრების უფლების არსებობისთვის, რომელზეც ტრანსაქციული ხარჯები არ იქნება მეტი მის მიერ შექმნილ პოტენციურ კეთილდღეობის მოცულობაზე. ხშირად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას საკუთრების უფლების დაცვაზე, რადგან მას ეს უჯდება უფრო იაფი ვიდრე კერძო მოხალისე ჯგუფებს. თუმცა, სახელმწიფოს ფისკალურმა საჭიროებამ აქტივების ანუ საკუთრების უფლებების დასაცავად, შეიძლება პირიქით ხელი შეუშალოს ეკონომიკურ ზრდას, შესაბამისად ამ კუთხით ჩვენ არ გვაქვს მყარი ინსტიტუციური გარანტიები. (North, Thomas, 1973). საკუთრების უფლება და მისი დამცავი მექანიზმები არის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, თუმცა არ არსებობს ოპტიმალურ მდგომარეობა ამ ინსტიტუტების მაქსიმალური ეფექტიანობისთვის.

ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მოდელში, ინსტიტუტები გამოყენებულია, როგორც ეკონომიკური განვითარების ამხსნელი ცვლადი. ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი სქემა გამოიყურება შემდეგნაირად - ინსტიტუციური გარემო მოქმედებს მმართველობით სტრუქტურებზე, ხოლო მმართველობითი სტრუქტურები კი უშუალოდ ეკონომიკურ პროცესებზე ახდენენ გავლენას (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 62). შედეგად ინსტიტუტები გვევლინებიან ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტად. შესაბამისად, თეორიის მიხედვით, საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ცვლილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი ინსტიტუტები უნდა იყოს ანუ არსებობდეს მნიშვნელოვანი

თანხვედრა საზოგადოების ეკონომიკურ და ინსტიტუციურ გარემოს ცვლილებებს შორის. მოცემული ჰიპოთეზის შეფასებას, კვლევის პრაქტიკულ ნაწილში მოვახდენთ.

1.3. ინსტიტუციურ ცვლილებათა თანამედროვე გამოწვევები

ისტორიულად, ადამიანები ვაჭრობდნენ ვიწრო საზღვრებში, შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობა მეტწილად მიმდინარეობდა ლოკალურ დონეზე. მაგრამ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ხარჯების მასობრივმა შემცირებამ მსოფლიო უფრო „მცირე“ გახადა, დააკავშირა რა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონები ერთმანეთს, შესაბამისად დაიწყო ვაჭრობის და მთლიანად ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი.

დღევანდელ სამყაროში ადამიანები ყიდულობენ საქონელს მომწოდებლებისგან, რომელთაც პერსონალურად არ იცნობენ და ასევე დისტანციურად ყიდულობენ საქონელს, რომლის ხარისხის შემოწმების საშუალება ყიდვამდე არ აქვთ. შედეგად, ტრანსაქციების განხორციელება მიმდინარეობს არასრულყოფილი ინფორმაციის მქონე მსოფლიოში. როგორც წინა თავებში აღინიშნა არასრულყოფილი ინფორმაცია გაურკვევლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი დეტერმინანტია, ხოლო გაურკვევლობის შემცირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ინსტიტუტები უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, არასრულყოფილი ბაზრების დომინაციამ უფრო დიდ მნიშვნელობა შესძინა ინსტიტუტებს ეკონომიკურ პროცესებში. მაგრამ ასევე უნდა ითქვას, რომ ამასთან ერთად მუდმივად იცვლება ინსტიტუტების როლი ეკონომიკურ პროცესებში, განსაკუთრებით კი სოციალ-ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური გარემოს ცვლილების ფონზე. 21-ე საუკუნე ექპონენციალურად მზარდი ტექნოლოგიების ეპოქად მიიჩნევა, შესაბამისად ინსტიტუციური ცვლილებებიც მიმდინარეობს საკმაოდ მაღალი ტემპით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სიახლის ხარისხი უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტია ინსტიტუციური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. ინფორმაციული ხარჯების შემცირებამ და მონაცემებზე ღია წვდომამ შესაძლებელი გახადა ინსტიტუციური იმიტირება და ადაპტირება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. შედეგად, დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებს აქვთ საშუალება განვითარებული ქვეყნებიდან გადმოიღონ რიგი ინსტიტუციური

რეფორმები. თუმცა დუგლას ნორტი აღნიშნავს, მიუხედავად ინსტიტუციური იმიტირების შესაძლებლობისა, სხვაობა ინსტიტუციური განვითარების კუთხით, განვითარებად და განვითარებულ სამყაროს შორის კვლავ საკმაოდ დიდია. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არასრულყოფილი წარმოდგენა გვაქვს ტექნოლოგიური და ინსტიტუციური სტრუქტურის შესახებ, რაც აუცილებელი არის ეკონომიკური განვითარებისთვის (North, 2005, 168). აღნიშნული ფაქტი კვლავ ადასტურებს ნეოინსტიტუციური ეკონომისტების აზრს ინსტიტუტების ენდოგენური ბუნების შესახებ (რაც განხილულა იქნა 1.1 თავში), რომელიც ყოველთვის ბუნებრივად გამომდინარეობს ადამიანების სოციალური ფუნქციიდან. შესაბამისად არ არსებობს ზუსტი ფორმულები განვითარებული ქვეყნისთვის შესაფერისი ინსტიტუციური სტრუქტურის შესახებ, რომელიც მარტივად დაინერგება ნებისმიერ დროს ნებისმიერ საზოგადოებაში. განვითარებად ქვეყნებში არსებულ წარუმატებელი ინსტიტუციური იმიტირებაზე, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დროითი ფაქტორი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო საუკუნის განმავლობაში ტექნოლოგიურმა პროგრესმა დააჩქარა ინსტიტუციური ცვლილებების პროცესი. შედეგად, ინსტიტუციური იმიტირების პროცესში, შესაძლებელია რიგი რეფორმები რამდენიმე წლის შემდეგ უკვე მოძველებული აღმოჩნდეს. მაგალითისთვის, როდესაც დღევანდელ განვითარებულ მსოფლიოში რიგი ფორმალური ინსტიტუტების პრობლემები ცენტრალური საკითხია, მესამე სამყაროს ქვეყნებში მხოლოდ ახლა იწყება არაფორმალური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია ფორმალურ ინსტიტუტებად.

2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი უახლესი ეკონომიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. კრიზისმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ-პოლიტიკურ დღის წესრიგზე და ასევე შეარყია არსებული ეკონომიკური თეორიები. უკანასკნელი ფინანსური კრიზისი იყო მნიშვნელოვანი ტესტი როგორც მთლიანად ეკონომიკური მეცნიერებისთვის, ასევე კონკრეტულად ინსტიტუციური ეკონომიკისთვისაც. ისტორიის მანძილზე, ყოველი ეკონომიკური კრიზისი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა არსებულ ძირითად (მეინსტრიმ) ეკონომიკურ თეორიებს და ამასთანავე ჰქმნიდა მოტივაციას ახალი ეკონომიკური თეორიების თუ იდეებისთვის. ასე მოხდა მაგალითად - დიდი დეპრესიის, 70-იანების

ოპეკის (OPEC) კრიზისის, იაპონიის „დაკარგული დეკადა“ თუ 90-იანების dot.com-ების ფინანსური კრიზისის შემდგომ. განსხვავებით წინა კრიზისებისგან, 2008 გლობალური კრიზისის შედეგებმა არათუ ეჭვქვეშ დააყენა ძირითადი ეკონომიკური თეორიების მართებულობა, არამედ დაგვანახა რომ ეკონომიკური გარემო მკვეთრად შეცვლილია და სხვადასხვა მოვლენების ახსნა მხოლოდ ძველი ეკონომიკური სკოლების გამოყენებით, პრაქტიკულად შეუძლებელია. შედეგად, პრობლემა არა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებშია რომლითაც ვცდილობთ ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენას, არამედ პრობლემა ჩვენს აღქმაშია ეკონომიკური გარემოს, რომელიც თითქმის აღარ ჰგავს იმ გარემოს, რომლის შესახებაც წერდნენ კლასიკური ეკონომიკური სკოლების წარმომადგენლები.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ ინსტიტუტების როლი თუ დანიშნულება თანამედროვე ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესებში მნიშვნელოვნად შეცვლილია, შესაბამისად ინსტიტუციური ეკონომიკის მიმართულება საჭიროებს ცვლილებებს. არსებული ინსტიტუტები მეტწილად მოძველებულია და ვერ პასუხობს ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში არსებულ გამოწვევებს. გარდა ამისა, დღევანდელ სამყაროში ცვლილებები საკმაოდ დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს, რაც საჭიროებას ეკონომიკურ მეცნიერებაში ადაპტაციის მაღალ უნარს.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი რაჩელ ბოტსმანი[1] გამოყოფს 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისს, როგორც სიმბოლოს თანამედროვე ინსტიტუციური სტრუქტურის ნგრევის (Botsman, 2016 ,5-10). მისი აზრით, ჩვენ ვიმყოფებით ზღვარზე ინსტიტუტებთან დაკავშირებულ ერთ-ერთი ყველაზე დიდი რევოლუციის კაცობრიობის ისტორიაში. ინსტიტუტების ხარისხთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტის - ნდობის მკვეთრ ცვლილებას (Botsman, 2016, 7). პროფესორი გამოყოფს სამ ეტაპს კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც უკავშირდებოდა განსხვავებულ ინსტიტუტებს და განსხვავებულ ნდობის ხარისხს მათთან მიმართებაში:

[1] რაჩელ ბოტსმანი (Rachel Botsman, 1978) - ნდობის ფაქტორის ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე მკვლევარი მსოფლიოში. ავტორი ბეთსელერების - „What's mine is yours: how collaborative consumption is changing the way we live“ (2011), „Who Can You Trust?: How Technology Brought Us Together–and Why It Could Drive Us Apart“ (2017).

1. „ადგილობრივი“, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ მცირე საზოგადოებებში და ერთმანეთთან ურთიერთობას ახდენდნენ უშუალო ნაცნობობით, კომპლექსური ფორმალური ინსტიტუტების გარეშე;
2. „ინსტიტუციური რევოლუცია“, როდესაც შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ფორმალური ორგანიზაციები და წერილობითი კონტრაქტები;
3. დეცენტრალიზებული, სადაც იცვლება ნდობა ინსტიტუტების მიმართ და ეკონომიკური ურთიერთობები და ინსტიტუტები ხდება უფრო მეტად დეცენტრალიზებული.

როგორც ზევით ითქვა, ავტორი რევოლუციების კლასიფიკაციას ახდენს ნდობის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც არის განმსაზღვრელი დეტერმინანტი თითოეული ინსტიტუტის მნიშვნელობის. მოცემულ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, აღვწეროთ თითოეული ეტაპზე არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა.

ადგილობრივ ინსტიტუციურ სივრცეში წამყვანი როლი ენიჭებოდათ არაფორმალურ ინსტიტუტებს, მათ შორის ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს, როგორიცაა „ოჯახი“. ამ საზოგადოებაში ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა ინდივიდების მიერ უშუალო სიტყვიერი შეთანხმებებით. შესაბამისად, არ არსებობდა საჭიროება ეგრეთწოდებული „შუამავალი“ ინსტიტუტების.

თანდათანობით კაცობრიობის განვითარებამ, მოსახლეობის ზრდი ტემპების მატებამ განაპირობა ეკონომიკური ტრანსაქციების უფრო ფართო მასშტაბით განხორციელება, რამაც როგორც ზევით აღინიშნა გაზარდა გაურკვევლობის დონე, შესაბამისად მოხდა რიგი ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურების და ორგანიზაციული ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ცივილიზაციის მომდევნო განვითარების ეტაპებმა, დღის წესრიგში დააყენა ახალი ტიპის ინსტიტუციური გარემოს საჭიროება. ცენტრალიზებული ინსტიტუციური სქემების უპირატესობა გახლდათ, მათ მიერ მიღებული მასშტაბის ეკონომია ინდივიდებს შორის მოლაპარაკებების პროცესში, თუმცა, ახალი ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას ასეთი ტიპის ტრანსაქციული ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას. რაც თავის თავში გულისხმობს, არსებული ინსტიტუტებისთვის რიგი ფუნქციების დაკარგვას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რაც იბადება ახალი ინსტიტუციური სტრუქტურის შესახებ არის თუ რა იქნება ამ სტრუქტურაში ფორმალური და არაფორმალური ნორმების როლი?

ყველა თანამედროვე მკვლევარი თანხმდება ფაქტზე, რომ ახალი ინსტიტუციური რეალობის უმთავრესი ძრავი ტექნოლოგიური განვითარებაა. ინსტიტუტების მთავარი უპირატესობა კი, როგორც პირველ თავში აღინიშნა გაურკვევლობის და ტრანსაქციული ხარჯების შემცირებაა. შესაბამისად, ინსტიტუციური ცვლილებებისთვის განსახორციელებლად. უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტი ტრანსაქციული ხარჯების მოცულობის მოსალოდნელი ცვლილებაა[1]. ინსტიტუტები იცვლებიან ახალი ინსტიტუტებით, რომელიც უფრო მეტად ამცირებენ გაურკვევლობას, უფრო პროგნოზირებადს ხდიან გარემოს და უფრო მეტად ამცირებენ გასაწევ ტრანსაქციულ ხარჯებს ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის.

რონალდ ქოუზი[2] გამოყოფდა სამი ძირითადი ტიპის ტრანსაქციულ ხარჯს ეკონომიკაში (Coase, 1937):

- ძიების ხარჯი,
- კოორდინაციის ხარჯი,
- კონტრაქტის ხარჯი.

ეს ხარჯები ფორმას უცვლიან სოციალურ სტრუქტურებს. შესაბამისად, ამ ხარჯების ზრდა/შემცირება ცვლის კორპორაციულ სტრუქტურას და შესაბამისად ეკონომიკის ინსტიტუციურ მოწყობას. ადამიანები ცდილობენ შექმნან ახალი ინსტიტუტები, რომელნიც მოახდენენ ამ ხარჯებიდან რომელიმეს ან ყველას ერთობლივ შემცირებას.

ინსტიტუციური ცვლილებების შესაფასებლად, აუცილებელია ტექნოლოგიების და ტრანსაქციული ხარჯების ურთიერთდაკავშირება. საწყის ეტაპზე, ახალი ტექნოლოგიები იძლევიან ტრანსაქციული ხარჯების მოცულობის შესაძლებლობას,

---

[1] იხ. ასევე დუგლას ნორტი (1981).

[2] რონალდ ქოუზი (Ronald Coase, 1910-2013) - ბრიტანელი ეკონომისტი, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი. ნობელის პრემიის მფლობელი (1991). ძირითადი ნაშრომები: "The Nature of the Firm" (1937), "The Problem of Social Cost" (1960) და სხვ.

რასაც უკვე მოყვება შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილება, რითაც განახლებულ სოციალურ გარემოში გვხვდებიან ინსტიტუტები, რომელთა გამოყენება ხასიათდება ნაკლები ტრანსაქციული ხარჯით საზოგადოებისთვის

თანამედროვე მკვლევარები გამოყოფენ რიგ ფაქტორებს, რომლებსაც ახალი ტექნოლოგიების წყალობით, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომავალში სოციალური სტრუქტურების ფორმირებაზე. არსებულ თეორიებზე დაყრდნობთ, ჩვენ მოვახდინეთფაქტორების დაჯგუფება სამ ძირითად ჯგუფად:

1. ციფრული ინფორმაცია
2. ციფრული რეპუტაცია
3. ციფრული აქტივები

განვიხილოთ თითოეული მათგანის არსი და გამოვყოთ მათი გავლენა ტრანსაქციული ხარჯების შემცირების კუთხით.

ციფრული ინფორმაცია - თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების პირველი მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკაზე გახლდათ ინტერნეტის დანერგვა, 90-იანი წლებიდან. ინტერნეტი და სხვა ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის. ამ ტექნოლოგიებმა შეძლო გადაეჭრა რიგი პრობლემები არასრულყოფილი ინფორმაციის გარშემო. ამ ტექნოლოგიებმა ხელმისაწვდომი გახადა დიდი მოცულობით ინფორმაციის დაგროვება და ამ ინფორმაციის დისტანციური გაცვლა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილს შორის. დიდი რაოდენობით აგრეგირებულმა და ხელმისაწვდომმა ინფორმაციამ შეცვალა ინსტიტუტების როლი ეკონომიკაში. ინსტიტუტები, რომელთა როლიც ინფორმაციის გაცვლის პროცესში შუამავლობა იყო, ნაწილობრივ უფუნქციოდ აღმოჩნდნენ ახალ რეალობაში.

მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ ცვლის ციფრული ტექნოლოგიები არსებულ ინსტიტუციურ სტრუქტურებს.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას რომ გაურკვევლობის აღმოფხვრა მოხდეს ინდივიდების თუ ორგანიზაციების დიდ ქსელშიც, ეს კი ცვლის ტრადიციულ ინსტიტუციური ნდობის იერარქიას (Botsman, 2016. 50). ახალ რეალობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა

ინფორმაციის აგრეგაციის, შედეგად ინდივიდებს შეუძლიათ ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია გარიგების მეორე მხარის შესახებ და ასევე ჰქონდეთ უშუალო კონტაქტი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ეს კი ამცირებს ტრანსაქციულ ხარჯებს ინფორმაციის მოპოვების პროცესში, შესაბამისად მცირდება შუამავლის როლი და ხდება დეცენტრალიზებული კავშირების წარმოქმნას. შედეგად, უშუალოდ ციფრულმა ინფორმაციამ შეამცირა ქოუზის მოცემულ ხარჯთაგან პირველი კატეგორია - ძიების ხარჯები. ასევე გარკვეულწილად შეამცირა კოორდინაციის ხარჯები დისტანციური სერვისების გამოყენების საშუალებით, თუმცა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ვერ მოახდინა კონტრაქტის ხარჯებზე.

უნდა აღინიშნოს რომ, ნაწილობრივ ახალი ინსტიტუციური სტრუქტურა ემსგავსება პირვანდელ ლოკალურ ინსტიტუციურ გარემოს, სადაც გაურკვევლობას ამცირებდა ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებები მიიღებოდა უშუალოდ ინდივიდების მიერ, ერთმანეთთან ურთიერთობების პროცესში.

საზოგადოების განვითარების პირველმა ეტაპმა მოგვიტანა, ტრანსაქციებში ჩართულ ინდივიდთა რაოდენობის ზრდა და შესაბამისად არასრულყოფილი ინფორმაციის ზრდა. თუმცა, მომდევნო განვითარების ეტაპები ტექნოლოგიების წყალობით, იძლევა პოტენციალს რომ გადაწყვეტილებები მივიღოთ ინდივიდთა მრავალრიცხოვან ჯგუფში.

ციფრული რეპუტაცია და რეგულატორის ფუნქციის ჩანაცვლება - მოყოლებული შუა საუკუნეებიდან, როცა სავაჭრო ინსტიტუტებთან ნდობას ამყარებდნენ ორი ფაქტორით: რეპუტაცია და საერთო ინტერესი (Sundararajan, 2016). რეპუტაციის, როგორც ინსტრუმენტის მოქმედების სქემა მეტად მარტივია - ეკონომიკური ტრანსაქციები უფრო მარტივად ხორციელდებოდა იმ სუბიექტებთან, რომლებთან ურთიერთობისას ბაზრის სხვა მონაწილეებს დადებითი წარსული გამოცდილება გააჩნდათ. ასევე, გარკვეული საერთო ინტერესის ქონა აადვილებდა გარიგებას. თანამედროვე ციფრულ ბაზარზე ჩნდება ახალი ტერმინი „ციფრული რეპუტაცია“, რაც გულისხმობს ტრანსაქციაში მონაწილე პირების საქმიანობის შესახებ ციფრულ სამყაროში დაგროვებულ ინფორმაციას. ასეთი ფორმით მოხდა ტრადიციული რეპუტაციის ციფრულ რეპუტაციად ტრანსფორმაცია.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს - საერთო ინტერესს, მისი ტრანსფორმაციის კარგი მაგალითი გაზიარებადი ეკონომიკაა, სადაც გარიგების ყველა მხარეს აქვს საერთო ინტერესი, რადგან ფუნქციონირებენ ერთ პლატფორმაზე. გაზიარებადი ეკონომიკა ერთის მხრივ წინა პლანზე აყენებს ინდივიდუალურ პრეფერენციებს, ასევე ამაღლებს კეთილდღეობას, რაც მიიღწევა გარკვეული საქონლის საზოგადოებრივი მოხმარებით. შედეგად კი, რესურსების მაქსიმალური ეფექტიანი გამოყენებას აქვს ადგილი (Botsman, R Rogers, 2010, 67-70). გარდა საერთო ინტერესის ქონისა, გაზიარებად ეკონომიკაში ციფრული რეპუტაცია უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტის როლს თამაშობს. რადგან გაზიარებად ეკონომიკას უამრავი ინდივიდუალური მომწოდებელი ჰყავს, მათ მოწოდებულ სერვისზე მოთხოვნის და შესაბამისად ფასის განსაზღვრის მთავარი ინდიკატორი - ციფრული რეპუტაციაა. მომწოდებლები მაღალი ციფრული რეპუტაციით ანუ დადებითი სავაჭრო გამოცდილებით, უფრო მეტად მოთხოვნადები არიან სერვისის მყიდველი სუბიექტების მიერ.

უახლეს წლებში, გაზიარებადი ეკონომიკის უამრავ წარმატებულ მაგალითს ვხედავთ ბიზნესის სხვადასხვა ინდუსტრიებში, როგორიცაა საბინაო ინდუსტრია, ტრანსპორტი, ვაჭრობა და ასე შემდეგ. გაზიარებადი ეკონომიკები მუშაობს გარკვეულ პლატფორმებზე, რომლებიც ძირითადად ციფრულ სამყაროში ფუნქციონირებს. როგორც თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ, მე-20 საუკუნის დასაწყისში მსხვილი კომპანიების წარმოშობის მთავარი მიზეზი მასშტაბის ეკონომია იყო, რაც საშუალებას აძლევდა დიდ ფირმებს ემუშავათ ხარჯების მინიმიზაციით. დღევანდელ დღეს, ეკონომიკის გარკვეულ დარგებში მასშტაბის ეფექტის მიღწევა შესაძლებელია პლატფორმაზე ფუნქციონირებით. პლატფორმებზე ხშირად გვხდება ორმხრივი კავშირის ეფექტი (two-sided network effect), სადაც თავმოყრილია დიდი რაოდენობა სერვისის მიმწოდებლების და მყიდველების. პლატფორმებზე, მიმწოდებლების დიდი მოცულობა იზიდავს ახალ მიმწოდებლებს ან მომხმარებლებს, ხოლო მომხმარებლების დიდი რაოდენობა ახალ მომხმარებლებს ან მიმწოდებლებს (Parker, Alstyne, Choudary, 2010. 21) აღნიშნულ ფაქტი უფრო მეტად საინტერესოს ხდის პლატფორმების მნიშვნელობას თანამედროვე ეკონომიკაში. თუ ტრადიციულ ბიზნეს სტრუქტურებში, გარკვეულ სეგმენტზე შეიმჩნევა ფირმების მაღალი კონცენტრაცია, როგორც წესი ახალი ფირმები ნაკლებად შედიან ამ

სეგმენტზე, შესაბამისად დაბალია კოოპერაციის ეფექტი. პლატფორმის შემთხვევაში, რაც უფრო გაჯერებულია პლატფორმა ფირმებით, ეს უფრო სანდოს ჰქმნის პლატფორმას. შესაბამისად, პლატფორმაზე შედიან ახალი ფირმები, ხოლო გაზრდილი მიწოდება ბალანსდება გაზრდილი მოთხოვნით რადგან მსგავსი ეფექტები შეიმჩნევა მომხმარებლის მხარიდან (გაზრდილი მომხმარებლების და მიმწოდებლების მოცულობა იწვევს ახალი მომხმარებლების გამოჩენას).

ციფრული რეპუტაცია ამცირებს ძიების კოორდინაციის ხარჯებს, რადგან იძლევა მეტ ინფორმაციას ბაზრის მოთამაშეების შესახებ. ასევე, ციფრული რეპუტაცია ამცირებს კონტრაქტის ხარჯებს, კონტრაქტების შესახებ ინფორმაციის ციფრულ სამყაროში განთავსებით, თუმცა საბოლოოდ კონტრაქტები მაინც რეალურ სამყაროში იდება.

როგორც ზევით ითქვა, მსგავსი ცვლილებები იწვევს გარე ინსტიტუტების ჩანაცვლებას შიდა ინსტიტუტებით, რომელთა ფუნქციონირება უშუალოდ მომხმარებლის ბუნებიდან გამომდინარეობენ (Sundararajan, 2016). თანამედროვე ციფრულ ეპოქაში, შიდა ინსტიტუტებს აქვთ საკმარისი რეპუტაცია, რათა მოახდინონ ფართო მასშტაბის პრობლემების რეგულირება.

ინსტიტუტების როლის ცვლილებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში, მათ შორის სახელმწიფოს როგორც რეგულატორის ფუნქციებთან მიმართებაში. არსებული სახელმწიფო რეგულაციების მიზანი უმთავრესად „საბაზრო ჩავარდნის“ გადამისამართება არის. თანამედროვე მკვლევარები მიიჩნევენ, ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, რეგულატორის ფუნქციის ჩანაცვლება ხდება ბაზარზე ორიენტირებული დეცენტრალიზებული მოდელით, რაშიც მნიშვნელოვან როლს გაზიარებადი ეკონომიკა თამაშობს (Sundararajan, 2016. 144-146). გაზიარებადი ეკონომიკა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მიიღონ სხვადასხვა პროდუქტი, მომსახურება თუ ინფორმაცია კონკურენტულ ციფრულ ბაზარზე. ეს კი თავისთავად ამცირებს გარე რეგულატორი ინსტიტუტების მოქმედების არეალს. გამოიყოფა სამი ტიპის შიდა რეგულატორი (Kasper, Streit, 2012):

- P2P (peer-to-peer) რეგულაცია;
- თვითრეგულირებადი ორგანიზაციული სქემა;

- ინფორმაციულ ბაზაზე დამყარებული რეგულირება.

ციფრული აქტივები - ციფრული ერა გვთავაზობს ულიმიტო შესაძლებლობებს, ახალ საფრთხეებს. წინა ეპოქალური ტრანსფორმაციის პირობებში, საზოგადოებას ცვლილებებთან ადაპტაცია საუკუნეების მანძილზე გაწელილი პროცესი იყო. დღეს კი ცვლილებები ბევრად უფრო სწრაფია. შესაბამისად ჩვენი რეგულატორი და პოლიტიკის ინფრასტრუქტურა არაადეკვატურია ასეთ ცვლილებებთან და ციფრული ეპოქის მოთხოვნებთან მიმართებაში. (D Tapscott, A Tapscott, 2016. 308). თუ ინტერნეტმა შექმნა მნიშვნელოვანი უპირატესობები ბიზნესის ფუნქციონირებისთვის, ბლოკჩეინ სისტემას პირდაპირ ციფრულ სამყაროში გადააქვს ეკონომიკური პროცესები, შემოაქვს რა ციფრული აქტივების ცნება ეკონომიკაში. გლობალური ინტერნეტიზაციით, გაჩნდა შესაძლებლობები ინფორმაციის გავრცელების, პროდუქტის პოზიციონირების და მათი ვაჭრობითაც, თუმცა პრაქტიკულად ინტერნეტი მაინც რჩება მხოლოდ ეკონომიკური ტრანსაქციების ციფრულ რეპრეზენტაციად, რადგან საბოლოოდ ტრანსაქციები მაინც რეალურ სამყაროში ხორციელდება. ბლოკჩეინ ტექნოლოგია, ორმაგი ჩაწერის პრობლემის მოგვარების წყალობით, საშუალებას იძლევა ციფრულ სამყაროში რეალური აქტივების შექმნას.

განსხვავებით ციფრული ინფორმაციის და ციფრული რეპუტაციისა, ციფრული აქტივები გარდა ძიების და კოორდინაციის ხარჯისა, მნიშვნელოვნად ამცირებენ კოორდინაციის ხარჯებს. ციფრული აქტივების არსებობას, ტრანსაქციები მთლიანად გადაყავს ციფრულ სამყაროში.

ინტერნეტმა ნაწილობრივ შეამცირა ტრანსაქციული ხარჯები, ბლოკჩეინის დეცენტრალიზებულ ჯაჭვურ სისტემას კი ძალა შესწევს თითქმის სრული მინიმიზაცია მოახდინოს ამ ხარჯების, განსხვავებით ინტერნეტისგან - (D Tapscott, A Tapscott, 2016, 98-106).

ინტერნეტ ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ძიების ხარჯები, თუმცა ინტერნეტის არაანონიმურობის გამო, ყველა სუბიექტი თავის ინფორმაციას არ ათავსებს საჯარო ინტერნეტ სივრცეში. ბლოკჩეინი, თავის ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე - ტრანსპარეტული, დაცული და დეცენტრალიზებული

მონაცემთა ბაზაა. შესაბამისად, ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა მოხდეს უზარმაზარი ინფორმაციის აგრეგაცია ანონიმურობის დაცვით. მოსალოდნელია, რომ თითქმის ყველა ინდუსტრია დაიწყებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე პერსონალური ინფორმაციის განთავსებას. გაზრდილი მოცულობის ინდივიდუალური ინფორმაციის აგრეგირება კი ახალი შესაძლებლობაა მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგისთვის და ეფექტიანი ბიზნეს პროცესებში პროგნოზების გასაკეთებლად.

კოორდინაციის ხარჯი - ცენტრალიზებული ტრადიციული ორგანიზაციული იერარქია, ძალიან დიდ ტრანსაქციულ ხარჯს მოითხოვს ეკონომიკის ფუნქციონირებისას, რაც უფრო დიდია ორგანიზაცია, მით უფრო რთულდება მისი მენეჯმენტი. ბლოკჩეინ ტექნოლოგია არსებულ სისტემას ცვლის დეცენტრალიზებული მოდელით, სადაც მენეჯერები მხოლოდ შუამავლები არიან გარკვეულ რგოლებს შორის.

განსხვავებით ფიზიკური საგნებით ვაჭრობისგან, კონტრაქტის დადება არის მხოლოდ პირობებით ვაჭრობა, რის განხორციელებაც შეუძლებელია ტრადიციულ ინტერნეტში. ბლოკჩეინი გვთავაზობს სმარტ კონტრაქტებს, რომლებსაც აქვთ თვითრეგულირებადი ფუნქცია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ციფრულ სამყაროში კონტრაქტების დასადებად. ტრადიციული კონტრაქტების ციფრულ სამყაროში გაფორმებისას, რეალურად კონტრაქტის სანქცირების მექანიზმები კვლავაც რჩება რეალურ სამყაროში. დეცენტრალიზებული ჯაჭვური სისტემა საშუალებას იძლევა ნებისმიერი კონტრაქტის სანქცირების მექანიზმები ჩადებული იყოს უშუალოდ „ჭკვიან კონტრაქტში“. შესაბამისად, ორ მხარეს ერთმანეთთან ციფრულ სამყაროში კონტრაქტის გასაფორმებლად არ ესაჭიროებათ შუამავალი, რომელიც მოახდენს კონტრაქტში არსებული სანქცირების მექანიზმების ადმინისტრირებას (Swan, 2015). ჭკვიან კონტრაქტში თავსდება სრული ინფორმაცია სანქციების შესახებ და თუ რომელიმე მხარემ დაარღვია კონტრაქტის პირობა, ჭკვიანი კონტრაქტი ავტომატურად ახდენს სანქცირებას, მათ შორის ტრანსაქციის ფინანსურ ნაწილში.

შემცირებული კონტრაქტის ხარჯები რადიკალურად ცვლის ინსტიტუციურ გარემოს. თუ ძიების ხარჯების შემცირებამ გამოიწვია იმ შუამავალი ინსტიტუტების

გაქრობა, რომლებიც ინფორმაციულ შუამავლობას ეწეოდნენ. კონტრაქტის ხარჯების შემცირება ბაზრიდან გააქრობს ინსტიტუტებს, რომელთა როლი კონტრაქტის ორ მხარეს შორის სანქცირების ადმინინსტრირება იყო. ეს ეხებათ ასევე გაზიარებადი ეკონომიკის წარმატებულ პლატფორმებს, რომლებიც დღეს შუამავლის როლს ასრულებენ. ასევე, დეცენტრალიზებული სისტემა სრულად ახალ გამოწვევებს ჰქმნის ფინანსური სისტემისთვის, სადაც შეიძლება ჩანაცვლდეს ინსტიტუტები, რომლებსაც აკისრიათ ფულის ემიტენტის როლი.

ასევე, გამოწვევები იქმნება საბანკო საქმიანობისთვის - რომელიც საუკუნეების მანძილზე მთავარი ინსტიტუტი იყო დანაზოგებსა და ინვესტიციების დასაკავშირებლად. თანამედროვე დეცენტრალიზებულმა ტექნოლოგიებმა და პლატფორმებმა შესაძლებელია გააქრონ შუამავლის როლი ფინანსური რესურსებით ვაჭრობის პროცესში.

თავი II. ეკონომიკური ტრანსფორმაცია და ინსტიტუციური ცვლილებები

2.1. ინსტიტუციურ ცვლილებებათა მახასიათებლები

როგორც დუგლას ნორტი აღნიშნავდა, ინსტიტუციური ცვლილებებისას მნიშვნელოვანია როგორც ტრანსფორმაციული ისევე ტრანსაქციული დანახარჯები. ტრანსფორმაციული დანახარჯები, ამ შემთხვევაში განიმარტება როგორც დანახარჯები რესურსებზე კონტროლის დამყარებასა და განხორციელებაზე (North, 2005). ნორტმა გამოკვეთა ოთხი ძირითადი ფაქტორი, რომელიც გამოიყენება ტრანსფორმაციული დანახარჯების განსაზღვრისათვის (North, 1997):

- პირველი; ეს არის დანახარჯი, რომელსაც საჭიროებს ღირებულების განსაზღვრა საქონელსა თუ მომსახურებაზე, ან ეკონომიკური აგენტის ქმედებაზე საბაზრო გაცვლის პროცესში;
- მეორე ფაქტორი, არის დანახარჯი, რომელიც დამოკიდებულია ბაზრის ზომაზე, სადაც გაცვლა მიმდინარეობს. სუბიექტური ანუ პერსონალური გაცვლის დროს მეგობრობა, ლოიალურობა, ნაცნობობა და საქმიანობის განმეორებადობა ამცირებს დანახარჯებს, უფრო მარტივად იდება კონტრაქტები. არაპერსონალურ, ობიექტურ გაცვლებში კი საჭირო ხდება უფლებების დამატებითი სპეციფიკაცია, რათა დეტალურად განსაზღვრული იყოს კონკრეტული ოპერაციის ყველა მუხლი;
- მესამე ფაქტორი არის ძალდატანება (იძულება); თუ დავუშვებთ ჰიპოთეტურ მაგალითს, რომ ეკონომიკაში არსებობს მესამე მხარე , რომელიც დაინტერესების და დანახარჯების გარეშე შესძლებს სხვადასხვა აქტივობის შეფასებას, მაშინ მსოფლიო იდეალური იქნებოდა. მაგრამ რეალობაში ეს ასე არაა და ნებისმიერ გადაწყვეტილებას აქვს თუნდაც მცირე იძულების ელემენტები, რაც გარკვეულ დანახარჯს იწვევს;
- მეოთხე ფაქტორის არსის გასაგებად ამოვდივართ ნეო-კლასიკური ეკონომიკის სუბიექტების მოგების მაქსიმიზირებელი ქცევიდან, რომელთაც ახასიათებთ ზღვრული ქმედებები (თუ მოტყუება მოგების

მომტანია ერთხელ მოიტყუება, თუ სამუშაოს არ შესრულება შესაძლებელია, ერთხელ არ შეასრულებს, თუ რაიმე მეთოდით შესაძლებელია კონკურენტის ჩამოშორება, ჩამოიშორებს). ანუ მეოთხე ფაქტორად შეიძლება წარმოვიდგინოთ იდეოლოგიური შემეცნება.

ტრანსაქციები არის ინსტიტუციური ეკონომიკის ერთ-ერთი ცენტრალური კონცეფცია. ტრანსაქციები - ეს არის ლეგალური გაცვლა საკუთრების, რომელიც ასევე მოიცავს უფლებების და პასუხისმგებლობის გაცვლას, რომელიც განისაზღვრება მონაწილე მხარეების მიერ (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010). ჯონ კომონსის მიხედვით - ტრანსაქცია არის არამხოლოდ საქონლის გაცვლა, არამედ ურთიერთობა სამ მნიშვნელოვან რგოლს შორის - ინდივიდები, საკუთრების უფლება და საზოგადოების მიერ შექმნილ თავისუფლება, რომლით ვაჭრობაც ხდება უშუალო პროდუქტის მიწოდება-მოთხოვნამდე (Commons, 1930, 652).

ტრანსაქციების და ტრანსაქციული ხარჯების კონცეფციაზე ყურადღების გამახვილებით, ნეოინსტიტუციურმა ეკონომიკამ ტრადიციულ ეკონომიკსში შეცვლა დღის წესრიგი; დაუკავშირა რა ტრანსაქციული ხარჯები საკუთრების უფლებას. შესაბამისად, გააჩინა მნიშვნელოვანი კითხვები ეკონომიკური ორგანიზაციის არსის შესახებ. ასევე, ინსტიტუციურმა ეკონომიკამ დაიწყო პოლიტიკური ინსტიტუტების სტრუქტურის განხილვა, ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის (Eggertsson, 1990).

ტრანსაქციული დანახარჯები არის ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება მომენტში, როდესაც ეკონომიკური სუბიექტები ცვლიან საკუთრების უფლებას აქტივზე და ზღუდავენ მათ ექსკლუზიურ შესაძლებლობებს. კენეტ ეროუ[1] განსაზღვრავს მათ, როგორც ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის. (Arrow, 1969, 48). ტრანსაქციული ხარჯები, ცხადია უნდა განცალკევდეს წარმოების ხარჯებისგან და დამოუკიდებლად მოხდეს მათი განხილვა. წარმოების და ტრანსაქციული ხარჯებს შორის განსხვავების კარგი თვალსაჩინო მაგალითი ეკუთვნის ოლივერ უილიამსონს - მას მოყავს შედარება

[1] კენეტ ეროუ (Kenneth Arrow, 1921-2017) - ამერიკელი ეკონომისტი, ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი, ნობელის პრემიის მფლობელი ეკონომიკურ მეცნიერებაში (1972). ძირითადი ნაშრომები: „Economic welfare and the allocation of resources for invention (1972), „Economics and Sociology" (1990), „Social choice and individual values" (2012) და სხვ.

ფიზიკის მეცნიერების სფეროდან და ტრანსაქციულ დანახარჯებს მიიჩნევს ხახუნის ძალის ექვივალენტად ეკონომიკაში (Riordan, Williamson, 1985, 19). თუმცა, უილიამსონი იქვე დასძენს, რომ განსხვავებით ფიზიკოსებისგან, ეკონომისტები სამწუხაროდ არ ფლობენ მათემატიკურად ზუსტ ინფორმაციას ამ ხარჯების მოცულობის შესახებ.

ტრანსაქციული დანახარჯები ხაზს უსვამენ პრობლემებს, როგორც ეკონომიკური ორგანიზაციის არსის, ასევე ეკონომიკური კონტრაქტების განხორციელების შესახებ. ერნანდო დე სოტო მიიჩნევს, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა სხვადასხვა სტანდარტების შემოღების წყალობით, მკვეთრად შეამცირეს ის ტრანსაქციული ხარჯები, რომელიც შეეხებოდა კონტრაქტების განხორციელებას (de Soto, 2000). შესაბამისად, ეკონომიკური ორგანიზაციის განვითარების არსი თავის თავში მოიცავს მუდმივად შემცირებად ტრანსაქციულ ხარჯებს. აღნიშნულ აზრი გვხვდება რონალდ ქოუზის ნაშრომებშიც, სადაც ის ეკონომიკური ორგანიზაციის კოორდინირებულ და კონტროლირებულ საქმიანობას პირდაპირ უკავშირებს ტრანსაქციული ხარჯების მოცულობის შემცირების პროცესს (Coase, 1988).

ჯონ კომონსის ნაშრომებზე დაყრდნობით, ფურუბოტნი და რიხტერი გვთავაზობენ ტრანსაქციების კლასიფიკაციას, რომელიც გამოყოფს სამ ჯგუფს: (Commons, 1931, Furubotn, Richter, 1998):

- საბაზრო ტრანსაქციები, რომლებიც მიმდინარებს თავისუფალ ბაზარზე ინდივიდუალური მყიდველების და გამყიდველების მიერ და რომლის შედეგიც არის ნებაყოფლობითი გაცვლა;
- მენეჯერული ტრანსაქციები, რაც ხასიათდება ურთიერთობებით ორგანიზაციულ სტრუქტურაში და გულისხმობს ურთიერთობას ინდივიდებს შორის;
- პოლიტიკური ტრანსაქციები, მიიღება გადაწყვეტილებების მიმღები ლეგიტიმური ორგანიზაციების მიერ და მისი მიზანია სხვადასხვა კეთილდღეობის საზოგადოებაში გადანაწილება (მაგ: გადასახადები და სოციალური დახმარებები)

ტრანსაქციულ ხარჯების შეგვიძლია ასევე დავყოთ, როგორც არის წინასწარი (ex ante) და შემდგომი (ex post) ხარჯები (Riordan, Williamson, 1985).

წინასწარი ხარჯების ნაწილი მოიცავს ხარჯებს, რომლებიც წარმოიქმნება გარიგების განხორციელებამდე. ეს ხარჯები შეიძლება დაკავშირებული იყოს შეთანხმებების მომზადებასთან, გაფორმებასთან ან შეთანხმებაში დამცავი მექანიზმების ჩადებასთან (safeguard). გარიგებებში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ დამცავ მექანიზმად გამოიყენება საერთო საკუთრება. გარიგება, რომელში მონაწილე ორივე მხარეს გააჩნიათ საერთო საკუთრება, უფრო მაღალი ნდობის ხარისხს წარმოქმნის მხარეებს შორის და შესაბამისად ამცირებს დამატებით ტრანსაქციული ხარჯების გაწევის საჭიროებას.

შემდგომი ტიპის ტრანსაქციული ხარჯების მოიცავს შემდეგი კატეგორიის ხარჯებს: ადაპტაციის ხარჯები, შესაბამისობის ხარჯები, მმართველობასთან დაკავშირებული ხარჯები, დამცავი მექანიზმის აღსრულების ხარჯი.

სასურველია, გამოვყოთ ტრანსაქციული ხარჯების კიდევ ერთი პოპულარული კლასიფიკაცია, რომელიც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში (Groenewegen, Spithoven, Van den Berg, 2010):

- ძიების და ინფორმაციის ხარჯი;
- კონტრაქტის მომზადების და გაფორმების ხარჯი (მოიცავს იურიდიულ და მედიაციის ხარჯებს);
- მონიტორინგის და კონტროლის ხარჯები.

ჩამოთვლილთაგან პირველი ორი არის წინასწარი (ex ante), ხოლო მესამე შემდგომი (ex post) ტიპის ხარჯი.

მიუხედავად, ზემოთხსენებული უპირატესობების და ტრანსაქციული ხარჯების მნიშვნელოვანი როლისა ინსტიტუციური ეკონომიკის შესწავლისას, ტრანსაქციული ხარჯების ეკონომიკას აქვს თავისი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებსაც ვხვდებით პრაქტიკულ თუ თეორიულ სამეცნიერო კვლევებში. მათ შორის გამოსარჩევია შემდეგი:

- ტრანსაქციული ხარჯების გარშემო შექმნილი მოდელები არის ძალიან მარტივი, გამომდინარე მონაცემთა სიმწირით და ინდიკატორთა არასრულყოფილებით;
- არ არის განვითარებული "ვაჭრობის" (trade-off) კონცეფცია, რაც გულისხმობს დინამიკაში ზღვრული ანალიზის გამოყენებას ტრანსაქციული ხარჯების გარშემო;
- ტექნიკური კუთხით, ხშირად გვხვდება ხარჯების გაზომვასთან დაკავშირებული პრობლემები და ასევე, მათემატიკურად მონაცემთა თავისუფლების ხარისხი მაღალია (Williamson, Kerekes, 2006);
- ტრანსაქციები ხშირად მოიცავს გაურკვევლობებს, როგორც მონაწილე მხარეების, ასევე ბაზრის განვითარების დამსახურებით.

ტრანსაქციული ხარჯების მოცულობა მნიშვნელოვან კავშირშია მათთან დაკავშირებული საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანობასთან.

არანულოვანი ტრანსაქციული დანახარჯების პირობებში კანონმდებლობა თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს რესურსების გადანაწილების პროცესში. მაგრამ გარდა ამისა, ნულოვანი ტრანსაქციული დანახარჯების პირობებში ორმხრივი შეთანხმებები ისე ანაწილებს უფლებებს და მოვალეობებს, რომ მიღწეულ იქნას სარგებლის მაქსიმიზაცია.

ხოლო დადებითი მოცულობის მქონე ტრანსაქციული ხარჯების დროს, ხშირად ვერ ხორციელდება შეთანხმებები, ტრანსაქციული ხარჯების მაღალი ფასის გამო (Coase, 1937).

დამცავი ელემენტები (safeguard) არსებობს როგორც კერძო, ისე საჯარო. დამცავი ფაქტორების საჭიროების განხილვისას, ოლივერ უილიამსონი ითვალისწინებს ორ ფაქტორს - აქტივის სპეციფიკურობა და დამცავი ელემენტების რაოდენობა (Williamson, 1998).

ინსტიტუციური ცვლილებების მოტივებზე, გარდა ტრანსაქციული ხარჯებისა მოქმედებს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

- „საზოგადოებრივი ელიტის" გავლენა რესურსებზე,
- „საზოგადოებრივი ელიტის" სიმტკიცე.

მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი სხვადასხვა რესურსებით მდიდარი ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია, თანაც ქვეყნები რომლებმაც ყველაზე მეტი დრო გაატარეს კომუნისტური რეჟიმის ქვეშ (რესურსებში გარდა ბუნებრივი რესურსისა იგულისხმება ადმინისტრაციული, პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები, რომელთა გამოყენება აქტიურად ხდებოდა მოცემული ქვეყნების კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად). ამ რესპუბლიკების მოსახლეობის დიდ ნაწილს ჰქონდა განცდა მშვიდი ცხოვრების კომუნისტურ სისტემაში და ფიქრობდნენ რომ არ საჭიროებდნენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეფორმებს. ამ ქვეყნებში 90-იანებში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ინსტიტუციების მშენებლობა. ბელორუსია დღესაც, კი მხოლოდ ნაწილობრივ არის საბაზრო ეკონომიკაზე გადასული და ქვეყანას მართავს ისევ კომუნისტური წარმოშობის ინსტიტუციები. მათგან განსხვავებით სომხეთმა, რომელსაც არ ჰქონდა განსაკუთრებული რესურსები და ასევე გააჩნია სამხედრო პრობლემები მეზობელ აზერბაიჯანთან, დამოუკიდებლობის მიღებიდან მალევე გაატარა რეფორმების მიწის და ბინების კუთხით, ასევე გადადგა პირველი ნაბიჯები ადამიანთა უფლებების დაცვისათვის. მსგავსი მაგალითია ალბანეთი, სადაც 1992-ში დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შემდეგ, არ იყო რესურსებიდან რენტის მიღების საშუალება და გასაქანი მიეცა რეფორმების გატარებას. განსხვავებით მათგან, სომხეთის მეზობელი აზერბაიჯანი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ნავთობის რეზერვები, უფრო ნაკლებად ეცადა ინსტიტუციების მშენებლობას. მთელი აქცენტი გაკეთდა არსებული ბუნებრივი რესურსის კონტროლსა და შემდგომ მისი წყალობით ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე (ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა). ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მაღალი დამოკიდებულება რესურსების მიმართ აფერხებს თავისუფალი ბაზრისაკენ სვლის პროცესს. გარანტირებული შემოსავალი გარკვეული სახის რენტიდან ადამიანებში აჩენს სურვილს მოცემული ვითარების განგრძობის სტაბილურად გრძელვადიან პერიოდში (Beck, Laeven, 2005). ინტერესის ჯგუფები, რომლებიც მოიპოვებენ ქვეყანაში რესურსებზე კონტროლს, ცდილობენ მიღებული შემოსავლის გარკვეული გადანაწილებით ჩაახშონ ცვლილებებისადმი სურვილი საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში, პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში ხშირად პოლიტიკური პირამიდის ძირში რჩება ძველი ბიუროკრატიული ელიტა, რომლის

დასამარცხებლად საკმაოდ ფართო პოლიტიკური რევოლუციური ცვლილებებია საჭირო. ქვეყნებში, სადაც არ არსებობს სხვადასხვა წყაროდან სტაბილურად მაღალი რენტის მიღების შესაძლებლობა, მოცემული ინტერესის ჯგუფების არსებობა კარგავენ მოტივს. საზოგადოებაში ჩნდება სურვილი კეთილდღეობის ზრდის, რომელიც გამოწვეული იქნება საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებით და არა ვიწრო, პირადი შესაძლებლობებით.

2.2. ინსტიტუციური ცვლილებების მახასიათებლები და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დილემა, რომელიც იკვეთება ტრანსფორმაციის პირობებში არის ერთდროულად ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება. წარმომადგენლობითი დემოკრატია შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს შოკური თერაპიის განხორციელებასთან. ნეოკლასიკური სკოლა ამ დილემას არ თვლიდა მნიშვნელოვნად (S.Fisher, J. Sachs, L. Balcerowicz). დემოკრატიას და კაპიტალიზმს ერთდროულად შეეძლო განვითარება. ამ იდეამ იმუშავა პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში, თუმცა იყო ტრანსფორმაციული დანაკარგები ამ კუთხით რუსეთში, ბულგარეთში, მოლდოვაში და ა.შ. ინსტიტუციური შოკური თერაპია გამოყენებულ იქნა აღმოსავლეთ გერმანიასა, და რიგ „სოციალისტურ ბანაკის“ წევრ ქვეყნებში. ამ ქვეყნებს ჰქონდათ მაღალი ეკონომიკური განვითარების დონე და მათი მისწრაფება ევროპისაკენ, რაც განპირობებული იყო მათი ტრადიციებით, რომელმაც რევოლუციური გზით გადაუხვია მე-20 საუკუნის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს რა თქმა უნდა აადვილებდა ტრანსფორმაციის პროცესს.

დილემა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: შოკური თერაპიის განხორციელების პროცესში საჭიროა რადიკალური რეფორმების სწრაფად გატარება, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს წარმომადგენლობით დემოკრატიის მოდელთან. სხვადასხვა ტექნიკურ პროცედურებს დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებისას ახასიათებს დროითი ლაგი, რაც ნაკლებად ეფექტიანს ხდის მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ინსტიტუციური ცვლილებების განსაზღვრისათვის, საჭიროა ყურადღება მიექცეს რამდენიმე საკითხს, როგორიცაა (Kolmorgen 2010):

- ინსტიტუციების მახასიათებლების სტაბილურობა,
- ცვლილები წყარო,
- ცვლილების მონაწილეები,
- ცვლილების მიმართულება,
- ცვლილების დამოკიდებულება სხვა ფაქტორებზე.

ძირითადი მიზანი ინსტიტუციების სტაბილურობის შექმნაა, მისი სტაბილურობა კი მეტწილად დამოკიდებულია ფორმალური ინსტიტუციების იერარქიის დონეებზე. თითოეული მომდევნო იერარქიის დონის ცვლილება მოითხოვს მეტ დანახარჯებს და მეტ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ-პოლიტიკურ სიტუაციაზე. რაც შეეხება არაფორმალურ ინსტიტუციებს მათ შორის იერარქიის გამოყოფა რთული პროცესია, თუმცა შეიძლება მათი გავლენის ანალიზი ეკონომიკურ ზრდაზე და იერარქია ამ კუთხით. ინსტიტუციური ცვლილებების წყარო არის ეკონომიკური ცვლილებები, ცვლილება შეფარდებით ფასებში ან გემოვნებაში. ისტორიულად ინსტიტუციური ცვლილებების გამომწვევი იყო შეფარდებითი ფასების ზრდა ან შრომა/კაპიტალის პროპორციის ცვლილება. უკანასკნელიც მიზეზი კი მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარება/შენელება ან ტექნოლოგიური მიღწევებია. შუა საუკუნეების მიწურულს ევროპაში ერთის მხრივ მცირდებოდა სამუშაო ძალა (კონტინენტური მიგრაციის გამო) და ასევე იზრდებოდა არსებული კაპიტალის რაოდენობა და მწარმოებლურობა, ამ ყველაფერმა კი ახალი ინსტიტუციური რეალობის შექმნა მოითხოვა. ახალი რეალობა კი კაპიტალისტური სამყაროს ჩამოყალიბება გამოდგა.

გემოვნების ცვლილების კარგი მაგალითია ადამიანების მოთხოვნილება, რომ არ იყვნენ დამოკიდებულები, შედეგად უჩნდებათ სურვილი ისეთი ინსტიტუციების არსებობის, რომელიც უზრუნველყოფს მეტად ლიბერალურ გარემოს. ძირითადი მოტივი ცვლილებების, თუმცა მაინც ეკონომიკური და პოლიტიკური რენტის მიღებაა, რასაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახალ ინსტიტუციურ სისტემიდან მოელის (North, 1997). ლიბერალური გარემო კი, ხშირად საზოგადოების უფრო ფართო ფენებისათვის ისახება როგორც მათი პირადი რენტის ზრდის საშუალება.

1950-1965 წლებში საბჭოთა ეკონომიკის ზრდა არ ჩამორჩებოდა ევროპულ საბაზრო ეკონომიკებს, ხოლო 1965 წლიდან იწყება მათი განვითარების შენელება. ახალი ინსტიტუციური თეორიის ფარგლებში, ამერიკელი ტრანსფორმაციის მკვლევარი ეკონომისტების მანსურ ოლსონის და პიტერ მურელის მიერ, მოცემულ წლებში შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდა აიხსნება მკაცრი დიქტატორული რეჟიმით. სახელმწიფოს მაღალი მონოპოლიური ძალაუფლება განაპირობებდა დაზოგვის და ინვესტიციების მაღალ დონეს, რაც თავისთავად ეკონომიკური ზრდის

მაღალ ტემპებს იძლეოდა (Murrel, Olson, 1991). მოცემული მაგალითი შეიძლება დავუკავშიროთ ზემოთხსენებულ დილემას ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის. კომუნისტურ სისტემაში ისედაც შეზღუდულ ეკონომიკურ თავისუფლებას ემატებოდა პოლიტიკური თავისუფლების აბსოლუტური შეკვეცა, რითაც ხორციელდებოდა ეფექტიანი პოლიტიკის გატარება. თუმცა, ვერ ხდებოდა ინსტიტუციების მშენებლობა. საბჭოთა კავშირში სახელმწიფო დიქტატურის ძლიერების შემცირების შემდეგ დაეცა დაზოგვის და ინვესტიციების დონე, რომელიც იყო ბუნებრივ დონეზე მაღლა, შესაბამისად შენელდა ეკონომიკური აქტივობა. შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოცემული ზრდა არამდგრადი იყო და ვერ გაგრძელდებოდა დროის დიდ პერიოდში, თუმცა მოკლევადიან პერიოდში დროულად მოხდა განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

გეგმური ეკონომიკა წარმატებულია, რაც უფრო ზუსტად სრულდება სახელმწიფოს გეგმები და რამდენად ზუსტადაც პასუხობს საზოგადოება ამ გეგმებს. თუმცა, ამავე სკოლის მეცნიერების მიხედვით, ასეთი მკაცრი დიქტატურული რეჟიმით მიღწეული კეთილდღეობა დიდხანს ვერ გრძელდება, სისტემაში შემავალი ორგანიზაციები ცდილობენ სიმდიდრის ნაწილის თავისთან „გადაქაჩვას“, იწყება ჩამოყალიბება და დაპირისპირება სხვადასხვა კოალიციების თუ ინტერესთა ჯგუფების. ეს ყველაფერი კი აისახება ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებაზე. მბრძანებლურ ეკონომიკაში ეფექტიანობის შემცირების უმთავრესი მიზეზებია:

- კორუფცია,
- ნეპოტიზმი,
- ინფორმაციული ასიმეტრია.

ეკონომიკური ისტორიაც ადასტურებს მოცემულ თეორიულ პოსტულატებს, მკაცრი დიქტატურის ხარჯზე მიღწეულ ეკონომიკური ზრდა საბოლოო ჯამში ანადგურებს თავის თავს და დიდი მომავალი არ გააჩნია.

ძირეული ცვლილებები და გარდაქმნები საზოგადოებასა და სოციალ-ეკონომიკურ სისტემებში უეცრად არ ხდება. განვითარების მექანიზმი მოიცავს რამდენი საფეხურს, კერძოდ (Lichtenstein, 1996):

- ძირეული გარდაქმნების განსახორციელებლად საჭირო პირობების მომზადება;
- საზოგადოებრივ ცნობიერებაში ცვლილებების აუცილებლობის მოთხოვნის დამკვიდრება;
- რეალური პოლიტიკის გატარება.

პოსტ-კომუნისტურ თეორიაში, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვლადიმერ პაპავას ინსტიტუციურ ანალიზს, რომელიც ძირითად აქცენტს ჩრდილოვან და ფორმალურ ეკონომიკებს შორის კავშირზე ახდენს. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა, განსაკუთრებით კი ბოლო საუკუნის ხასიათდება ერთგვარი სინთეზით ფორმალური და არაფორმალური ეკონომიკის. ჩრდილოვან ანუ არაფორმალურ ეკონომიკას დიდი მასშტაბებით აქვს გავლენა ფორმალურ ეკონომიკაზე ზოგიერთ ქვეყანაში. ჩრდილოვან ეკონომიკა, ისევე როგორც ფორმალური, იყენებს განსაზღვრულ რესურსებს და ბაზრებს ფუნქციონირებისათვის. ჩრდილოვან ეკონომიკაშიც არსებობს ინსტიტუციები, როგორც ლეგალურ ეკონომიკაში.

ზოგადად, ინსტიტუტები არის ფორმალური და არაფორმალური მექანიზმები და შეზღუდვები იძულების და შესრულების. ფორმალური ინსტიტუციები არის უმეტესად წარმოდგენილი კანონის სახით (FIs). ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუციებს (IIs) შორის არის მნიშვნელოვანი კავშირი, ფორმალური ინსტიტუცია არის ის ყოფილი არაფორმალური ინსტიტუცია, რომლის ასახვა მოხდა კანონმდებლობაში. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად ხდება ტრანსფორმაციის პერიოდში. რადგან ამ ორ ინსტიტუტს შორის არის მნიშვნელოვანი კავშირი, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი თანხვედრა, ეს თანაკვეთა არის ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციები (NATFIs), ანუ ეს ინსტიტუციები არიან ასახული როგორც კანონმდებლობაში, ასევე გამომდინარეობენ ადამიანების ქცევებიდან. რაც უფრო დიდია ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციების წილი, მით უფრო ემთხვევა არსებული კანონმდებლობა ადამიანების ბუნებას (პაპავა, ხადური, 1997). აღსანიშნავია რომ, ფორმალური ინსტიტუციები არასდროს არის იდენტური ბუნებრივი ფორმალურ ინსტიტუციების, რადგან ნაწილი არაფორმალური

ინსტიტუციების ასახვა ვერ ხერხდება კანონმდებლობაში და ასევე ნაწილი ფორმალური ინსტიტუციები ატარებს შეზღუდვების და მექანიზმებს, რომელიც საჭიროა მიზნების მისაღწევად, თუმცა არ გამომდინარეობს საზოგადოებიდან. ეს ინსტიტუციებია არაბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციები (UFI). მათი წილი კომუნისტურ ტიპის ქვეყნებში მნიშვნელოვნად აღემატება ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციების წილს, გამომდინარე სახელმწიფოს მკაცრი ადმინისტრაციული როლისა. თანამედროვე განვითარებულ და დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკებში კი პირიქით უფრო მაღალია ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუციების წილი, ანუ უფრო შეესაბამება კანონმდებლობა ადამინების ქცევას, შესაბამისად შედარებით მაღალია ცხოვრების და განვითარების დონე ასეთ ქვეყნებში (პაპავა, ხადური, 1997).

ყველა ქვეყნის ლეგალური ეკონომიკა დგას ფორმალური ინსტიტუტებისს საფუძველზე. რაციონალური მიზნების მიღწევაში ფორმალურ ინსტიტუტებს ასევე აუცილებლად ეხმარება ნაწილი არაფორმალური ინსტიტუტებისა, რომელთა არსებობა აუცილებელია, ესენია რაციონალური არაფორმალური ინსტიტუციები (RIIs), ისინი ფორმალურ ინსტიტუტებთან ერთად ქმნიან ატმოსფეროს ლეგალური აქტივობისათვის. დანარჩენი ნაწილი ჩრდილოვანი ეკონომიკის მოდის წინააღმდეგობაში ფორმალურ ინსტიტუტებთან, ამიტომ ისინი არიანი ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუტები (IIIs). თუმცა რაციონალური და ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუტები ჯამი არ გვაძლევს მთლიან მოცულობას არაფორმალური ინსტიტუციების, რადგან მათ შორის არის თანაკვეთა. ეს არის ნეიტრალური არაფორმალური ინსტიტუციები (NeutIIs), ესენია ადამიანების ქცევის ჩამოყალიბებული ნორმები დროის დიდი პერიოდის მანძილზე, მაგალითად თანაგრძნობა ძლიერის სუსტის მიმართ. ასევე ნაწილი ნეიტრალური არაფორმალური ინსტიტუციებისა უკავშირდება ფორმალურ ინსტიტუტეს და აისახება კანონმდებლობაში, მათი თანხვედრა არის ნეიტრალური ფორმალური ინსტიტუტები (NeutFIs) (პაპავა, ხადური, 1997).

საინტერესოა თუ როგორ ხდება ახალი ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბება. როგორც ცნობილია, საზოგადოების სტრუქტურის ცვლილება პირველ რიგში უკავშირდება ფორმალურ ინსტიტუციებს. თუ ცვლილებები არის მოსალოდნელი, ხშირად ხდება არსებული ფორმალური ინსტიტუციების

ჩანაცვლება, მათს ნაცვლად შექმნილი ახალი ფორმალური ინსტიტუციების, რომლებიც უკეთ შეესაბამება ახალ რეალობას. მაგრამ თუ ქვეყანაში სტრუქტურული ცვლილებები არის მოულოდნელი, ნადგურდება ძველი ფორმალური ინსტიტუციები და მათს ნაცვლად მალევე ვერ ხერხდება ახალი ინსტიტუციების შექმნა, რომლის ერთ-ერთ მიზეზი ცოდნის არარსებობაა, რომელიც საჭიროა განსხვავებული ინსტიტუციებისათვის. წარმოქმნილ ვაკუუმს ფორმალურ და რაციონალურ არაფორმალურ ინსტიტუციებს შორის ავსებს ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუციები, შედეგად ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ეკონომიკებში სწრაფად იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი, მაგალითად საქართველოში, 1993-1995 წლებში 80%-ით გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკა. ტრანსფორმაციის პროცესში იზრდება არაფორმალური ინსტიტუციების არე, ხოლო მცირდება ფორმალურის. ასევე იზრდება ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუციების არე, ხოლო მცირდება რაციონალური არაფორმალურის. ყველაზე სტაბილური ინსტიტუციები არის ბუნებრივი არაფორმალური ინსტიტუციები, რომლებიც უძლებენ თაობათა ცვლას. სწორად ამ ინსტიტუციებს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. ისინი ხელს უწყობენ ისეთ არალეგალური აქტივობების განხორციელებას, რომელიც არის ჰუმანური, ეთიკური და არ ეწინააღმდეგება ადამიანების ბუნებას (პაპავა, ხადური, 1997)

2.3. საქართველოს ეკონომიკური და ინსტიტუციური გარემოს სიტუაციური ანალიზი

საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ერთ-ერთი მთავარი გეო-პოლიტიკური მოვლენა გახლავთ. სამოცდაათი წლის განმავლობაში კოუნსიტური რეჟიმის ქვეშ არსებული მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა დაიშალა თხუთმეტ დამოუკიდებელ რესპუბლიკად. თუმცა ეკონომიკური პრობლემები წევრ რესპუბლიკებში მის დაშლამდეც არსებობდა, რაც ლოგიკურად გახდა თვითონ კავშირის დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. პირველმა ეკონომიკური სტაგნაციის ნიშნებმა თავი უკვე 1985 წლიდან იჩინა. სიტუაცია აჩვენებდა, რომ კომუნისტურ სისტემას ამოწურული ჰქონდა საკუთარი თავი და ის ვეღარ უწევდა კონკურენციას მაღალ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს. გრადუალიზმის პოლიტიკის ნიშნები რომლებიც გამოჩნდა საბჭოეთის არსებობის უკანასკნელ წლებში, მხოლოდ კომუნისტური სისტემის უკანასკნელი გაბრძოლებაღა აღმოჩნდა, ინსტიტუციური სისტემათა უმეტესობა უკვე იმდენად კორუფციული და სტაგნაციური იყო, ვეღარ აიტანდა მნიშვნელოვან ცვლილებებს მის სტრუქტურაში. საჭირო იყო მისი სრულიად განახლება, რაც რევოლუციურ ცვლილებებს მოითხოვდა. შედეგად მივიღეთ, ამ ინსტიტუციური სისტემის უეცარი ჩამოშლა და ახალი ინსტიტუციური მატერიის შექმნა. ამ სირთულეებთან ბრძოლა უკვე ახლად შექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკების ხწილად მოდიოდა, რომელთა პოლიტიკური სისტემა რა თქმა უნდა არ გახლდათ მყარი. არასტაბილური პოლიტიკური სისტემა კი ვერა შექმნის ახალ ინსტიტუციურ მატერიას, რომელიც საჭიროა განვითარებული სახელმწიფოსათვის. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა იყო საქართველო, რომელსაც ერთდროულად ორ პრობლემასთან მოუხდა ბრძოლა, ჩამოეყალიბებინა ახალი ინსტიტუციური გარემო ახალი ეკონომიკური სისტემისათვის (საბაზრო ეკონომიკა) და ასევე შეექმნა კვლავ სუვერენული სახელმწიფო ზუსტად 70 წლის შემდეგ (პაპავა, ხადური, 1997).

თითქოსდა მსგავსი საწყისი პოზიციების მიუხედავად, მალევე გამოჩნდა, რომ ზოგ ქვეყანას მოუწევდა უფრო რთული გზის გავლა, განსაკუთრებით გაყინული

ეთნო-კონფლიქტების გაღვივების შემდეგ, რამაც ყველაზე დიდი გავლენა ტრანსფორმაციის საწყის წლებში და შემდგომაც საქართველოზე მოახდინა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა შემავალმა რესპუბლიკამ აჩვენა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების და მათ შორის უმთავრესად ეკონომიკის შემცირების დიდი მასშტაბი. მაგრამ განსაკუთრებული მძაფრი იყო ეკონომიკური პრობლემები ის საქართველოში, სამოქალაქო და ორი საგარეო ომის ფონზე.

ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სუსტმა სამართლებრივმა ინსტიტუციურმა გარემომ. ეკონომიკურ გამოშვებაზე აქტიურად მოქმედებდა არაეკონომიკური ფაქტორებიც. 1992 წელს პატიმრების ამნისტიამ ხელი შეუწყო კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას ქვეყანაში, რასაც ემატებოდა სამოქალაქო ომი და დაძაბულობა. მოცემული სიტუაცია შეუძლებელს ხდიდა გამართულ ბიზნეს საქმიანობის ფუნქციონირებას. ბევრმა ბიზნესმენმა თავის კაპიტალთან ერთად დატოვა ქვეყანა. კრიმინალიდან მიიღებოდა გარკვეული შემოსავალი, რაც ხელს უშლიდა ქვეყანაში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებას (პაპავა,1995).

დღეისათვის, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომლითაც ვაფასებთ ეკონომიკის ზომას არის მთლიანი შიდა პროდუქტი. თუმცა ის როგორ მაჩვენებელი არ გამოიყენებოდა საბჭოა პერიოდის ეკონომიკის ანალიზისთვის. თუმცა შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდის მაჩვენებლები, რომლებიც არის მსოფლიო ბანკის მიახლოებითი გაანგარიშებები[1]. საწყისი მონაცემები არის შეფასებითი ხასიათის, რადგან ერთის მხრივ ამ პერიოდში არ ხდებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, ხოლო მეორე მხრივ 1991 წლამდე არ არსებობდა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა.

რეალური მშპ-ს დინამიკა გვიჩვენებს, რომ ქართული ეკონომიკა მცირდებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უკვე 1989 წლიდან. 1986 წელს ქართული პირობითი ეკონომიკა შემცირდა 8.2%-ით, რის შემდეგაც ორი წლის განმავლობაში დაბრუნდა დადებითი ეკონომიკური გამოშვება. 1989 წლიდან კი იწყება ექვსწლიანი ეკონომიკური ვარდნა. მთლიანმა ეკონომიკურმა შემცირებამ 1989-1994 წლებში 78.2% შეადგინა, ხოლო მხოლოდ დამოუკიდებლობის წლებში (1991-1994) 72.5%.

[1] მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა - World Bank Open Data,
წყარო: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG

ეკონომიკური ზრდა დაუბრუნდა დადებით მაჩვენებელს 1995 წლიდან, გაიზარდა რა დამოუკიდებელი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2.6%-ით.[1]

დიაგრამა 2.1. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში, 2000 წლის დოლარებში, 1968-2018 წლები.



რეალური მშპ გაანგარიშებულია ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ბაზის საფუძველზე:
http://data.worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL
http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD
http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG
http://geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo

ქართული ეკონომიკის ვარდნა ყველაზე დიდი შემცირების მაჩვენებელია პოსტ-საბჭოურ ქვეყნებს შორის. ასევე ანალოგი არ მოეძებნება იმავე პერიოდში 1992 წლის ეკონომიკური ვარდნის ტემპს, ასახული 44.9%-იან შემცირებით, რაც მეტწილად ქვეყანაში გამეფებული სამხედრო-პოლიტიკური ქაოსის გავლენის შედეგი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციის პროცესი მიიჩნევა დასრულებულად და ამ ქვეყნების ეკონომიკებში ინსტიტუციური ცვლადების და ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებისა, ეკონომიკური

[1] მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა - World Bank Open Data,
წყარო: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG

კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით, გასული ოცდახუთი წელი ნაწილობრივ დაკარგულად შეიძლება მივიჩნიოთ. მეოთხედი საუკუნე კი ეს ის დროა, როდესაც საზოგადოებაში იბადება და ცხოვრობს ერთი ახალი თაობა. შედეგად პოსტ-ტრანსფორმაციის შემდგომ საქართველოს უწევს თანაბარ სასტარტო პირობებში ყოფნა ისეთ ქვეყნებთან, რომელთან შედარებით საბჭოეთის შემადგელობაში გაცილებით უკეთესი ცხოვრების დონე და განვითარების პოტენციალი ქონდა. დიაგრამაზე შეგვიძლია ვნახოთ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დონე 1960 წლიდან. საქართველოს საბჭოური წლების შემადგენლობაში არ მოიპოვება კონკრეტულად საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთოდ მსოფლიოშიც მთლიანი შიდა პროდუქტი არ იყო წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორი. მოცემული მაჩვენებლები, ასევე მსოფლიო ბანკის მიახლოებითი შეფასებებია, თუმცა მეტ-ნაკლები სიზუსტით აღწერს რეალობას. ვიზუალური ანალიზითაც თვალნათლივ ჩანს, როგორ უეცრად შემცირდა საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი და შემდეგ ნელ-ნელა როგორ ბრუნდება უკან წლების მანძილზე. საქართველო, რომელიც იყო მნიშვნელოვანი ექსპორტიორი სხვა საბჭოურ რესპუბლიკებში, დამოუკიდებლობის შემდეგ ეროვნული პროდუქციის გასაღების ბაზრის პრობლემა შეექმნა. ახალი ბაზრების ათვისება კი დროს საჭიროებდა.

როგორც თეორიულ ნაწილში მრავალგზის იქნა აღნიშნული, გეგმურ ეკონომიკაში ფასები ცენტრალიზებულად, სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა. ტრანსფორმაციის პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ფასების ლიბერალიზაციას უკავშირდება. გეგმური ეკონომიკის ფასები უმეტეს შემთხვევაში დაცილებულია რეალობისგან, კერძოდ უფრო დაბალია, ვიდრე იქნებოდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საბჭოთა კავშირში მოქმედი ვალუტა რუბლი იყო. კავშირის დაშლის შემდეგ მონეტარული ბერკეტები მთლიანად რუსეთის ხელში დარჩა. ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა სუვერენული რესპუბლიკის ინტერესებთან და მნიშვნელოვანი ხელშემწყობი იყო ისედაც არსებული მაღალი ინფლაციური პროცესების. ტრანსფორმაციულ პერიოდში იყო პრეცედენტი კუპონის გამოყენების, რაც იდეაში რა თქმა უნდა ვერ გადაწყვეტდა მონეტარულ პრობლემებს და მთავრობის არამიზნობრივი პოლიტიკის შემთხვევაში საკმაოდ სახიფათო

ჰიპერინფლაციური იარაღი გახდა ასე მოხდა საქართველოში, სახელმწიფო იღებდა სესხებს 100%-იანი განაკვეთით, რასაც შემდგომ კუპონების ბეჭდვით აბალანსებდა. შედეგად მივიღეთ კლასიკური მაგალითი ჰიპერინფლაციის, რისი მთავარი მიზეზიც სახელმწიფოს მიერ ფულის ბეჭდვაა. საქართველოში არსებულ სამომხმარებლო ფასების ინდექსით დათვლილ ინფლაციის მონაცემების წყარო არის საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც ამ მაჩვენებლებს ფლობს მოყოლებული 1992 წლიდან.

დიაგრამა 2.2. ინფლაცია საქართველოში, 1992-1995 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი ანგარიში საქართველოზე, „IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development“ http://www.imf.org/external/pubs/cat/longres.cfm?sk=633.0

ცხრილი 2.1. წლიური ინფლაცია საქართველოში, 1992-1995 წლები.

წლიური ინფლაცია საქართველოში, 1992-1995 წლები				
	1992	*1993*	*1994*	*1995*
საშუალო წლიური	887%	3125%	18922%	160%
დეკემბერი დეკემბერთან	1177%	7488%	8279%	24%

სტატისტიკური მასალის წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი ანგარიში საქართველოზე, „IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development“ http://www.imf.org/external/pubs/cat/longres.cfm?sk=633.0

1992 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 887% შეადგინა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო 1994 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციის დონემ, თუნდაც დანარჩენ ჰიპერინფლაციაში გახვეულ პოსტ-საბჭოეთთან შედარებით უპრეცედენტო მაჩვენებელი 18992% შეადგინა (ცხრილი 2.2). ცხრილი 2.3 და გრაფიკი 2.2 გვიჩვენებს საშუალო წლიურ ინფლაციასთან ერთად, ინფლაციას წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით. ჰიპერინფლაციის პიკი არის 1994 წლის სექტემბერი, როდესაც ფასები წლიურად 63819%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 257.5%-ით.[1]

საუკეთესო პასუხი კითხვაზე თუ როდის დაიწყო რეფორმების გატარება არის 1989 წელი, ანუ წელი როდესაც დაიწყო ქართულმა საზოგადოებამ დამოუკიდებლობაზე სერიოზული ფიქრი, შესაბამისად ეს თარიღი არის საწყისი წერტილი ეკონომისტებისათვის და შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ეტაპად. მეორე ეტაპი კი იწყება 1990 წლის არჩევნების შემდეგ, თუმცა ეს ეტაპი მოიცავს მხოლოდ მოქმედებებს, რომლებიც ხელს ვერ უშლიდა სტაგნაციას (პაპავა, 1995).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, არსებული სახელმწიფო ინსტიტუციების უმეტესობის გამოეყენება ხდებოდა რუსეთის ფედერაციის მიერ. ასევე გარკვეული

[1] „IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development“

უპირატესობები ამ კუთხით ჰქონდათ უკრაინას და ბელორუსიას. მაგრამ დანარჩენს ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს მოუწიათ საკუთარი ინტიტუტების დამოუკიდებლად შექმნა. ინსტიტუტების შექმნის პროცესს ართულებდა იმავდროულად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი.

ეკონომიკური ტრანსფორმაცია საკმაოდ რთული, მრავლისმომცველი პროცესია და ეს ორმაგად რთული აღმოჩნდა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ინსტიტუციებისათვის, რის შედეგიც რამდენიმე წლიანი ღრმა სტაგნაცია იყო, როგორც საქართველოში ისევე დანარჩენ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. შედარებისათვის, აღმოსავლეთ ევროპის რიგმა ქვეყნებმა უფრო ნაკლები სიმძაფრით შეძლეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რის ერთ-ერთი მიზეზიც ალბათ არსებული ინსტიტუციური დონე იყო, რომელიც დამოუკიდებლობის წყალობით არსებობდა. ის საჭიროებდა ცვლილებებს და არა სრულიად თავიდან შექმნას. შესაბამისად ეს ინსტიტუციები ახდენდნენ გავლენას გარდაქმნის პროცესზე დ შოკური თერაპიის ეფექტიანობა უფრო მაღალი იყო.

ცხრილი 2.2. წლიური ინფლაცია საქართველოში თვეების მიხედვით, 1992-1995 წლები.

ინფლაცია საქართველოში თვეების მიხედვით, 1992-1995					
თვე	წინა თვესთან	წინა წლის შესაბამის თვესთან	*თვე*	წინა თვესთან	წინა წლის შესაბამის თვესთან
იან/92	29.1%	176.3%	იან/94	151.3%	14702.3%
თებ/92	17.5%	216.9%	თებ/94	34.7%	14690.5%
მარ/92	197.8%	787.9%	მარ/94	52.2%	19690.5%
აპრ/92	48.6%	826.9%	აპრ/94	83.7%	29063.1%
მაის/92	-20.6%	637.4%	მაის/94	45.6%	32115.8%
ივნ/92	20.0%	777.5%	ივნ/94	7.5%	26268.3%
ივლ/92	16.8%	910.8%	ივლ/94	5.8%	20234.3%
აგვ/92	6.0%	970.0%	აგვ/94	69.7%	26798.5%
სექ/92	14.6%	1033.0%	სექ/94	257.5%	63819.0%
ოქტ/92	11.6%	1097.8%	ოქტ/94	-7.7%	35381.0%
ნოემ/92	13.3%	1202.1%	ნოემ/94	0.8%	14950.3%

დეკ/92	35.7%	1176.9%	დეკ/94	-7.1%	8279.1%
იან/93	26.7%	1434.9%	იან/95	13.8%	3691.9%
თებ/93	37.0%	1689.6%	თებ/95	0.1%	2717.9%
მარ/93	13.8%	584.1%	მარ/95	-0.3%	1745.9%
აპრ/93	24.7%	473.8%	აპრ/95	0.2%	906.8%
მაის/93	31.8%	852.1%	მაის/95	0.7%	596.4%
ივნ/93	31.3%	942.4%	ივნ/95	-0.6%	543.9%
ივლ/93	39.8%	1147.0%	ივლ/95	4.1%	621.8%
აგვ/93	28.3%	1409.0%			
სექ/93	50.4%	1881.8%			
ოქტ/93	66.3%	2853.5%			
ნოემ/93	137.6%	6068.0%			
დეკ/93	67.0%	7487.9%			

სტატისტიკური მასალის წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი ანგარიში საქართველოზე, „IMF country report No:95/112: Republic of Georgia Recent Economic Development“ http://www.imf.org/external/pubs/cat/longres.cfm?sk=633.0

ტრანსფორმაციის პირველ წლებში გაუმართავმა მონეტარულმა ინსტიტუციურმა სისტემამ უარყოფითი გავლენა ქართულ საზოგადოებაზე საბანკო სფეროს კუთხითაც. ეკონომიკის რეალური სექტორის შემცირების ფონზე, ხდებოდა სესხებზე და დეპოზიტებზე არარეალურად მაღალი საპროცენტო განაკვეთების დადგენა. დანაზოგის უდიდესი ნაწილი მიემართებოდა ფინანსური სექტორისაკენ, ხდებოდა თუნდაც მცირე ზომის კაპიტალით ახალი ბანკების დაარსება. კაპიტალის მქონეს პირების უმეტესობისათვის, ფინანსური სექტორი მიიჩნეოდა ერთადერთ პოტენციურ დარგად მაღალი მოგების განაკვეთის ანუ „მალე გამდიდრების“. სიტუაცია განსხვავებული 1921 წლამდელი საქართველოსგან, სადაც ეკონომიკის განვითარების მთავარ სექტორად რეალური ეკონომიკა ითვლებოდა. საბჭოურმა სამოცდაათმა წელმა დააკარგვინა ტერმინ „მეწარმეს“ ძალა. 1921 წლამდელ ეკონომიკაში „მევახშეობა“ მაინცდამაინც პოპულარული საქმიანობა არ იყო, ითვლებოდა რომ დოვლათი იქმნებოდა ეკონომიკის რეალურ სექტორში. რა თქმა უნდა 90-იანების მსოფლიო უფრო დაკავშირებული იყო ფინანსურ სისტემებთან, ძლიერი საბანკო სისტემა არის ყველა ქვეყნის განვითარებული ქვეყნის ერთ-ერთი მაგრამ არა ერთადერთი ღერძი. შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას ფინანსური და კონკრეტულად საბანკო სფერო ზედმეტად გაბერილი იყო „საპნის ბუშტებით“,

რომლებიც არათუ ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი, არამედ მძლავრი ეკონომიკებისთვისაც უდიდესი საფრთხეა. ქართული საზოგადოებას სამწუხაროდ არ გააჩნდა მაღალი ეკონომიკური განათლება და გამოცდილება. საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაუფიქრებლად ჩადო საკუთარი დანაზოგები საეჭვო ბანკებში, რომლებიც ქმნიდნენ ფინანსურ პირამიდებს. ასევე „დაკარგული ანაბრები" ნომინირებული კუპონებში, რომელთაც ადამიანები იბრუნებდნენ უკან თავის საპროცენტო სარგებლით, თუმცა ნომინალურად მიღებული კუპონების რაოდენობას აღარ გააჩნდა მსყიდველუნარიანობა არსებული ჰიპერინფლაციის ფონზე.

ტრანსფორმაციის პროცესის დასრული - ტრანსფორმაციის პროცესში განხორციელებულ რეფორმებსა და მათს ეფექტიანობაზე საკმაოდ კარგს სურათს გვაძლევს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ინდიკატორები, რომელიც ტრანსფორმაციის ინდიკატორების სახელით ცნობილი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ტრანსფორმაციის პირველი ათი წლის მაჩვენებლები, თუმცა ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკი ქვემოთმოცემული მეთოდოლოგიით 2014 წლის ჩათვლით გვთავაზობს ტრანსფორმაციის ინდიკატორებს პოსტ-კომუნისტური ქვეყნებისათვის, განურჩევლად იმისა, დამთავრდა თუ არა ამ ქვეყნებში ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკისაკენ.

ეს ინდიკატორები მოიცავს ექვს ძირითად ჯგუფს:

- მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია,
- მცირე საწარმოთა პრივატიზაცია,
- სახელმწიფო მმართველობა და კომპანიების რესტრუქტურიზაცია,
- ფასების ლიბერალიზაცია,
- ვაჭრობა/სავალუტო ბაზრის განვითარება,
- კონკურენციის პოლიტიკა.[1]

ინდიკატორის შეფასების მინიმალური ანუ საწყისი დონე არის 1.0, ხოლო მაქსიმალური 4.0 და 4+ (რიგ შემთხვევებში წარმატებული რეფორმების შემთხვევაში ინდიკატორი მაღალია 4.0-ზე).

[1] EBRD Transition indicators methodology

საქართველოში, ისევე როგორც უმეტეს ქვეყნებში, პირველი ტრანსფორმაციული გარღვევა იყო ფასების ლიბერალიზაციის კუთხით, 1992 წელს მაჩვენებელი იყო უკვე 3.3. ხოლო 4.0-ს მიაღწია 1996 წლისათვის (იხ. ცხრილი 3.9). ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის მოცემული 15 პროდუქტ იანი კალათიდან 1991 წელს თხუთმეტივე პროდუქტის ფასი განისაზღვრებოდა ადმინისტრაციულად, 1992 წელს უკვე ხუთი, ხოლო 1996 წელს მხოლოდ სამი პროდუქტის ფასი.[1] 1998 წელს მაჩვენებელმა მიაღწია 4.3-ს, რაც გულისხმობს ამ კუთხით საქართველოს დაახლოებას თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის სტანდარტებთან, სადაც ფასები ადმინისტრაციულად არ კონტროლდება.

დიაგრამა 2.3. ტრანსფორმაციის ინდიკატორები საქართველოში, 1996-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა. https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

მცირე საწარმოთა პრივატიზაციის კუთხით კოეფიციენტი პირველად გაიზარდა 1993 წელს (2.0), ხოლო მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია 1995 წელს (2.0). მცირე საწარმოთა პრივატიზაცია შედარებით მალე დასრულდა მისაღები შედეგებით. რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს, მათი გასხვისება სხვადასხვა პოლიტიკური თუ

[1] EBRD, Transition Report 2000 https://www.ebrd.com/publications/transition-report-2000-english.pdf

ეკონომიკური მიზეზების გამო გაჭირდა. რაც ლოგიკურია, მათში დასაქმებული სამუშაო ძალის რაოდენობიდან. მორიგი მნიშვნელოვანი პრივატიზაციის ტალღა იწყება 2005 წლიდან, რასაც თან ახლდა გარკვეული სოციალური უკმაყოფილება. 2007 წელს მოცემულმა ინდიკატორმა მიაღწია 4.0-ს. თუმცა დღესაც არსებობს მცირე რაოდენობა სახელმწიფო საწარმოების და არის ამ მხრივ ინსტიტუციური გაუმჯობესების პოტენციალი.

1995 წელს პირველად შეიცვალა კოეფიციენტი ვაჭრობის და ფინანსური ბაზრის განვითარების ინდიკატორისათვის (2.0), მას შემდეგ რაც გაუქმდა ექსპორტზე გადასახადი დსთ-ს არაწევრ ქვეყნებში და შემოღებულ იქნა ერთიანი სატარიფო სტრუქტურა იმპორტზე. 2000 წელს საქართველო შეუერთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას.

ყველაზე გვიან, ასევე მსგავსად უმეტესი რესპუბლიკებისა, პროგრესი განიცადა კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორმა, 1996 წელს (2.0). ფასების ლიბერალიზაციამ და მცირე საწარმოთა პრივატიზაციამ 4.0-იან მაჩვენებელს მიაღწია 1996 წლისათვის.

ტრანსფორმაციის მეორე ათწლეულს საქართველო ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ექვსი ინდიკატორიდან სამი 4.0- ნიშნულით შეხვდა, რაც გულისხმობს რომ ამ მიმართულებებში ტრანსფორმაციის ძირითადი პროცესი დასრულებული იყო. როგორც ზევით აღინიშნა, მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის კუთხით მორიგი პროგრესი აღინიშნა 2005-2007 წლებში და ინდიკატორი გაუტოლდა 4.0-ს. ეს კი ნიშნავს რომ 50%-ზე მეტი სახელმწიფო კომპანიების არის კერძო მფლობელობაში. 2005 წლისათვის ასევე მცირედით გაუმჯობესდა სახელმწიფო მმართველობისა და კომპანიების რესტრუქტურიზაციის მაჩვენებელი, რაც უკავშირდება რეფორმებს სახელმწიფო სექტორში. ასევე კონკურენციის პოლიტიკის მაჩვენებელს 2014 წლისათვისაც კი არ მიუღწევია 4.0 კოეფიციენტის ნიშნულისთვის, შეადგენს რა შესაბამისად 2.0-ს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

გამომდინარე იქიდან, რომ პოსტ საბჭოთა რესპუბლიკებს ერთმანეთის მსგავსი სასტარტო პირობები გააჩნდათ ტრანსფორმაციის დაწყებისას, ბევრი ძირითადი მიმართულებით - შევადაროთ საქართველოში გატარებული ტრანსფორმაციული რეფორმები რამდენიმე სხვა საბჭოური რესპუბლიკის რეფორმებს. მოცემულ თავში

შედარებას გავაკეთებთ, საქართველოს ორ მეზობელ ეკონომიკასთან - აზერბაიჯანი და სომხეთი, და ასევე ტრანსფორმაციულ პროცესებში ყველაზე მაღალი პროგრესის მქონე ეკონომიკასთან, რომელიც არის ესტონეთი.

განვიხილოთ გატარებული რეფორმების დინამიკა 1992-2012 წლების ოცწლიან პერიოდში, ოთხივე ეკონომიკისთვის, ხუთივე ტრანსფორმაციის ინდიკატორის მიხედვით.

ფასების ლიბერალიზაცია - საქართველოში, ისევე როგორც უმეტეს ქვეყნებში, პირველი წარმატება იყო ფასების ლიბერალიზაციის კუთხით, 1992 წელს მაჩვენებელი იყო უკვე 3.3. ხოლო 4.0-ს მიაღწია 1996 წლისათვის. ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის მოცემული 15 პროდუქტიანი კალათიდან 1991 წელს თხუთმეტივე პროდუქტის ფასი განისაზღვრებოდა ადმინისტრაციულად, 1992 წელს უკვე ხუთი, ხოლო 1996 წელს მხოლოდ სამი პროდუქტის ფასი.[1]

დიაგრამა 2.4. ფასების ლიბერალიზაციის ინდიკატორი, 1991-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა.

https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

[1] EBRD, Transition Report 2000

1998 წელს მაჩვენებელმა მიაღწია 4.3-ს, რაც გულისხმობს ამ კუთხით საქართველოს დაახლოებას თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის სტანდარტებთან, სადაც ფასები ადმინისტრაციულად არ კონტროლდება. 2012 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის კვლავ 4.3-ს შეადგენს. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს აზერბაიჯანსა და სომხეთს, სომხეთშიც საქართველოს მგავსად 1992 წელს მაჩვენებელი 3.3 იყო, ხოლო 1996 წლისთვის უკვე 4.3-ს აღწევდა. აზერბაიჯანმა მისაღებ სტანდარტს შედარებით უფრო გვიან 1997 წელს მიაღწია. ესტონეთის შემთხვევაში, კი თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის სტანდარტებთან დაახლოება ყველაზე ადრე 1993 წელს მოხდა, როდესაც ფასების ლიბერალიზაციის მაჩვენებელი უკვე 4.3-ს შეადგენდა.

მცირე საწარმოთა პრივატიზაცია - მცირე საწარმოთა პრივატიზაციის კუთხით საქართველოში კოეფიციენტის წინსვლა იწყება 1993 წელს (2.0), ხოლო მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია 1995 წელს (2.0). მცირე საწარმოთა პრივატიზაცია შედარებით მალე დასრულდა მისაღები შედეგებით და კოეფიციენტმა 1996 წლისათვის უკვე სასურველ დონეს მიაღწია.

დიაგრამა 2.5. მცირე საწარმოთა პრივატიზაციის ინდექსი, 1991-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა.

https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

ჩვენი მეზობელი ქვეყნის სომხეთის შემთხვევაში, მცირე საწარმოთა პრივატიზაცია 4.0 ნიშნულს საქართველოსთან შედარებით გვიან, 2007 წელს გაუტოლდა. აზერბაიჯანში მცირე საწარმოთა პრივატიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფოს მხრიდან 2002 წელს და მაჩვენებელი 3.7-ს გაუტოლდა. ესტონეთმა კი 1994 წლიდან შეძლო და მცირე საწარმოების სრული პრივატიზაცია მოახდინა, რის შედეგადაც მაჩვენებელი 4.0-ს გაუტოლდა.

მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია - მცირე საწარმოთა პრივატიზაციისაგან განსხვავებით საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო მსხვილ საწარმოთა გასხვისება უფრო მეტად გაჭიანურდა დროში, რაც ლოგიკურია, მათში დასაქმებული სამუშაო ძალის რაოდენობიდან. მორიგი მნიშვნელოვანი პრივატიზაციის ტალღა იწყება 2005 წლიდან, რასაც თან ახლდა გარკვეული სოციალური უკმაყოფილება. 2007 წელს მოცემულმა ინდიკატორმა მიაღწია 4.0-ს. თუმცა დღესაც არსებობს მცირე რაოდენობა სახელმწიფო საწარმოების და არის ამ მხრივ ინსტიტუციური გაუმჯობესების პოტენციალი.

დიაგრამა 2.6. მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის ინდექსი, 1991-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა.

https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

სომხეთის შემთხვევაში მიაღწია მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს და 2012 წლის მდგომარეობით კვლავ 3.7 რჩება. შედარებით, განსხვავებული მდგომარეობაა აზერბაიჯანში, სადაც მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის კოეფიციენტი 2012 წლის მდგომარეობით კვლავ 2.0-ია. ესტონეთში ამ კუთხით გაჯანსაღება 1993 წელს დაიწყო როდესაც მაჩვენებელი 2.0-ს გაუტოლდა, ხოლო მალევე, 1995 წლიდან უკვე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდა და 4.0-ს მიაღწია.

დიაგრამა 2.7. ვაჭრობის და ფინანსური ბაზრის განვითარების ინდექსი, 1991-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა. https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

ვაჭრობისა და ფინანსური ბაზრის განვითარება - საქართველოში ვაჭრობის და ფინანსური ბაზრის განვითარების ინდიკატორმა პირველი ცვლილება განიცადა 1995

წელს (2.0), მას შემდეგ რაც გაუქმდა ექსპორტზე გადასახადი დსთ-ს არაწევრ ქვეყნებში და შემოღებულ იქნა ერთიანი სატარიფო სტრუქტურა იმპორტზე. შედეგად, 1997 წელს უკვე ეს მაჩვენებელი 4.0-ს გაუტოლდა. 2000 წელს საქართველო შეუერთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, რამაც აღნიშნული ინდიკატორი კიდევ უფრო გაზარდა და 4.3-ს გაუტოლდა.

სომხეთმა, ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგად ამ მიმართულებით, საქართველოსთან შედარებით უფრო ადრე 1996 წელს შეძლო მაჩვენებელი 4.0-ისთვის გაეტოლებინა. ხოლო აზერბაიჯანმა მხოლოდ 2005 წელს შეძლო თანამედროვე სტანდარტებისთვის ეპასუხა და ვაჭრობისა და ფინანსური ბაზრის განვითარების ინდიკატორი 4.0-მდე გაეზარდა. ესტონეთის შემთხვევაში, რეფორმები კვლავ ადრეულ სტადიაზე განხორციელდა და ინდიკატორმა 4.0-ს ჯერ კიდევ 1994 წელს მიაღწია.

დიაგრამა 2.8. სახელმწიფო მმართველობის და კომპანიების რესტრუქტურიზაციის ინდექსი, 1991-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა. https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

სახელმწიფო მმართველობა და კომპანიების რესტრუქტურიზაცია - სახელმწიფო მმართველობის და კომპანიების რესტრუქტურიზაციის ინდექსმა ყველაზე სწრაფი პროგრესი ესტონეთში განიცადა, სადაც უკვე 1992 წლისთვის მიაღწია 3.0 ნიშნულს. საქართველოში, მსგავსად მეზობელი აზერბაიჯანის და სომხეთისა, პროგრესი მეტად დაბალი ტემპებით მიმდინარეობდა 2014 წლისთვის ინდექსი მხოლოდ 2.3-ს შეადგენდა საქართველოს ეკონომიკაში.

კონკურენციის პოლიტიკა - საქართველოში ყველაზე გვიან 1996 წელს (2.0), ასევე მსგავსად უმეტესი რესპუბლიკებისა, პროგრესი განიცადა კონკურენციის პოლიტიკის ინდიკატორმა, მაშინ როდესაც, ფასების ლიბერალიზაციამ და მცირე საწარმოთა პრივატიზაციამ 4.0-იან მაჩვენებელს მიაღწია 1996 წლისათვის.

დიაგრამა 2.9. კონკურენციის პოლიტიკის ინდექსი, 1991-2014 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: ევროპის და რეკონსტრუქციის ბანკის მონაცემთა ბაზა. https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

აზერბაიჯანმა ამ კუთხით პროგრესი დაახლოებით საქართველოს მსგავსად 1995 წელს განიცადა და მაჩვენებელმა 2.0 შეადგინა, მაგრამ 2011-2012 წლებში ინდიკატორი შემცირდა და 1.7-ს გაუტოლდა. ყველაზე გვიან პროგრესი სომხეთმა

განიცადა 2001 წელს, ხოლო 2005 წლიდან მდგომარეობა სომხეთში კონკურენციის პოლიტიკის კუთხით კიდევ უფრო განვითარდა და მაჩვენებელმა 2.3-ს მიაღწია. ესტონეთის შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა განვითარება 1993 წლიდან დაიწყო და 2006 წელს 3.7 გაუტოლდა.

ინსტიტუციური გარემოს მიმდინარე შეფასება - ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი არა მხოლოდ ტრანსფორმაციის პროცესში ინსტიტუტების ქცევის აღწერა, არამედ ინსტიტუციური განვითარების დინამიკის შეფასება, ასევე ინსტიტუტების წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევების და მახასიათებლების ანალიზი. შესაბამისად, აუცილებელია კვლევაში ხაზი გაესვას ისეთი რიცხვით მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ მიმდინარე ინსტიტუციურ პროცესებს მრავალმხრივი კუთხით.

მრავალფეროვნების მიხედვით, ინსტიტუციურ ინდიკატორებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ინსტიტუციური კოეფიციენტებია. ჩვენ ამ ინდექსებს გამოვიყენებთ ნაშრომს მე-3 თავში, კერძოდ კი კვლევის პრაქტიკულ ნაწილში და დავასაბუთებთ მათს მოდელში ჩართვის აუცილებლობას. მიმდინარე თავში კი მოცემული ინდექსები გამოვიყენოთ საქართველოში არსებული სიტუაციური ანალიზისთვის, ინსტიტუტების სიძლიერის და მათი სხვა ქვეყნებს შორის პოზიციის განსაზღვრის შესახებ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები ყოველწლიურად ითვლება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ და პირველად გამოჩნდა 2006-2007 წლების ანგარიშში. ინდექსები დაყოფილი 12 კატეგორიად, რომლიდანაც ჩვენთვის საინტერესო არის 1-ლი კატეგორია - „ინსტიტუტები“ და ამ კატეგორიაში შემავალი ინდექსები[1].

კატეგორია „ინსტიტუტები“ მოიცავს 21 ინსტიტუციურ ქვე ინდექსს, რომელიც შემდგომში დაჯგუფებულია 7 ინდექსში. კატეგორია ასევე დაყოფილია ორ ნაწილად: A საჯარო ინსტიტუტები, B - კერძო ინსტიტუტები. ინდექსები ძირითადად მერყეობს 1-7 ინტერვალში, სადაც 1 ინსტიტუციური განვითარების ყველაზე დაბალი საფეხურია, ხოლო 7 ინსტიტუციური განვითარების მაღალი საფეხური. გამონაკლისი არის ინდიკატორი - „ინვესტორების დაცვის ხარისხი“, რომელიც 0-10 ინტერვალში

[1] http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

მოძრაობს. ინსტიტუციური ინდიკატორები ეყრდნობა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივ აზრის კვლევებს, რაც ერთის მხრივ შესაძლოა იწვევდეს ტექნიკური პრობლემებს სხვადასხვა ქვეყნებში ინსიტუტების კონცეფციის განსხვავებული აღქმის მიხედვით, თუმცა მეორე მხრივ იძლევა ინსტიტუტების აღქმის საშუალებას საზოგადოების მხრიდან. როგორც თეორიულ ნაწილში აღინიშნა, ინსტიტუტების უმთავრესი დანიშნულება ადამიანებისთვის დამხმარე როლია, შესაბამისად ინსტიტუტების საკუთარ მიზნებთან შესაბამისობას, ვერცერთი რაოდენობრივი ინდიკატორი ვერ შეაფასებს ისე, როგორც უშუალოდ საზოგადოების მიერ მათი შეფასება.

დიაგრამა 2.10. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდიკატორები საქართველოში, 2008-2018 წელი.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2017-2018, Global Competitivnes report 2017-2018. https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018

საქართველოში, კატეგორიის „ინსტიტუტები“ კოეფიციენტი 4.20 (1-7) შეადგენს 2018 (2017-2018 წლების ანგარიში) წლისთვის და ამით საქართველო 50-ე ადგილზეა მსოფლიოს 137 ეკონომიკას შორის, რომელთა შესახებ არის მოცემული ინსტიტუციური ინდექსები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებში კონკურენტუნარიანობის შესახებ. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ 2007-2008 წლის ანგარიშში, საქართველოს კოეფიციენტი შედარებით ნაკლები გახლდათ (3.62) და

ქვეყნის პოზიცია 85-ე ადგილი იყო მსოფლიოს 128 ეკონომიკას შორის. შესაბამისად, თვალშისაცემია ინსტიტუციური განვითარების პროცესი უკანასკნელი დეკადის მანძილზე. როგორც მთლიანად ინსტიტუციური ინდექსის, ასევე საჯარო და კერძო ინსტიტუტების ცვლილებების დინამიკა ასახულია გრაფიკზე. როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, მთლიანად ინსტიტუციური ინდექსი მეტწილად განისაზღვრება საჯარო ინსტიტუტებით და დიდწილად იმეორებს მის ტრაექტორიას. აღნიშნულის მიზეზი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების დათვლის მეთოდოლოგიაა, რომლის მიხედვითაც ინსტიტუციურ ინდექსის გაანგარიშების პროცესში 75% წილი საჯარო ინსტიტუტებს აქვთ, ხოლო 25% კერძო ინსტიტუტებს. 2018 წლის მდგომარეობით, საქართველოში საჯარო და კერძო ინსტიტუტების კოეფიციენტები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ საჯარო ინსტიტუტებისთვის კოეფიციენტი 4.20-ია (1-7), რაც 59-ე ადგილს გულისხმოს რეიტინგში, ხოლო კერძო ინსტიტუტებისთვის შესაბამისი კოეფიციენტი 4.21-ის ტოლია (50-ე ადგილი რეიტინგში).

2.3 ცხრილი მოიცავს ყველა ინსტიტუციურ ინდიკატორს საქართველოსთვის 2017-2018 წლის ანგარიშიდან და ასევე, საქართველოს პოზიციას ანგარიშში მოცემულ ეკონომიკებს შორის.

გამოვყოთ რამდენიმე ინდიკატორი:

- ინვესტორების დაცვის ხარისხი, კოეფიციენტი 7.7 (0-10), ამ მაჩვენებლით საქართველო რეიტინგში მე-7 ქვეყანაა. ასეთი მაღალი პოზიცია საქართველოს ამ ანგარიშში, არცერთი სხვა ინსტიტუციური ინდიკატორის მიხედვით არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საქართველოს პოზიცია მხოლოდ მე-100 ქვეყანა იყო.
- სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი, ამ ინდიკატორის კოეფიციენტი 4.71-ია (1-7), რომლის მიხედვით ქართული ეკონომიკა მე-9 ადგილზეა ანგარიშის რეიტინგში. აქვე, უნდა აღვნიშნოთ რომ ქართული ეკონომიკა ასევე საკმაოდ მაღალ პოზიციაზე, კერძოდ კი მე-14 ადგილზე იყო 2008 წელს.
- არაფორმალური გადახდები და ქრთამი, საქართველო 30-ე ქვეყანაა რეიტინგში. კოეფიციენტი კი 5.45-ს შეადგენს (1-7).

ასევე, ანგარიშის მიხედვით საკმაოდ დაბალია ბიზნესის ხარჯები კრიმინალის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში კოეფიციენტი 5.22-ია (1-7), 30-ე ადგილი რეიტინგში.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ საკუთრების უფლების ინდიკატორის გაუმჯობესება, 2018-2018 წლებში კოეფიციენტი 3.32 და 4.68-მდე გაიზარდა, რითაც საქართველო რეიტინგში 117-ე პოზიციიდან 43-ე პოზიციაზე გადავიდა.

ცხრილი 2.3. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდექსები საქართველოში, 2018 წელი.

ინდიკატორის დასახელება	კოეფიციენტი (1-7)	პოზიცია რეიტინგში
1.01 საკუთრების უფლებები	4.68	46
1.02 ინტელექტუალური საკუთრების დაცვა	3.66	95
1.03 სახელმწიფო რესურსების დივერსიფიკაცია	4.03	51
1.04 საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკოსების მიმართ	2.91	73
1.05 არაფორმალური გადახდები და ქრთამი	5.45	30
1.06 სასამართლოს დამოუკიდებლობა	3.57	87
1.07 საჯარო გადაწყვეტილებების ობიექტურობა	3.29	57
1.08 სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობა	3.02	79
1.09 სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი	4.71	9
1.10 დავების მოგვარების კანონმდებლობის ეფექტიანობა	3.47	79
1.11 რეგულირების საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა	3.36	67
1.12 საჯარო პოლიტიკის გამჭირვალეობა	4.45	46
1.13 ბიზნესის ხარჯები ტერორიზმის წინააღმდეგ	5.31	54
1.14 ბიზნესის ხარჯები კრიმინალის წინააღმდეგ	5.22	30
1.15 ორგანიზებული კრიმინალის დონე	5.41	38
1.16 საპოლიციო სერვისების საიმედოობა	5.18	42
1.17 ფირმების ეთიკური ქცევა ბიზნეს საქმიანობაში	3.87	66
1.18 აუდიტის და ანგარიშგების სტანდარტების ხარისხი	4.45	78
1.19 კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა	4.57	92
1.20 მცირე მეწილე ინვესტორების ინტერესების დაცვა	3.56	112

1.21 ინვესტორების დაცვის ხარიხი (0-10)	7.70	7

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2017-2018, Global Competitivnes report 2017-2018. https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018

თავი III. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირები და მათი კავშირი ეკონომიკურ ზრდასთან

3.1. კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში მიმოვიხილეთ, როგორც ინსტიტუციური ეკონომიკის, ისევე უშუალოდ კვლევის საკითხის - ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების შესახებ არსებული თეორიული საფუძვლები. ნაშრომის მეორე თავი დაეთმო ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესის აღწერას და ასევე, ინსტიტუტების გარშემო საქართველოში არსებული სიტუაციურ ანალიზს.

შედეგად, ნაშრომის მესამე თავი წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა და დაეთმობა წინა თავებში აღწერილი ინსტიტუციური მახასიათებლების რიცხვით შეფასებებს.

სადისერტაციო საკითხის თემიდან გამომდინარე, ნაშრომის პრაქტიკული ნაწილში (მესამე თავი) შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი მიზანი და შედეგად მივიღოთ კვლევითი შედეგები ამ მიზნების გარშემო:

1. საქართველოში არსებული ინსტიტუციური ჯგუფების გამოყოფა, კლასიფიკაცია და მათი რაოდენობრივი შეფასება. ასევე, შესაბამისი ინსტიტუციური ჯგუფების შეფასება პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში და შედარებითი ანალიზის განხორციელება. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოგვცემს ზოგად სურათს ინსტიტუციური ჯგუფების შესახებ;
2. საქართველოში, შეფასებულ ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირების დადგენა და შედარებითი ანალიზი შესაბამის კავშირებთან, პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების ინსტიტუტებისთვის. ამ მიზნის კვლევითი შედეგები იქნება, სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის არსებული ძლიერი თუ სუსტი კავშირების აღმოჩენა და გასცემს პასუხს კითხვაზე - არის თუ არა სხვადასხვა ინსტიტუტების განვითარება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პროცესი თუ შეიმჩნევა გარკვეული კავშირები;

3. საქართველოში, შეფასებულ ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას კავშირების შეფასება და შესაბამისი შედარებითი ანალიზი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში რეალურ ეკონომიკას და ინსტიტუტებს შორის არსებულ კავშირებთან. აღნიშნული მიზნის მიღწევა მოგვცემს კვლევით შედეგებს - ინსტიტუციურ და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის არსებული კავშირის სიძლიერის შესახებ.

გარდა ზემოთმოცემული ამოცანებისა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მოგვიწევს რიგი ამოცანების შესრულება და ასევე დამატებითი კვლევითი შედეგების მიღება.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილის პირველი მიზანი - ინსტიტუციური ჯგუფების კლასიფიკაციის და რაოდენობრივი შეფასების შესახებ მოიცავს რამდენიმე ამოცანის შესრულებას:

- ინსტიტუციური ჯგუფებისთვის კლასიფიკაციის მოდელის შერჩევა;
- ინსტიტუციური ინდიკატორების მოძიება შერჩეული კლასიფიკაციის მოდელის რაოდენობრივად შესაფასებლად;
- ინსტიტუტების დაჯგუფების მეთოდოლოგიის შემუშავება - თეორიული მოდელის და პრაქტიკულ ინდიკატორების კატეგორიებზე დაყრდნობით;
- კვლევის დროის პერიოდის შერჩევა;
- კვლევაში მონაწილე ქვეყნების შერჩევა;
- ინსტიტუციური ჯგუფების შეფასება.

ინსტიტუციური ჯგუფებისთვის კლასიფიკაციის მოდელის შერჩევა

ინსტიტუციური ჯგუფებისთვის კლასიფიკაციისთვის, საბაზო თეორიულ მოდელად გამოვიყენებთ პირველ თავში აღწერილ ინსტიტუციური დაჯგუფების ორგანზომილებიან მოდელს, რომელიც ინსტიტუტებს აფასებს ორი განსხვავებული განზომილებით:

- ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები,
- შიდა და გარე ინსტიტუტები.

როგორც პირველ თავში აღინიშნა, ხსენებული მოდელი არის შესაბამისი თანამედროვე ინსტიტუციური ეკონომიკის გამოწვევების და მისი თეორიული

დახასიათება გვხვდება 2016 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიაში (Voigt, 2016). ინსტიტუციური მოდელის თეორიული საფუძვლები დეტალურად აღწერილ იქნა ნაშრომის პირველ თავში, ხოლო ნაშრომის მესამე თავში მოვახდენთ ამ მოდელზე დაყრდნობით, ინსტიტუციური ჯგუფებისთვის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების მინიჭებას. შედეგად, კვლევის პრაქტიკულ ნაწილში კონცენტრაციას მოვახდენთ ინსტიტუტების ოთხ ჯგუფზე, რომელიც მიიღება ორივე ინსტიტუციური განზომილების ერთდროული შეფასებით.

აღნიშნული ოთხი ინსტიტუციური ჯგუფია:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები,
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები,
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები,
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები.

დიაგრამა 3.1 ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მატრიცა.



ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მოდელი და მასში შემავალი ინსტიტუტები ვიზუალურად გამოსახულია დიაგრამა 3.1-ზე.

მოცემულ თეორიულ მოდელზე დაყრდნობით, კვლევის პრაქტიკულ ნაწილში ინსტიტუტებს დავყოფთ ოთხ ჯგუფად და მოვახდენთ თითოეული ჯგუფის შეფასებას, მათ როგორც დამოუკიდებელ ასევე კომპლექსურ ანალიზს.

ინსტიტუციური ინდიკატორების მოძიება მოდელის შესაფასებლად. როგორც ნაშრომის წინა თავებში აღინიშნა, რომ ზოგადად, ინსტიტუტების ზომის შეფასება ეკონომიკურ მეცნიერებაში პრობლემატური საკითხია, რადგან ცვლადთა უმეტესობა არ არის რაოდენობრივი ხასიათის. შედეგად თვისებრივი ინდიკატორების მოდიფიკაცია და მათთვის რაოდენობრივი მნიშვნელობების მინიჭება, რაც უფრო კომპლექსურს ხდის ინსტიტუციურ გაანგარიშებებს.

ჩვენი საბაზო ინსტიტუტების კლასიფიკაციის თეორიული მოდელი მოიცავს სრულ ინსტიტუციურ სივრცეს დაყოფილს ოთხ ნაწილად. შესაბამისად, ინსტიტუციური დაჯგუფებისთვის აუცილებელია ისეთი ინდიკატორთა კომპლექტის მოძებნა, რომელიც ცალკეულად დაახასიათებს ერთმანეთისგან განსხვავებულ ინსტიტუტებს, რათა კვლევამ გამოავლინოს ყველა ძირითადი ინსტიტუტი.

ასევე, აუცილებელია ისეთი რაოდენობრივი ინდიკატორების მოძიება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ქვეყნებისთვის და გაანგარიშებული იქნება მსგავსი მეთოდოლოგიით, რათა შევძლოთ სხვადასხვა ეკონომიკებში არსებული ინსტიტუციური ცვლილებების შედარება.

კვლევის მიზანი მოიცავს ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირების შეფასებას, რისთვისაც აუცილებელია მათი განხილვა დინამიკაში. ამიტომ, შერჩეული ინდიკატორები უნდა ახასიათებდნენ განსაზღვრულ და მაქსიმალურად გრძელ დროით პერიოდს, რათა შევძლოთ მათი შედარება.

მიღებული კვლევის შედეგებს საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ როგორც საქართველოს ინსტიტუტები, ასევე სხვა პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არსებული ინსტიტუციური ჯგუფები, რადგან კვლევის მიზნები მოიცავენ შედარებით ანალიზს ქვეყნებს შორის. შედეგად, სასურველია ერთი ტიპის ინდიკატორები იყოს მოცემული მაქსიმალურად მეტი ეკონომიკის შესახებ და თანაც გაანგარიშებული მსგავსი მეთოდოლოგიით, რათა შედეგების სანდოობა მაღალი იყოს შედარებითი ანალიზისთვის.

ზემოთ აღწერილი მოთხოვნების შესაბამისად, შერჩეულ ინდიკატორთა ჯგუფი მეტ-ნაკლებად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მოიცავდეს ინსტიტუციური ინდიკატორების ფართო სპექტრს;

- წარმოდგენილი იყოს რიცხვითი სახით, გაანგარიშებული მარტივი და გასაგები მეთოდოლოგიით;
- ხელმისაწვდომი იყოს ქვეყანათა დიდი ჯგუფისთვის;
- მოიცავდეს მაქსიმალურად გრძელ და უწყვეტ დროით პერიოდს.

თუ გადავხედავთ ინსტიტუციური ინდიკატორების ხელმისაწვდომ სპექტრს თანამედროვე კვლევებში - მოიძებნება უამრავი ინდიკატორი, რომელიც აფასებს ინსტიტუციური განვითარების დონეს სხვადასხვა ასპექტების მიხედვით.

ცხრილში მოცემულია, კვლევისთვის გამოსადეგი პოტენციური ინსტიტუციური ინდიკატორების სია, რომელსაც შევაფასებთ ზემოთმოცემული 4 კრიტერიუმით. თითოეულ კრიტერიუმს შევაფასებთ სამ ბალიანი სისტემით:

- A – სრულად შესაბამისი
- B – მეტ-ნაკლებად შესაბამისი
- C - შეუსაბამო

ცხრილი 3.1. პოტენციური ინსტიტუციური ინდიკატორების დახასიათება.

	დროის პერიოდი	ქვეყნების სპექტრი	ინდიკატორების ფართო სპექტრი	მეთოდოლოგიის შესაბამისობა
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი - Global Competitiveness Index	B	A	A	A
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ტრანსფორმაციის ინდიკატორები - EBRD Transition Indicators	B	A	C	B

საერთაშორისო მმართველობის ინდიკატორები - The Worldwide Governance Indicators	A	A	C	B
ბერტლესმანის ტრანსფორმაციის ინდექსი - Transformation Index BTI	B	B	C	B

კვლევისთვის ვარგისი არ აღმოჩნდა შემდეგი ინდიკატორები:

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ტრანსფორმაციის ინდიკატორები[1]:

უპირატესობები -

- აღნიშნული ინდიკატორები ახასიათებენ ტრანსფორმაციის პროცესში გაწეულ რეფორმებს დროში. მისი რიცხვითი მნიშვნელობების სახით გაანგარიშების მეთოდოლოგია მეტწილად შესაბამისია კვლევის მიზნების. კერძოდ ტრანსფორმაციის ინდიკატორები მერყეობენ 1-4 ინტერვალში, გატარებული რეფორმების ხარისხის შესაბამისად.
- მოიცავენ გრძელ დროით პერიოდს, დაწყებულს ადრეული 90-იანებიდან 2016 წლამდე.
- ხელმისაწვდომია პოსტ ტრანსფორმაციული ქვეყნების ფართო სპექტრისთვის.

ნაკლოვანებები -

- ტრანსფორმაციის ინდიკატორები ტრანსფორმაციის პროცესს ასახავენ როგორც სასრულ პროცესს (A წერტილიდან B წერტილამდე) რაც არ მოდის შესაბამისობაში ნაშრომის კვლევით მიზანთან, რომელიც ინსტიტუციური ცვლილებების შეფასებას მოიცავს, როგორც ტრანსფორმაციის პროცესში, ასევე მის შემდეგ.

[1] https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/data/forecasts-macro-data-transition-indicators.html

- ტრანსფორმაციის ინდიკატორები ძირითადად ორიენტირებულია ეკონომიკურ პოლიტიკაში გასატარებელ რეფორმებზე, შესაბამისად არ მოიცავს არაფორმალური ინსტიტუციური სივრცის დიდ ნაწილს, ასევე არ ეხება რიგ ფორმალურ ინსტიტუტებს, რადგან ინდიკატორების ასახავენ პროცესებს /რეფორმა და არა უშუალოდ ინსტიტუტებს.
- ტრანსფორმაციის ინდიკატორები მოცემული სახით გვხვდება მხოლოდ 2016 წლამდე. კვლევის აქტუალობას მიმდინარე და მომავალი განვითარების პერსპექტივებს.

საერთაშორისო მმართველობის ინდიკატორები[1]:

უპირატესობები -

- საერთაშორისო მმართველობის ინდიკატორები ინსტიტუციური მმართველობის ექვს მიმართულებას, რომლებიც ახასიათებენ ინსტიტუტების და მმართველობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხარისხს,
- მოიცავს დროით პერიოდს დაწყებულს 1996 წლიდან და მოცემულია ყოველწლიური სიხშირით,
- ხელმისაწვდომია ეკონომიკათა ფართო ჯგუფისთვის.

ნაკლოვანებები -

- ინდიკატორები ძირითადად ახასიათებენ მმართველობით სტრუქტურებს, შესაბამისად ვერ გამოიყენება ინსტიტუტების სრულ სპექტრის შეფასებისთვის,
- ინდიკატორები მეტწილად გვაწვდიან ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ, შესაბამისად მისი საჯარო ინსტიტუტების დასახასიათებლად შესაძლებელია იქნას გამოყენებული.

ბერტლესმანის ტრანსფორმაციის ინდექსი[2]:

უპირატესობები -

- ტრანსფორმაციის ინდექსი ახასიათებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას რამდენიმე მიმართულებით;

---

[1] https://datacatalog.worldbank.org/dataset/worldwide-governance-indicators

[2] https://www.bti-project.org/en/data/

- მოიცავს დროით პერიოდს 2004 წლიდან 2018 წლამდე;
- ხელმისაწვდომია განვითარებად ეკონომიკათა ფართო ჯგუფისთვის.

ნაკლოვანებები -

- ინდიკატორები ძირითადად ახასიათებენ მმართველობით სტრუქტურებს, შესაბამისად ვერ გამოიყენება ინსტიტუტების სრულ სპექტრის შეფასებისთვის,
- ინდიკატორები მეტწილად გვაწვდიან ზოგად ინფორმაციას ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად არ მოიცავს არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუციური სივრცის დიდი ნაწილს.
- მოცემულია მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ სიხშირით.
- მეთოდოლოგია სხვადასხვა წლების გამოცემებს შორის ნაწილობრივ განსხვავებულია, რაც პრობლემაა დროითი მწკრივების შეფასებისას.

ზემოთმოცემული ორგანზომილებიანი თეორიული ინსტიტუციური მოდელისთვის ყველაზე მეტად შესაბამისი აღმოჩნდა **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები**[1], რომელიც დეტალურად მიმოვიხილეთ მე-2 თავის დასკვნით ნაწილში, სადაც ის გამოვიყენეთ საქართველოში არსებული ინსტიტუციური გარემოს სიტუაციური ანალიზისთვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მეტწილად აკმაყოფილებს ზემოთმოცემულ კრიტერიუმებს:

- ის გვთავაზობს მრავალფეროვან ინსტიტუციურ ინდიკატორთა ჯგუფს, როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ ინსტიტუტებს. ასევე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში არსებულ ინსტიტუტებს, რაც საშუალებას მოგვცემს მოვიცვათ ოთხივე ინსტიტუციური ჯგუფი.
- მასში მოცემულია უმეტესი პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების დინამიკაში, რაც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ შედარებითი ანალიზი ქვეყნებს შორის.

[1] http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/

- ხელმისაწვდომია უკანასკნელი 11 წლისთვის (2008-2018), რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებები.
- ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია არის მარტივი და მკაფიო, ინსტიტუციური ინდიკატორების წყარო არის საზოგადოებრივი აზრის კვლევები და ინდექსები წარმოდგენილია რიცხვითი სახით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მრავალფეროვანი კოეფიციენტებიდან, ჩვენს კვლევაში გამოვიყენებთ მხოლოდ ინსტიტუციურ ინდიკატორებს, რომლებიც მოცემულია ინდექსის პირველი კატეგორიაში „ინსტიტუტები“. მთლიანობაში კი ინდექსი თორმეტ განსხვავებულ კატეგორიად იყოფა.

როგორც მე-2 თავშიც აღინიშნა, კატეგორია „ინსტიტუტებში“ შემავალი ყველა ინდიკატორის წყარო არის საზოგადოებრივი აზრის კვლევები, შედეგად ისინი ასახავენ ინსტიტუტების როლს საზოგადოებრივი გადმოსახედიდან. ეს კი თანხვედრაშია კვლევის მიზნებთან, რადგან როგორც ნაშრომის თეორიულ ნაწილში მრავალგზის აღინიშნა, ინსტიტუტების უმთავრესი როლი ადამიანებისთვის ტრანსაქციების გამარტივებაა. შესაბამისად, ინსტიტუტების განვითარების ხარისხის ყველაზე კარგი შემფასებელი უშუალოდ ფართო საზოგადოებაა და არა რამე სტატიკური ინდიკატორი.

კატეგორია „ინსტიტუტები“ მოიცავს ინდექსთა შვიდ ჯგუფს და 21 ქვე ინდექს. ეს ინდექსთა ჯგუფებია:

1. საკუთრების უფლებები
2. საჯარო სექტორის ეფექტიანობა
3. ეთიკური ნორმები და კორუფცია
4. არაფორმალური ზეგავლენა სახელმწიფო სექტორზე
5. უსაფრთხოება
6. ანგარიშვალდებულება
7. კორპორაციული ეთიკა

თავის მხრივ, აღნიშნული მოიცავს და შედგება 21 ქვე ინდექსისგან, ეს ინდიკატორებია:

1. საკუთრების უფლებები
2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა (1-7)
3. სახელმწიფო რესურსების დივერსიფიკაცია (1-7)
4. საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკოსების მიმართ (1-7)
5. არაფორმალური გადახდები და ქრთამი (1-7)
6. სასამართლოს დამოუკიდებლობა (1-7)
7. საჯარო გადაწყვეტილებების ობიექტურობა (1-7)
8. სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობა (1-7)
9. სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი (1-7)
10. დავების მოგვარების კანონმდებლობის ეფექტიანობა (1-7)
11. რეგულირების საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა (1-7)
12. საჯარო პოლიტიკის გამჭირვალეობა (1-7)
13. ბიზნესის ხარჯები ტერორიზმის წინააღმდეგ (1-7)
14. ბიზნესის ხარჯები კრიმინალის წინააღმდეგ (1-7)
15. ორგანიზებული კრიმინალის დონე (1-7)
16. საპოლიციო სერვისების საიმედოობა (1-7)
17. ფირმების ეთიკური ქცევა ბიზნეს საქმიანობაში (1-7)
18. აუდიტის და ანგარიშგების სტანდარტების ხარისხი (1-7)
19. კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა (1-7)
20. მცირე მეწილე ინვესტორების ინტერესების დაცვა (1-7)
21. ინვესტორების დაცვის ხარიხი (0-10)

ინსტიტუტების დაჯგუფების მეთოდოლოგია

ინსტიტუტების ჯგუფების კლასიფიკაციისთვის, გამოვიყენებთ არსებულ ორგანზომილებიან თეორიულ მოდელს და ასევე შერჩეულ პრაქტიკულ ინდიკატორებს. ამისათვის კი, ორგანზომილებიან ინსტიტუციურ მატრიცას უნდა შევუსაბამოთ გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციურ ინდექსები.

ინსტიტუციური მატრიცის თითოეული ჯგუფის შესაფასებლად, ისინი უნდა დავახასიათოთ შესაბამისი შერჩეული ინსტიტუციური ინდიკატორებით. შესაბამისად, თითოეული ინსტიტუციური ინდიკატორი უნდა ახასიათებდეს

მხოლოდ ოთხიდან ერთ ჯგუფს. ამიტომ, თითოეული ინდიკატორი უნდა დავახასიათოთ ზემოთხსენებული ორი განზომილებით.

აქვე აღვნიშნოთ, რომ დაჯგუფებისთვის გამოვიყენებთ მხოლოდ ინდექსების და არა ქვე ინდექსების დონეზე, რადგან თითოეულ ინდექსის ჯგუფში შემავალი ყველა ქვე ინდექსი ახასიათებს ერთიდაიგივე ინსტიტუციურ ჯგუფს.

პირველი განზომილება პასუხობს კითხვას, ახასიათებს ინდიკატორი ფორმალურ თუ არაფორმალური ინსტიტუტებს.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა განვიხილოთ თითოეული ინდიკატორის ეკონომიკური შინაარსი, შედეგად ამ განზომილების მიხედვით დაჯგუფება მოხდა ჩვენი შეფასებების მიხედვით.

პირველი განზომილების შეფასების შედეგად, ფორმალური განზომილება მიენიჭა შემდეგ სამ ინდექსს და მათში შემავალ 11 ქვეინდექსს:

1. საკუთრების უფლებები
2. საჯარო სექტორის ეფექტიანობა
3. ანგარიშვალდებულება

ხოლო არაფორმალური განზომილების დასახასიათებლად შეირჩა შემდეგი 4 ინდექსი და მათში შემავალი 10 ქვე ინდექსი:

1. ეთიკური ნორმები და კორუფცია
2. არაფორმალური ზეგავლენა სახელმწიფო სექტორზე
3. უსაფრთხოება
4. კორპორატიული ეთიკა

მეორე განზომილება პასუხობს კითხვას, ახასიათებს ინდიკატორი შიდა თუ გარე ინსტიტუტებს.

განსხვავებით პირველი განზომილების განსაზღვრისგან, სადაც ავტორისეული შეფასებები გამოყენებულ იქნა ინდიკატორების კლასიფიკაციისთვის, მეორე განზომილების განსაზღვრა უშუალოდ გლობალური გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მოცემული კლასიფიკაციიდან. შიდა და გარე ინსტიტუციების დამახასიათებელი ინდიკატორების დაყოფა ტექნიკურად შედარებით მარტივია, გამომდინარე იქიდან რომ გლობალური

კონკურენტუნარიანობის ინდექსის პირველი კატეგორია ინსტიტუტები „ინსტიტუტები“ იყოფა ორ ქვეჯგუფად: „სახელმწიფო ინსტიტუტები“ და „კერძო ინსტიტუტები“. შესაბამისად „სახელმწიფო ინსტიტუტების“ ჯგუფში შემავალი ინდიკატორები შეგვიძლია მოვიაზროთ გარე ინსტიტუტების გასაზომად, რადგან როგორ წესი გარე მარეგულირებელი ინსტიტუტი სახელმწიფოს ნაწილია. ხოლო „კერძო ინსტიტუტებში“ არსებული ინდიკატორებს კი გამოვიყენებთ შიდა ინსტიტუტების დასახასიათებლად, რადგან შიდა ინსტიტუტები უშუალოდ საზოგადოებაში არსებული ინსტიტუტებია.

მეორე განზომილების შეფასების შედეგად, გარე ინსტიტუტის განზომილება მიენიჭა შემდეგ 5 ინდექსს და მათში შემავალ 16 ქვეინდექსს:

1. საკუთრების უფლებები
2. საჯარო სექტორის ეფექტიანობა
3. ეთიკური ნორმები და კორუფცია
4. არაფორმალური ზეგავლენა სახელმწიფო სექტორზე
5. უსაფრთხოება

ხოლო შიდა ინსტიტუტის განზომილება მიენიჭა შემდეგ 2 ინდექსს და მათში შემავალ 5 ქვე ინდექსს:

1. ანგარიშვალდებულება
2. კორპორატიული ეთიკა

ცხრილი 3.2. ინდიკატორების განაწილება ინსტიტუციურ ჯგუფებში.

ფორმალური გარე ინსტიტუტები (FE	არაფორმალური გარე ინსტიტუტები (IE):
საკუთრების უფლებები • საკუთრების უფლებების დაცვა • ინტელექტუალური საკუთრების დაცვა **საჯარო სექტორის ეფექტიანობა** • სახელმწიფო ხარჯების	**ეთიკური ნორმები და კორუფცია** • სახელმწიფო რესურსების დივერსიფიკაცია, • საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკოსების მიმართ • არაფორმალური გადახდები და თაღლითობა

ეფექტიანობა, • სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი, • დავების მოგვარების კანონმდებლობის ეფექტიანობა, • რეგულაციების საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა, • საჯარო პოლიტიკის გამჭვირვალეობა.	**არაფორმალური ზეგავლენა სახელმწიფო სექტორზე** • სასამართლოს დამოუკიდებლობა, • საჯარო გადაწყვეტილებების ობიექტურობა; **უსაფრთხოება** • ბიზნესის ხარჯები ტერორიზმის წინააღმდეგ, • ბიზნესის ხარჯები კრიმინალის წინააღმდეგ, • ორგანიზებული კრიმინალის დონე, • საპოლიციო სერვისების საიმედოობა.
ფორმალური შიდა ინსტიტუტები (FI): **ანგარიშვალდებულება** • აუდიტის და ანგარიშგების სტანდარტების ხარისხი • კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა, • მცირე მეწილე აქციონერების დაცვა • ინვესტორების დაცვა	არაფორმალური შიდა ინსტიტუტები (II): **კორპორატიული ეთიკა** • ფირმების ეთიკური ქცევა ბიზნეს საქმიანობაში

თითოეული ინდექსისთვის ორივე განზომილების განსაზღვრის შემდეგ, გავანაწილოთ ინდექსები ოთხ ინსტიტუციურ ჯგუფში. განაწილების შედეგად, ორგანზომილებიანი მატრიცის თითოეულ ჯგუფში აღმოჩნდა შემდეგი ინდექსები და ქვეინდექსები, რომელიც ასახულია ცხრილ

ფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფში მოხვდა 2 ინდექსი და 8 ქვე ინდექსი. მეტად მრავალფეროვანია არაფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფი,

სადაც 3 ინდექსი და 9 ქვე ინდექსია. ფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფი განისაზღვრება 1 ინდექსით და 4 ქვე ინდექსით. ყველაზე ნაკლები ინდიკატორი გვაქვს არაფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფში, რომელიც მხოლოდ 1 ინდექსით და მასში შემავალი 1 ქვე ინდექსით განისაზღვრება. ამ დაჯგუფებებიდან შეგვიძლია შესაბამისი პრაქტიკული დასკვნების გაკეთება.

ინსტიტუციური ჯგუფების გაანგარიშების მეთოდოლოგია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდექსების ინსტიტუციურ ჯგუფებში განაწილების შემდეგ, გადავიდეთ ინდიკატორების რიცხვითი მნიშვნელობების მეთოდოლოგიაზე. გლობალური კონკურენტუნარიანობის თითოეული ინსტიტუციური ინდექსი მერყეობს 1-დან 7 ინტერვალში. სადაც 1 ინსტიტუციური განვითარების ყველაზე დაბალი საფეხურის შესაბამისი კოეფიციენტია, ხოლო 7 ყველაზე მაღალი საფეხურის შესაბამისი. ასევე 1-7 ინტერვალში მერყეობს ყველა ქვე ინდექსი, გარდა ინდიკატორისა - „ინვესტორების დაცვა“ , რომელიც მერყეობს 0-10 ინტერვალში. გამომდინარე იქიდან რომ თითოეულ ინდექსში შემავალი ყველა ინდექსი მიეკუთვნება ერთიდაიგივე ინსტიტუციურ ჯგუფს, ინსტიტუციური ჯგუფების გასაზომად რაოდენობრივი სახით გამოვიყენებთ მხოლოდ ინდექსებს და არა მათში შემავალ ქვე ინდექსებს.

შესაბამისად, ჩვენს მიერ შეფასებული ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტებიც 1-დან 7-მდე ინტერვალში მოხვდებიან, სადაც 1 ინსტიტუციური ჯგუფის განვითარების ყველაზე დაბალი ხარისხი, ხოლო 7 ინსტიტუციური ჯგუფის განვითარების უმაღლესი საფეხური იქნება.

თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტი გამოიანგარიშება ორ ეტაპად:

1. განისაზღვრება ინსტიტუციური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ინდექსები .. ცხრილების მიხედვით,
2. მოხდება ამ ინდექსების შესაბამისი რიცხვითი მაჩვენებლებისთვის მარტივი საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია, რადგან თითოეულ ინდექსს თანაბარი წილი გააჩნია მთლიანი ინსტიტუციური კატეგორიის საერთო კოეფიციენტის გაანგარიშებაში.

ინსტიტუციურ მონაცემთა დროის პერიოდის განსაზღვრა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ კავშირების შესწავლა, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებს შორის და ასევე მათი გავლენის შეფასება ეკონომიკურ ზრდაზე. ამისათვის აუცილებელია, დინამიკაში განვიხილოთ ზემოთ გაანგარიშებული ინსტიტუციური ჯგუფები კვლევაში მოცემული ქვეყნებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასებული ინსტიტუციური ჯგუფები ეყრდნობა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსებს, ამოცანის პერიოდის შერჩევისას დამოკიდებული ვართ ამ ინდექსების ხელმისაწვდომობაზე. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გაანგარიშებული კონკურენტუნარიანობის ინდექსები, დღევანდელი სახით პირველად გამოჩნდა 2007-2008 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში. კონკურენტუნარიანობის ინდექსები მოცემულია ყოველწლიური სიხშირით და მისი ბოლო შედეგები მოცემულია 2017-2018 წლის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში. შესაბამისად, ანალიზისთვის ინსტიტუციური ჯგუფების დროითი მწკრივები შედგება 11 წლის შესახებ არსებული ინფორმაციისგან. კვლევის შემდეგ ეტაპზე, 2007-2008 წლის ანგარიშში მოცემულ ინდიკატორს 2008 წლის ინდიკატორად და შესაბამისი პრინციპით ყველა სხვა წლების ანგარიშისთვის.

ეკონომიკური ინდიკატორების განსაზღვრა. ინსტიტუციური ჯგუფების პარალელურად, ანალიზში ვიყენებთ მაჩვენებელებს ეკონომიკის ზომის შესახებ, რათა შევაფასოთ ინსტიტუციურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის კავშირები.

ჩვენ ანალიზში, ეკონომიკური ზრდის დასახასიათებლად ყველაზე მისაღები ცვლადი არის მთლიანი შიდა პროდუქტი.

- ანალიზში ჩავრთავთ მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობას და არა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, რადგან ინსტიტუციური ინდიკატორებიც მოცემულია როგორც ნაშთი და არა ნაკადების (ცვლილებების) სახით.
- ანალიზში გამოყენებული იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობა ანუ დაფიქსირებული იქნება საბაზო ფასებში. ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი დეტერმინანტი არის ეკონომიკის რეალური ცვლილება და არა ნომინალური ცვლილება.

- ანალიზში გამოყენებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები იქნება ნომინირებული ეროვნულ ვალუტაში თითოეული ეკონომიკისათვის, რადგან მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა გაიანგარიშება ეროვნული ვალუტაში მოცემული მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

შედეგად, ეკონომიკის მოცულობის ცვლილების განსაზღვრისთვის შერჩეულია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გამოსახული რეალურ ფასებში და ნომინირებული ეროვნულ ვალუტაში 2008-2018 წლებისთვის.

ინფორმაციის წყარო არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2019 წლის აპრილის ანგარიშის მონაცემთა ბაზა (World Economic Outlook Update, April 2019). მთლიანი შიდა პროდუქტის დროითი მწკრივები მოცემულია რეალურ გამოსახულებაში (მუდმივ ფასებში).

ქვეყანათა ჯგუფის შერჩევის მეთოდოლოგია. კვლევის ერთ-ერთი მიზანი, გარდა საქართველოში არსებული ინსტიტუციური ცვლილებების შეფასებისა, ასევე არის შედარებითი ანალიზის განხორციელება სხვა ეკონომიკებთან, კომუნისტური წარსულით.

გამომდინარე იქიდან, კვლევა ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკას და ინსტიტუციური განვითარების პროცესს საქართველოში, შესაბამისად მიზანშეწონილია შედარების გაკეთება ისეთ ქვეყნებთან, სადაც უახლოესი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა საქართველოს მსგავსი ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები. ეს კი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ამ ქვეყნებში ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის არსებულ ინტერაქციებზე და ასევე ამ ინსტიტუტების განვითარების როლზე ეკონომიკურ განვითარებაში. ასეთი ეკონომიკით ხასიათდებიან ქვეყნები, რომელიც გასული საუკუნის მიწურულს ხასიათდებოდნენ გეგმური ეკონომიკით და მოგვიანებით დაიწყეს საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პროცესი. ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში მეტად მგრძნობიარეა როგორც არსებული ინსტიტუციური სტრუქტურაში ცვლილებები, ასევე ახალი ინსტიტუტების მშენებლობის პროცესი.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილში გამოვიყენებთ მაჩვენებლებს პოსტკომუნისტური და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების შესახებ.

კვლევაში მონაწილე ქვეყნების შესარჩევად გამოვიყენებთ მსოფლიო ბანკისა (2002) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციებს (2000) ტრანსფორმაციული ეკონომიკების შესახებ. აღნიშნული კლასიფიკაციების შერჩევის მიზეზი არის ის, რომ კვლევაში ერთდროულად მოხვდეს:

- ქვეყნები, სადაც მიმდინარეობს ტრანსფორმაციის პროცესი.
- ქვეყნები, სადაც დასრულდა ტრანსფორმაციის პროცესი.

სხვადასხვა მკვლევარები და საერთაშორისო ორგანიზაციები განსხვავებული კრიტერიუმებით ყოფენ საზღვარს ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ და ტრანსფორმაციის პროცესის დასრულებულ ქვეყნებს შორის.

თუმცა, ჩვენი კვლევისთვის ორივე ჯგუფი მეტად საინტერესოა, შესაბამისად არ მოვახდენთ ამ ეკონომიკების დაჯგუფებას ხსენებული ნიშნით და მიმოვიხილავთ ყველა ქვეყანას პოსტკომუნისტური წარსულით - დამოუკიდებლად იმისა, დასრულებულია თუ არა ტრანსფორმაციის პროცესი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაციის დასრულების შემდეგ, პოსტ კომუნისტური ქვეყნები კვლავ ხასიათდებიან მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებებით. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია არაფორმალური ინსტიტუტების კუთხით, როგორც თეორიულ ნაწილში აღინიშნა მათ მეტი დრო სჭირდებათ ტრანსფორმაციისთვის. ასევე უნდა ითქვას, რომ ყველა ტრანსფორმაციული ქვეყანა ტრანსფორმაციის დასაწყისში ამავდროულად მიეკუთვნებოდა განვითარებად ქვეყანათა სიას, რაც მიანიშნებს ქვეყანათა ამ ჯგუფში ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობების მსგავსებაზე.

ქვემოთ მოცემულია პოსტ-ტრანსფორმაციული და პოსტ-კომუნისტური ქვეყნების სია, რომელთა შესახებ ხელმისაწვდომია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები და შესაბამისად ეს ეკონომიკები ხვდებიან ჩვენს კვლევაში:

1. ალბანეთი
2. სომხეთი
3. აზერბაიჯანი
4. ბოსნია და ჰერცოგოვინა
5. ბულგარეთი
6. კამბოჯა
7. ჩინეთი
8. ხორვატია
9. ჩეხეთი
10. ესტონეთი

11. საქართველო
12. უნგრეთი
13. ყაზახეთი
14. ყირგიზეთი
15. ლაოსი
16. ლატვია
17. ლიტვა
18. მაკედონია
19. მოლდოვა
20. მონტენეგრო
21. პოლონეთი
22. რუმინეთი
23. რუსეთი
24. სერბეთი
25. სლოვაკეთი
26. სლოვენია
27. ტაჯიკეთი
28. უკრაინა
29. ვიეტნამი

სულ მონაცემები ხელმისაწვდომია 29 ეკონომიკისთვის. გარდა მოცემული ქვეყნებისა, მსოფლიოს ბანკის და სავალუტო ფონდის სიაში გვხვდება კიდევ რამდენიმე ეკონომიკა, თუმცა მონაცემების არარსებობის გამო, ისინი კვლევაში ვერ ხვდებიან. ეს ქვეყნებია: ბელარუსი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ბოტსვანა.

აქვე უნდა ითქვას, რიგი ეკონომიკების შესახებ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი არ გვთავაზობს ყველა ინდიკატორს ყველა წლის შესახებ (2008-2018).

ამიტომ, კვლევის იმ ნაწილში, სადაც განვიხილავთ მონაცემებს დინამიკაში და ვეძებთ კორელაციას ინსტიტუციურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის, 29 ეკონომიკის მაგივრად მოხვდება 25 ეკონომიკა, სადაც ხელმისაწვდომია მონაცემები დინამიკაში. შედეგად, კვლევის ფინალური ნაწილიდან ამოღებული ეკონომიკებია:

- ბოსნია და ჰერცოგოვინა,
- ლაოსი,
- მოლდოვა,
- ტაჯიკეთი.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მაკედონიის ინსტიტუტების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი 2018 წლისთვის (2017-2018 წლის ანგარიში), შესაბამისად ყველა გაანგარიშებაში მაკედონიის შესახებ გამოყენებულ იქნება მხოლოდ 2008-2017 წლის მონაცემები ნაცვლად 2008-2018-ისა.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილში, გარდა ინსტიტუციების დაჯგუფებისა ასევე მოვახდენთ ქვეყანათა დაჯგუფებას და მათთვის საშუალო მაჩვენებლების გაანგარიშებას.

აღსანიშნავია ფაქტია, რომ ჩვენს ანალიზში მოხვედრილი პოსტ-ტრანსფორმაციული ქვეყნები, მიუხედავად მსგავსებებისა, ხასიათდებიან განსხვავებული სასტარტო პირობებით. შესაბამისად საინტერესო ეკონომიკათა ჯგუფებს შორის შედარებითი ანალიზის განხორციელება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ტრანსფორმაციული და პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნების ყოფს ჯგუფებად რეგიონული ნიშნით. გამოვიყენოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგია და შემდგომში გავიანგარიშოთ კოეფიციენტები შემდეგი ქვეყანათა ჯგუფებისთვის:

ბალტიის ქვეყნები (Baltic) :

- ესტონეთი,
- ლატვია,
- ლიტვა

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (SEE):

- ალბანეთი,
- ბულგარეთი,
- ჩრდილოეთ მაკედონია,
- მონტენეგრო,
- რუმინეთი,
- სერბეთი

ცენტრალური ევროპის ქვეყნები (CE):

- ხორვატია,
- ჩეხეთი,
- უნგრეთი,
- პოლონეთი,
- სლოვაკეთი,
- სლოვენია

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (EC)-

- აზერბაიჯანი,
- სომხეთი,
- საქართველო,
- უკრაინა

3.2. ინსტიტუციურ ჯგუფების და მათ შორის კავშირების შეფასება საქართველოსა და პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში

მიმდინარე თავში განსახილველი კვლევის შედეგების, დავყოთ ორ ნაწილად; სადაც პირველ ეტაპზე მოვახდენთ ინსტიტუციურ ჯგუფების შეფასებას და მათ შორის კავშირების შესწავლას, ხოლო მეორე ეტაპზე ამ ჯგუფებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებას.

ინსტიტუციური ჯგუფების შეფასება - ინსტიტუციური ჯგუფებს შორის კავშირების შესწავლა დავიწყოთ საქართველოს მაგალითით და შემდგომ შევადაროთ მაჩვენებლები პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების შესაბამისი ინსტიტუციური ჯგუფების მნიშვნელობას.

ყველა კოეფიციენტი გაანგარიშებულია 3.1 თავში მოცემული მეთოდოლოგიის მიხედვით. დიაგრამა 3.2 გვიჩვენებს ოთხივე ჯგუფისთვის ინსტიტუციურ ინდექსებს 2018 წლისთვის.

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში აღინიშნა, ინსტიტუციური ჯგუფისთვის მინიმალური კოეფიციენტი არის 1.0, რაც ახასიათებს ინსტიტუციური განვითარების (კონკურენტუნარიანობის) ყველა დაბალ ხარისხს, ხოლო ინსტიტუციური ჯგუფის განვითარების მაქსიმალური, ყველა მაღალი ხარისხია მოცემულია 7.0-ის მოცულობით. დიაგრამა 3.2-დან ჩანს, 2018 წლისთვის საქართველოში ყველაზე მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება ფორმალური შიდა ინსტიტუტები (4.55), რომელიც განისაზღვრება ანგარიშვალდებულების ინდექსით, რომელიც თავის თავში მოიცავს ინდიკატორებს კერძო სექტორში არსებული ფინანსური საქმიანობის ხელშემწყობი ინსტიტუტების შესახებ. ყველაზე დიდი წვლილი ამ ინდექსის მოცულობაში მიუძღვის ქვე ინდექსს - კორპორაციული საბჭოების ეფექტიანობა (4.6/7.0). ასევე უნდა გამოვყოთ ინდიკატორი ინვესტორების დაცვის მექანიზმების შესახებ (7.7/10.0), რის მიხედვითაც ქართული ინსტიტუტები მსოფლიოს 7 საუკეთესო ქვეყანის ინსტიტუტებში იყვნენ.

დიაგრამა 3.2. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოში (1-7, 2018 წლები).



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

გარდა ფორმალური შიდა ინსტიტუტებისა, ჩვენმა ანალიზმა მოგვცა საკმაოდ მაღალი შეფასება არაფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის (4.28). აღნიშნულ ინსტიტუტების ჯგუფს განვსაზღვრავთ სამი ინდექსის მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ რიგ მნიშვნელოვან ინდიკატორებს. ეს ინდექსებია: უსაფრთხოება, არაფორმალური ზეგავლენა და ეთიკური ნორმები და კორუფცია. აღნიშნული ინდექსებიდან, ყველაზე მაღალი კოეფიციენტი გააჩნია უსაფრთხოების ინდიკატორს. საქართველოში დაბალია ბიზნესის ხარჯები ტერორიზმის და კრიმინალის წინააღმდეგ, ასევე ადვილად ხელმისაწვდომია საპოლიციო და უსაფრთხოების სერვისები.

შედარებით ნაკლები კოეფიციენტით ხასიათდება ფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფი (4.07). აღნიშნული ჯგუფი განისაზღვრება საკუთრების უფლების დაცვის და საჯარო სექტორის ეფექტიანობის ინდექსებით. ამ სუბ-

ინდექსებში შემავალი ინდიკატორებიდან უნდა გამოვყოთ უშუალოდ საკუთრების უფლებები (4.7/7.0) და სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი (4.7/7.0).

მოცემული ჯგუფებიდან ყველაზე დაბალი კოეფიციენტი გააჩნია არაფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფს. ეს ჯგუფი განისაზღვრება კორპორაციული ეთიკის ინდექსით, რომელიც მოიცავს ინდიკატორს ბიზნესის ეთიკური საქმიანობის შესახებ (3.87). როგორც ნაშრომის თეორიულ ნაწილში იქნა განხილული, ინსტიტუციური სფეროს მკვლევარები აქტიურად მიუთითებენ რიგი არაფორმალური ინსტიტუტებისთვის დამახასიათებელ ხანგრძლივ და ნელ ტრანსფორმაციის პროცესზე. შიდა არაფორმალური ინსტიტუტები კი (ამ შემთხვევაში წარმოდგენილი კორპორაციული ეთიკის სახით) ამის კარგი მაგალითია. თუ უფრო ჩავუღრმავდებით საქართველოს ეკონომიკის უახლეს ისტორიას, თვალშისაცემია ფაქტი რომ საქართველოში არ არსებობდა ჩამოყალიბებული ბიზნეს საქმიანობის კულტურა. აღნიშნულის მიზეზი 70 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის ცენტრალური დაგეგმარებაა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამ პერიოდში, ოფიციალურ დონეზე არ არსებობდა კერძო ბიზნესი. 90-იანი წლების დასაწყისში, ეკონომიკის ლიბერალიზაციასთან ერთად იწყება კერძო ბიზნეს სექტორის ჩამოყალიბება, თუმცა, არსებული რთული ეკონომიკურ-პოლიტიკური პირობების და შემორჩენილი საბჭოთა პრაქტიკის შედეგად, კერძო სექტორის საქმიანობა ისევ დიდწილად დამოკიდებული იყო პოლიტიკურ გავლენებზე და არ ხდებოდა ინსტიტუციური ბიზნეს კულტურის სწრაფი ტემპებით ჩამოყალიბება.

გარდა სტატიკური 2018 წლის მონაცემების განხილვისა, მეტად საინტერესოა ინსტიტუციური ჯგუფების ცვლილების განხილვა დინამიკაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბაზო მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ უკანასკნელი 11 წლისთვის, შესაბამისად ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები გაანგარიშებულია 2008-2018 წლებისთვის.

დიაგრამა 3.3 გვიჩვენებს თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის შესაბამის კოეფიციენტებს თითოეული წლისთვის. როგორც ვხედავთ, მოცემული 11 წლიანი პერიოდის (2008-2018) მანძილზე, ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები მერყეობენ 3.0-5.0 ინტერვალში.

2008 წლისთვის, ყველაზე დაბალი კოეფიციენტით ფორმალური გარე ინსტიტუტები გამოირჩეოდნენ, სადაც კოეფიციენტი მხოლოდ 3.31 იყო. თუმცა, შემდგომა რეფორმებმა კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, გავლენა მოახდინა საკუთრების უფლებების ხარიხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, შედეგად ამ ინსტიტუციურმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი აღმასვლა განიცადა (3.31-დან 4.07-მდე).

დიაგრამა 3.3. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოში (1-7, 2008-2018 წლები).



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

ასევე მნიშვნელოვანი მატებით გამოირჩა არაფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფი და 2008-2018 წლებში, კოეფიციენტი 3.76-დან 4.28-მდე გაიზარდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მოცემულ ინსტიტუციურ ჯგუფს ყველაზე მაღალი კოეფიციენტი 2016 წელს გააჩნდა 4.67-ის ოდენობით და ეს ასევე მაქსიმუმი მაჩვენებელია ყველა ინსტიტუციურ ჯგუფის ისტორიული მონაცემების მანძილზე. შემდგომმა მცირე

რეგრესმა, უსაფრთხოების და არაფორმალური ზეგავლენის ინდექსების კუთხით, არაფორმალური გარე ინსტიტუტები ინსტიტუციურ იერარქიაში მე-2 ადგილზე გადაიყვანა ოთხ მოცემულ ჯგუფს შორის 2018 წლისათვის.

2018 წლის მდგომარეობით, ყველაზე მაღალი კოეფიციენტი გააჩნია ფორმალურ შიდა ინსტიტუტებს 4.55-ის მოცულობით. თუ დიაგრამას დავაკვირდებით, შევამჩნევთ კოეფიციენტის მეტად სტაბილურ და მდგრად ზრდას 2008-2018 წლებში. კერძო სექტორში არსებული ფორმალური ინსტიტუტები სტაბილურად ვითარდებიან ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების პარალელურად.

2008-2018 წლებში ზრდა საკმაოდ მცირე გამოდგა არაფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფისთვის (3.61-დან 3.87-მდე), შედეგად ბიზნეს სფეროში არსებული კორპორატიული ეთიკა, კვლავ საკმაოდ სუსტ ინსტიტუტს წარმოადგენს საქართველოში. თუ 2008 წლის ინსტიტუციურ იერარქიაში აღემატებოდა ფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფს, 2018 წლისთვის ის უკანასკნელ ადგილზე ოთხ ინსტიტუციურ ჯგუფს შორის. არაფორმალური შიდა ინსტიტუტები მეტად სუსტი ინსტიტუციური ჯგუფია, როგორც დიაგრამიდან ვხედავთ მას ახასიათებს მცირე მერყეობა, თუმცა მის მნიშვნელოვან განვითარებას გრძელვადიან პერიოდი სჭირდება, როგორც მინიშნებულია ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიაში.

დიაგრამა 3.4 გვიჩვენებს ოთხივე ინსტიტუციურ ჯგუფის საბაზო მონაცემს 2008 წლისთვის და მათ ნაზრდს 2008-2018 წლებში. მონაცემები გამოსახულია კოეფიციენტების აბსოლუტური სახით, შესაბამისად საბაზო კოეფიციენტის (2008 წელი) და ნაზრდის (2008-2018) ჯამი გვაძლევს კოეფიციენტის აბსოლუტურ მნიშვნელობას 2018 წლისათვის.

საინტერესოა ჯგუფების ცვლილების განხილვა პროცენტულ გამოსახულებაშიც, 2008-2018 წლების ზრდა თითოეული ინსტიტუციური ჯგუფისთვის პროცენტული ზრდა შეადგენდა[1]:

[1] ინსტიტუციური ჯგუფების ცვლილების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ ინსტიტუციური კოეფიციენტები მერყეობენ 1-7 ინტერვალში. შესაბამისად, პროცენტული ცვლილების დათვლის პროცესში, 2018-

- ფორმალური გარე ინსტიტუტები: 33.1%
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 23.3%
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 18.8%
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 10.1%

დიაგრამა 3.4. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების ცვლილება საქართველოში (1-7, 2008-2018 წლები).



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

აქვე აღვნიშნოთ, რომ უშუალოდ მთლიანი კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდექსი გაუმჯობესდა 3.62-დან 4.20-მდე. შესაბამისად სახეზე გვაქვს, როგორც მთლიანად ინსტიტუციური გარემოს, ასევე კონკრეტული ინსტიტუციური ჯგუფების განვითარების მაღალი მასშტაბი საქართველოში.

2018 წლების აბსოლუტური ნაზრდი ეფარდება x-1 მონაცემს , სადაც x ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტია საბაზისო (2008) წლისთვის.

დანართში მოცემულია ოთხივე ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტები 2008-2018 წლებისთვის საქართველოში.

შედარებითი ანალიზისთვის, ინსტიტუციური ჯგუფები გავიანგარიშეთ არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩვენს კვლევაში შერჩეული დანარჩენი 29 პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკისთვის.

აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რადგან ინსტიტუციური ინდიკატორების მთავრი წყარო საზოგადოებრივი აზრის კვლევებია, ყველა ქვეყნის შედეგი ხასიათდება შესაბამისი სპეციფიკით. ამიტომ ჩვენ ცალსახად ვერ შევადარებთ ინსტიტუციურ ჯგუფების ზომას ქვეყნების მიხედვით. თუ ერთ ქვეყანაში, რომელიმე ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტი აღემატება მეორე ქვეყნის შესაბამისი ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტს, ეს არ გულისხმობს იმას რომ პირველი ქვეყნის ინსტიტუტები არიან უფრო ძლიერი მეორე ქვეყნის ინსტიტუტებზე, თუმცა მიგვანიშნებს იმაზე რომ პირველი ქვეყნის ინსტიტუტები უფრო მეტად შეეფერებიან ამავე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას. ამიტომ ჩვენ არ გამოვიყენებთ შედარებით ანალიზს სხვადასხვა ქვეყნების ინსტიტუციურ ჯგუფების ნომინალურ კოეფიციენტებს შორის, თუმცა კვლევის შემდგომ ნაწილში გამოვიკვლევთ და შევადარებთ ამ ჯგუფების შორის არსებულ კავშირებს და ტენდენციებს ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში.

დიაგრამა 3.5 გვიჩვენებს ოთხივე შეფასებული ინსტიტუციური ჯგუფის მაჩვენებლებს თითოეული პოსტ კომუნისტური ეკონომიკისთვის.

დიაგრამიდან 3.5-დან ვხედავთ, რომ ფორმალური შიდა ინსტიტუტები მეტწილად ყველაზე ძლიერია პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნებში. კერძოდ, 29 ეკონომიკიდან 23 მათგანში ფორმალურ შიდა ინსტიტუტებს ინსტიტუციური ჯგუფების იერარქიაში უმაღლესი პოზიცია უკავიათ. შედარებისათვის, შესაბამისი პოზიცია მხოლოდ 4 ეკონომიკაში გვხვდება არაფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის. ხოლო თითო-თითო შემთხვევაში ფორმალური გარე და არაფორმალური შიდა ინსტიტუტებისთვის.

დიაგრამა 3.5. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (1-7, 2018 წლები).



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

ფორმალური შიდა ინსტიტუტებს ინსტიტუციური ჯგუფების იერარქიაში უკანასკნელი პოზიცია 29-დან მხოლოდ ერთ ეკონომიკაში - ლაოსში უკავიათ. შესაბამისი მაჩვენებელი, ფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის 16 ეკონომიკაშია, ხოლო 6-6 ეკონომიკაში არაფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის და არაფორმალური შიდა ინსტიტუტებისთვის. ცხრილი 3.3 გვიჩვენებს ინსტიტუციური ჯგუფების იერარქიაში პოზიციების ჯამს თითოეული ინსტიტუციური ჯგუფისთვის.

ცხრილი 3.3. ინსტიტუციური ჯგუფების იერარქიაში, პოზიციათა ჯამი, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, 2018 წელი[1].

	1-ლი	მე-2	მე-3	მე-4
ფორმალური გარე	1	2	10	16
ფორმალური შიდა	23	2	3	1
არაფორმალური გარე	4	11	8	6
არაფორმალური შიდა	1	14	8	6

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ოთხივე ინსტიტუციურ ჯგუფისთვის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ესტონეთშია. ასევე, საკმაოდ კარგი პოზიციები უკავია საქართველოს.

შევადაროთ საქართველოში არსებული ინსტიტუციური ჯგუფების იერარქია შესაბამის იერარქიას პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (დიაგრამა 3.6).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაფორმალური შიდა ინსტიტუტები საქართველოში ყველაზე სუსტი ინსტიტუციური ჯგუფი გახლავთ, თუმცა იგივე ტენდენცია არ გვხვდება დანარჩენ ეკონომიკებში, სადაც ყველაზე სუსტი ფორმალური გარე ინსტიტუტებია. რაც შეეხება ფორმალურ შიდა ინსტიტუტებს, ის ყველაზე მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება როგორც საქართველოში, ისე დანარჩენ ეკონომიკების საშუალო მაჩვენებლით.

აქვე, თვალსაჩინო ფაქტია რომ აბსოლუტურ გამოსახულებაში საქართველოში არსებული ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები ოთხივე შემთხვევაში აღემატება პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკების საშუალო მაჩვენებელს შესაბამის

[1] ცხრილში მოცემული თითოეული რიცხვი გვიჩვენებს ინსტიტუციური ჯგუფების იერარქიაში (ოთხი ინსტიტუციური ჯგუფი) პოზიციათა ჯამს კვლევაში მოცემული 29 ეკონომიკის მასშტაბით. შედეგად, თითოეულ ვერტიკალურ სვეტში მოცემულ რიცხვთა ჯამი 29-ს შეადგენს.

ინსტიტუციური ჯგუფებისთვის. პირველ სამ შემთხვევაში სხვაობა მეტად მკვეთრია (იხ. დიაგრამა 3.6), ხოლო არაფორმალური შიდა ინსტიტუტების შემთხვევაში სხვაობა უმნიშვნელოა.

დიაგრამა 3.6. ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები საქართველოსა და პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (1-7, 2018 წელი).



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

დანართში ასევე მოცემულია, ჩვენ მიერ გაანგარიშებული ოთხივე ინსტიტუციური ჯგუფის შესაბამისი კოეფიციენტი 29 ეკონომიკისთვის.

ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირები. კვლევის პრაქტიკული ნაწილი შედგება ორი დასკვნითი ეტაპისგან, სადაც პირველ ეტაპზე დავახასიათებთ კავშირებს ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის, რაც მოცემულია 3.2 თავში. ხოლო მეორე

შემთხვევაში მოხდება შეფასება ინსტიტუციურ ჯგუფებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის (3.3 თავი).

ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების განსაზღვრის შემდეგ, გვეძლევა საშუალება შევაფასოთ ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირები დინამიკაში, რათა დავინახოთ რამდენად დამოუკიდებელია თუ არა სხვადასხვა ინსტიტუციური ჯგუფების განვითარების პროცესი ერთმანეთისგან.

ჩვენს მიერ გაზომილ ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირს გავიანგარიშებთ 2008-2018 წლებისთვის და მას გავზომავთ პირსონის კორელაციის კოეფიციენტით, შესაბამისად კორელაციის კოეფიციენტები მერყეობს (-1:1) შუალედში.

ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მატრიცის ოთხ ინსტიტუციურ ჯგუფს შორის კავშირებს ვზომავთ თითოეულ ინსტიტუციური ჯგუფის წყვილს შორის, შედეგად ვღებულობთ ექვს დამოუკიდებელ კოეფიციენტს თითოეულ შემთხვევაში, რომლებიც ახასიათებენ შემდეგ კავშირებს:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <->არაფორმალური შიდა ინსტიტუტები
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები

დიაგრამა 3.7-ზე მოცემულია კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციური ჯგუფების თითოეული წყვილისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ კლასიფიკაციაში გვხვდება ოთხი ინსტიტუციური ჯგუფი, კორელაციის კოეფიციენტების რაოდენობა შეადგენს ექვსს.

დიაგრამაზე მოცემული აბრევიატურები აღნიშნავს თითოეულ ინსტიტუციურ ჯგუფს:

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - FII
- ფორმალური გარე ინსტიტუტები - FEI
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები -III

- არაფორმალური გარე ინსტიტუტები - IEI

დიაგრამა 3.7. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის საქართველოში, 2008-2018 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

როგორც დიაგრამა 3.7-დან ჩანს, საქართველოში ყველაზე მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება კავშირი ფორმალურ შიდა და არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის, კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი და ახლოს არის ერთთან - 0.85. კერძო სექტორის ფორმალური საქმიანობის სტანდარტების ხარისხის განვითარება დიდწილად ემთხვევა ქვეყანაში არაფორმალური ზოგადი გარემოს განვითარებას. ბიზნესის კეთების პროცესში უსაფრთხოების შეგრძნების მაღალი და კორუფციის დაბალი დონე უბიძგებს ბიზნესს, მოახდინონ მათი საქმიანობის ფორმალიზება მაღალ ხარისხში და იყვნენ უფრო მეტად გამჭირვალე და ანგარიშვალდებულნი.

თავის მხრივ, მოწესრიგებული ბიზნეს პრაქტიკა აუმჯობესებს ქვეყანაში ზოგად ბიზნეს გარემოს და ამცირებს მოტივაციას კორუფციული გარიგებებისთვის.

ყველაზე სუსტი კავშირი შეიჩნევა არაფორმალურ შიდა და ფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის, სადაც კორელაციის კოეფიციენტი მხოლოდ 0.27-ია. როგორც ჩანს, ფორმალური კანონმდებლობა ვერ ახდენს მყისიერ გავლენას კერძო სექტორში არსებულ არაფორმალურ ინსტიტუტებზე. ეფექტიანი კანონმდებლობა აუმჯობესებს შესაძლებლობებს ბიზნესისთვის, თუმცა ბიზნეს კულტურის ჩამოყალიბებაზე სხვა უამრავი ფაქტორი მოქმედებს და გაწელილია დროში. როგორც ზევით აღინიშნა, საქართველო განიცდის ბიზნეს კულტურის დეფიციტს, განპირობებულს ცენტრალური დაგეგმარების მქონე წარსულით. შედეგად, არაფორმალური შიდა ინსტიტუციური კულტურა არა მხოლოდ სუსტია, არამედ ასევე ნაკლებად კორელირებს ინსტიტუციური განვითარების დანარჩენ მიმართულებებთან. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში მთლიანად ინსტიტუციური განვითარების პროგრესი აუცილებლად უნდა აისახოს არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებზეც.

ასევე მაღალია კორელაციის კოეფიციენტები შემდეგ ინსტიტუციურ ინტერაქციებზე:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.81;
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.71;
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.60;
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.83.

მთლიანობაში ექვსი კორელაციის კოეფიციენტიდან, ექვსივე კოეფიციენტი დადებითია, რაც ცალსახად მიუთითებს ინსტიტუციურ ჯგუფების განვითარებას შორის არსებულ პოზიტიურ კავშირზე. ექვსი კოეფიციენტიდან, ხუთი კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია და მერყეობს 0.60-0.85 შუალედში. თუ დიაგრამას დავაკვირდებით, დავინახავთ რომ ძირითადად შედარებით დაბალია არაფორმალურ შიდა

ინსტიტუტებთან დაკავშირებული კორელაციის კოეფიციენტები. აღნიშნული ჯგუფი ნაკლებად კორელირებს დანარჩენ ჯგუფებთან.

ცხრილი 3.4. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში, 2008-2018 წლები.

Avg Z (Fisher)	0.90
Avg R	0.72
Avg R2	0.52

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

მთლიანობაში, საშუალო კოეფიციენტი ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებულ კორელაციებს შორის (ფიშერის ტრანსფორმაციის მეთოდის შედეგად დათვლილი) არის 0.72, ხოლო საშუალო დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.52. ეს კოეფიციენტები საკმაოდ მაღალია და მიუთითითებს ძლიერ კავშირზე სხვადასხვა ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური განვითარების გარკვეული მიმართულებით გაუმჯობესება იძლევა სტიმულებს სხვა მიმართულებების განვითარებისთვის. ასევე, ინსტიტუციური რეფორმების ნებისმიერი ტალღა იწვევს მეტ-ნაკლებ ცვლილებებს სხვადასხვა ინსტიტუციური ჯგუფებისთვის.

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში აღინიშნა, ზოგიერთი ეკონომიკის შესახებ მთლიანი დროის პერიოდის (2008-2018) ყველა ინსტიტუციური ინდექსის ხელმისაწვდომობის არ არსებობის გამო, კვლევის შემდეგ ეტაპზე მონაცემებს გავიანგარიშებთ მხოლოდ 25 პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკისთვის.

დანართში მოცემულია კორელაციის კოეფიციენტები თითოეულ ინსტიტუციური ჯგუფის წყვილისთვის კვლევაში შესული (6 ინსტიტუციური წყვილი 25 ეკონომიკისთვის, ჯამში 150 კოეფიციენტი).

განვიხილოთ, ძირითადი ტენდენციები თითოეული ინსტიტუციური კავშირის წყვილისთვის პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში:

- *ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები*: ყველაზე მაღალი კავშირი შეიმჩნევა ჩინეთში - 0.96, რაც მოულოდნელი ნამდვილად არ არის, რადგან როგორც შიდა ისე გარე ფორმალური ინსტიტუტები მკაცრი რეგულატორის ქვეშაა და მათთან მიმართებით მსგავს ტენდენციებს ვხვდებით. 25 ეკონომიკიდან 24-ში კოეფიციენტი პოზიტიურია ამ ინსტიტუციური წყვილისთვის.
- *ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები* - ყველაზე მაღალი კოეფიციენტი გააჩნია მონტენეგროს (0.99), რაც გულისხმობს რომ საკანონმდებლო ნორმების განვითარებას ზუსტად კვალში მიყვება ამ ნორმების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტიანობა. 25 ეკონომიკიდან 22-ში კოეფიციენტი პოზიტიურია ამ ინსტიტუციური წყვილისთვის.
- *ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები* - ამ ინსტიტუციურ ჯგუფების წყვილში ყველაზე მაღალი კოეფიციენტი დაფიქსირდა კვლავაც მონტენეგროსთვის, სადაც არამხოლოდ ამ წყვილში, ზოგადად მაღალი კორელაცია შეინიშნება ყველა ინსტიტუციური ჯგუფისთვის.
- *ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები* - ყველაზე მაღალი კორელაციის კოეფიციენტით ხასიათდება საქართველო - 0.93. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინსტიტუტების ამ ჯგუფებს შორის საქართველოში ძალიან მჭიდრო კავშირია. 25 ეკონომიკიდან 24-ში კოეფიციენტი პოზიტიურია ამ ინსტიტუციური წყვილისთვის.
- *ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები*, ყველაზე მაღალი კავშირი დაფიქსირდა სომხეთში - 0.94. 25 ეკონომიკიდან 21-ში კოეფიციენტი პოზიტიურია ამ ინსტიტუციური წყვილისთვის.
- *არაფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები:* არაფორმალური ინსტიტუტების ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი

კოეფიციენტით გამოირჩა კვლავ მონტენეგრო (0.95). 25 ეკონომიკიდან 20-ში კოეფიციენტი პოზიტიურია ამ ინსტიტუციური წყვილისთვის.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, 150 კოეფიციენტიდან 135 კოეფიციენტი დადებითია და მხოლოდ 15 მათგანი არის უარყოფითი.

ასევე, 25 ეკონომიკიდან 17 ეკონომიკაში ექვსივე ინსტიტუციური ჯგუფების წყვილისთვის კოეფიციენტი დადებითი აღმოჩნდა. ასევე აუცილებლად ხაზგასასმელია ფაქტია, რომ 6-დან მხოლოდ 2 კოეფიციენტი აღმოჩნდა დადებითი ესტონეთის ეკონომიკისთვის. როგორც უკვე განხილულ იქნა, ინსტიტუციური ინდექსების აბსოლუტური მნიშვნელობით ესტონეთი ლიდერია პოსტ-ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში და ასევე იყო ლიდერი კვლევაში შესწავლილი დროითი პერიოდის დასაწყისშიც (2007-2008 წლები). შესაბამისად, ჩვენ ვერ ვაკვირდებით იმ ინსტიტუციურ ცვლილებებს, რომელ პერიოდშიც ესტონეთმა მოახდინა ინსტიტუციური ნახტომი. შედეგად, ბოლო წლებში განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები აღარ ატარებს მნიშვნელოვან აქტუალურ დატვირთვას და ასევე შენელებულია ინსტიტუციური განვითარების ტემპი.

განვიხილოთ, 25 ეკონომიკის საშუალო კორელაციის კოეფიციენტები (დიაგრამა 3.8) თითოეული ინსტიტუციური წყვილისთვის.

ყველაზე მაღალი კავშირი არის ფორმალურ ინსტიტუტების ორ ჯგუფს შორის - ფორმალური გარე და ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.70. შედარებით დაბალია საშუალო კორელაციის კოეფიციენტი - ფორმალურ შიდა და არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს შორის (0.43), ასევე არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს და არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს შორის (0.48). როგორც ვხედავთ, მსგავსად საქართველოს ყველაზე არაკორელირებადი ჯგუფი არის არაფორმალური შიდა ინსტიტუტები, რომლებიც ჩვენს კვლევაში კორპორაციული ეთიკით ხასიათდება. ამ ჯგუფის კორელაცია დანარჩენ სამივე სხვა ჯგუფთან ჩამორჩება დანარჩენი წყვილების კორელაციას. შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ რომ საზოგადოებაში არსებული არაფორმალური ეკონომიკურ წესებზე, არამხოლოდ საქართველოში, არამედ ზოგადად პოსტ-ტრანსფორმაციულ ქვეყნებშიც ბევრი გარე ფაქტორი

მოქმედებს და მისი განვითარება არ მიყვება ფორმალურ ნორმების თუ სახელმწიფო სექტორის არაფორმალურ ნორმების განვითარების დინამიკას.

დიაგრამა 3.8. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციური ჯგუფებს შორის საქართველოსა და პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებს შორის, 2008-2018 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს ყველაზე მაღალი კორელაცია გააჩნიათ ფორმალურ გარე ინსტიტუტებთან (0.57).

ცხრილი 3.5. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის თითოეული პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკისთვის, 2008-2018 წლები.

	FEI vs FII	FEI vs IEI	FEI vs III	FII vs IEI	FII vs III	IEI vs III
ალბანეთი	0.89	0.92	0.74	0.86	0.56	0.70
სომხეთი	0.75	0.77	0.82	0.91	0.92	0.82
აზერბაიჯანი	0.79	0.96	0.68	0.78	0.22	0.72

ბულგარეთი	0.55	0.19	0.47	0.58	0.05	-0.56
კამბოჯა	0.77	0.91	-0.12	0.78	-0.28	-0.18
ჩინეთი	0.90	0.82	0.87	0.66	0.90	0.80
ხორვატია	0.30	0.40	0.66	0.03	-0.02	0.63
ჩეხეთი	0.81	0.83	0.71	0.78	0.79	0.56
ესტონეთი	0.80	-0.26	-0.52	-0.57	-0.59	0.41
საქართველო	0.81	0.71	0.27	0.85	0.60	0.83
უნგრეთი	0.86	0.91	0.71	0.62	0.45	0.82
ყაზახეთი	0.83	0.92	0.87	0.73	0.79	0.88
ყირგიზეთი	0.01	0.92	0.82	0.14	0.33	0.71
ლატვია	0.95	0.37	0.73	0.36	0.74	0.76
ლიტვა	0.44	-0.32	0.60	0.27	0.51	0.01
ჩრდილოეთ მაკედონია	0.87	0.86	0.87	0.90	0.82	0.79
მონტენეგრო	0.72	0.98	0.95	0.77	0.75	0.93
პოლონეთი	0.61	0.90	-0.60	0.50	-0.25	-0.44
რუმინეთი	0.46	0.40	0.50	0.71	0.73	0.27
რუსეთი	0.89	0.95	0.83	0.75	0.68	0.76
სერბეთი	0.39	0.77	0.65	0.71	0.06	0.35
სლოვაკეთი	0.74	0.96	0.94	0.66	0.64	0.89
სლოვენია	0.73	0.95	0.91	0.68	0.52	0.90
უკრაინა	0.72	-0.06	0.29	0.19	0.10	-0.64
ვიეტნამი	0.79	0.59	0.52	0.42	0.84	0.30

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

0.56-ს უდრის კოეფიციენტი ფორმალურ შიდა და არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის, ხოლო 0.65 ფორმალურ გარე და არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის. ფორმალური გარე ინსტიტუტების მაღალი კორელაცია ყველა

სხვა ინსტიტუციურ ჯგუფთან, მოწმობს საკანონმდებლო ნორმების მაღალ გავლენას მთლიან ინსტიტუციურ სივრცესთან.

შევადაროთ საქართველოში დაფიქსირებული კორელაციის კოეფიციენტები პოსტ-ტრანსფორმაციული ქვეყნების საშუალო კოეფიციენტებს. ექვსი კოეფიციენტიდან, ხუთ შემთხვევაში საქართველოს მაჩვენებელი აღემატება პოსტ-ტრანსფორმაციული ეკონომიკების საშუალოს, მხოლოდ ფორმალური გარე და არაფორმალური შიდა ინსტიტუტების წყვილში ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს (სადაც კოეფიციენტები, შესაბამისად 0.57 და 0.27-ია). როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს წყვილი ყველაზე ნაკლებად კორელირებადია საქართველოში.

რაც შეეხება სხვაობას დანარჩენ წყვილებს შორის, ის მეტწილად მკვეთრია და მერყეობს აბსოლუტურ გამოსახულებაში 0.05-0.35 პუნქტამდე.

შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოში ინსტიტუციებს შორის კავშირი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე საშუალოდ სხვა პოსტ-ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში.

ცხრილი 3.6. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, 2008-2018 წლები.

Avg Z (Fisher)	0.65
Avg R	0.57
Avg R2	0.33

სტატისტიკური მასალის წყარო: ავტორის კალკულაციები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებზე (2018) დაყრდნობით

პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში ექვსივე ინსტიტუციურ წყვილს შორის ფიშერის ტრანსფორმაციის ინდექსის მიხედვით დათვლილი საშუალო კორელაციის კოეფიცენტი 0.57-ია, რაც საკმაოდ მაღალ კავშირზე მიუთითებს, ხოლო

დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.33. შედარებისთვის საქართველოში იგივე მაჩვენებლები, შედარებით მაღალი, შესაბამისად 0.72 და 0.52 გახლდათ.

საქართველოსა და მთლიანად პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნებს შორის ინსტიტუციური კავშირების შეფასების შემდეგ, გავიანგარიშოთ ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის საშუალო კორელაციის კოეფიციენტები მეთოდოლოგიაში აღწერილი ქვეყანათა ჯგუფებისთვის. თითოეულ ქვეყანათა ჯგუფისთვის კორელაციის კოეფიციენტი განისაზღვრება, მოცემულ ქვეყანათა ჯგუფში შემავალი ყველა ეკონომიკის შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტის მარტივი საშუალო არითმეტიკულით.

როგორც მეთოდოლოგიურ ნაწილში აღვნიშნეთ, შედარებითი ანალიზი შეეხება ქვეყანათა ოთხ ჯგუფს [1].

ეს ჯგუფებია:

1) ბალტიის ქვეყნები (Baltic)[2]
2) სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (SEE)
3) ცენტრალური ევროპის ქვეყნები (CE)
4) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (EC)

თითოეულ ქვეყანათა ჯგუფისთვის გაანგარიშებულია ინსტიტუციურ ჯგუფების წყვილებს შორის არსებული კოეფიციენტები, შესაბამისად თითოეულ ქვეყანათა ჯგუფისთვის ექვსი კორელაციის კოეფიციენტი.

კორელაციის კოეფიციენტები ასახულია დიაგრამა 3.9-ზე.

მთლიანობაში, 24 კორელაციის კოეფიციენტიდან (6 ინსტიტუციური წყვილი, 4 ქვეყანათა ჯგუფი) 23 კოეფიციენტი დადებითია და მხოლოდ ერთი კოეფიციენტი არის უარყოფითი. ეს კოეფიციენტი ასახავს ფორმალურ გარე ინსტიტუტებს და არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის კავშირს ბალტიის ქვეყანათა ჯგუფისთვის.

---

[1] თითოეულ ჯგუფში შემავალი ქვეყნების სია განხილულია მე-3 თავის მეთოდოლოგიურ ნაწილში.

[2] თითოეულ ქვეყანათა ჯგუფის აბრევიატურა მოცემულია ფრჩხილებში.

დიაგრამა 3.9. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყანათა ჯგუფებს შორის, 2008-2018 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

განვიხილოთ მიღებული შედეგები შეფასებულ ქვეყანათა ჯგუფებისთვის, დეტალურად, თითოეულ ინსტიტუციურ ჯგუფის წყვილისთვის:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები - მოცემული ოთხი ჯგუფიდან ყველაზე მაღალი კავშირი გვხვდება აღმოსავლეთ ევროპის (0.77) და ბალტიის (0.73) ქვეყანათა ჯგუფში.
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები საშუალო კოეფიციენტი უარყოფითია ბალტიის ქვეყნების ჯგუფში, რაც მეტწილად განპირობებულია ესტონეთის მაჩვენებლით. ხოლო ცენტრალური ევროპის ჯგუფისთვის მაჩვენებელი 0.83-ია.

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები - ამ ინსტიტუციურ ჯგუფების წყვილში ყველაზე მაღალი კოეფიციენტი 0.70 დაფიქსირდა სამხრეთ ევროპის ქვეყანათა ჯგუფში.
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები - ამ შემთხვევაშია დაბალია ბალტიის ჯგუფის მაჩვენებელი (-0.02), ხოლო ყველაზე ძლიერი კავშირი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა ჯგუფშია (0.76), რაც განპირობებულია საქართველოში არსებული მაღალი კავშირით მოცემულ ინსტიტუტებს შორის.
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები, ყველაზე მაღალი კავშირი არის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა ჯგუფში, თუმცა მხოლოდ 0.50-ია.
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები, ოთხივე ქვეყანათა ჯგუფისთვის კორელაციის კოეფიციენტები თითქმის თანაბარია და მერყეობს 0.41-0.56 ინტერვალში.

ცხრილი 3.7. ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკათა ჯგუფებში, 2008-2018 წლები.

	Baltic	SEE	CE	EEC
Avg Z (Fisher)	0.30	0.74	0.71	0.68
Avg R	0.29	0.63	0.61	0.59
Avg R2	0.08	0.40	0.37	0.35

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემები (2018), ავტორის გაანგარიშებები

ცხრილ 3.7-ში მოცემულია ფიშერის ტრანსფორმაციის ინდექსით დათვლილი საშუალო ინსტიტუციური კავშირის კორელაციის კოეფიციენტი თითოეულ ქვეყანათა ჯგუფისთვის. ყველაზე სუსტი კავშირი ბალტიის ქვეყანათა ჯგუფშია (0.29), რაშიც ყველაზე დიდი კონტრიბუტორი, როგორც ზევით აღვნიშნეთ ესტონეთია. აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფში საშუალო კორელაციის კოეფიციენტი ინსტიტუციური ჯგუფების მიმართ 0.59-ია. კავშირი ოდნავ უფრო მაღალია სამხრეთ ევროპის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში და შესაბამისად, 0.63 და 0.61-ს შეადგენს.

3.3. ინსტიტუციური ჯგუფები და რეალური ეკონომიკა - საქართველო და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკები

მას შემდეგ რაც შევისწავლეთ ინსტიტუციური ჯგუფების გავლენა ერთმანეთზე, კვლევის შემდეგი ამოცანა არის ინსტიტუტების ჯგუფების ეკონომიკაზე გავლენის შესწავლა, რათა დავინახოთ თუ რა კავშირები არსებობს ინსტიტუციურ განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას შორის.

როგორც მესამე თავის მეთოდოლოგიურ ნაწილში აღვნიშნეთ, ეკონომიკის მოცულობა განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით, გამოსახული მუდმივ ფასებში და ეროვნულ ვალუტაში თითოეული ეკონომიკისთვის.

მსგავსად ინსტიტუციური კავშირების შეფასებისა, კვლევაში კვლავ ჩართული იქნება 25 პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკა, რომელთა შესახებ ინსტიტუციური ინდექსები სრულად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა 2008-2018 წლების პერიოდზე.

ინსტიტუციურ და ეკონომიკურ განვითარებას შორის კავშირის აღმოსაჩენად გავიანგარიშებთ კორელაციის კოეფიციენტებს, ჩვენს მიერ გაზომილ ინსტიტუციურ ჯგუფებსა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას შორის დინამიკაში. მსგავსად ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირის დადგენისას, გამოვიყენებთ 2008-2018 წლების მონაცემებს.

დიაგრამა 3.10 გვიჩვენებს კორელაციის კოეფიციენტებს ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის საქართველოს მაგალითზე. როგორც ვხედავთ, ყველაზე ძლიერი კორელაციური კავშირი არსებობს ფორმალურ შიდა ინსტიტუტებს და ეკონომიკის მოცულობას შორის (კორელაციის კოეფიციენტი - 0.95). მაღალი ეკონომიკური ზრდა არის ნიშანი ბიზნეს სფეროში ფორმალური ურთიერთობების განვითარების გარანტი, რაც თავის მხრივ პოზიტიურად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ასევე მაღალი კავშირი გვხვდება არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს და ეკონომიკის მოცულობას შორის. კვლევის წინა ნაწილში აღინიშნა, რომ ის გარე ინსტიტუტები რომლებიც ასახავენ ქვეყანაში არსებულ არაფორმალურ

ინსტიტუციურ გარემოს, (როგორიცაა - კორუფციის აღქმა, ბიზნესის უსაფრთხოება და ა.შ.) საკმაოდ დიდი პროგრესი შეეხო უკანასკნელი წლების განმავლობაში, შესაბამისად საქართველო ბიზნესის საკეთებლად წარმატებული ადგილი იქცა რეგიონში. პროგნოზირებადი ბიზნეს გარემო კი იწვევს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მობილიზაციას. შესაბამისად, კავშირი არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს და მთლიან შიდა პროდუქტს შორის ძალიან მაღალია - 0.79.

დიაგრამა 3.10. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის საქართველოში, 2008-2018 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

ასევე მაღალია კოეფიციენტი ფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის (0.78). ინსტიტუტებს, რომლებიც ასახავენ საკანონმდებლო ნორმებს ქვეყანაში მაღალი კორელაცია გააჩნიათ ეკონომიკურ პარამეტრებთან. შედარებით სუსტი კოეფიციენტით გამოირჩევიან არაფორმალური შიდა ინსტიტუტები, სადაც კოეფიციენტი მხოლოდ 0.54-ია. საზოგადოებაში არსებული არაფორმალური

ნორმები როგორც ზევით აღვნიშნეთ ნაკლებად კორელირებენ სხვა ინსტიტუციურ ჯგუფებთან და ასევე ნაკლები პირდაპირი კავშირი აქვთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან.

ფიშერის ტრანსფორმაციით დათვლილი საშუალო კორელაციის კოეფიციენტი ინსტიტუციური ჯგუფებისთვის 0.82-ია, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.67, რაც საკმაოდ ძლიერ კავშირზე მიუთითებს.

გარდა ინსტიტუციური ჯგუფებისა, გავიანგარიშებთ მთლიანად ინსტიტუციურ ინდექსსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირს, სადაც კორელაციის კოეფიციენტი 0.87-ია.

ცხრილი 3.8. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში 2008-2018 წლები.

Avg Z (Fisher)	1.15
Avg R	0.82
Avg R2	0.67

სტატისტიკური მასალის წყარო: ავტორის კალკულაციები მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემებზე დაყრდნობით

ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის კორელაციის კოეფიციენტები გაანგარიშებულია ასევე კვლევის ამ ნაწილში შემავალი 25 ქვეყნის ეკონომიკისთვის. დანართი მოიცავს 5 კოეფიციენტს თითო ეკონომიკისთვის (ჯამში 125 კოეფიციენტი) - მათგან 4 ასახავს თითოეულ ინსტიტუციურ ჯგუფსა ეკონომიკის მოცულობას შორის კავშირს. ხოლო 1 კოეფიციენტი მთლიანად ინსტიტუციურ ინდექსსა და ეკონომიკის მოცულობას შორის დამოკიდებულებას.

განვიხილოთ, თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის რეალურ ეკონომიკასთან კავშირის ძირითადი მახასიათებლები:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები - 25-დან 16 კოეფიციენტი პოზიტიურია, ანუ 16 ეკონომიკაში შეიმჩნევა ინსტიტუციურ განვითარებას და ეკონომიკურ განვითარებას შორის პოზიტიური კავშირი. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი გვხვდება ჩრდილოეთ მაკედონიისთვის - 0.89.
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - 25-დან 15 კოეფიციენტი არის პოზიტიური. კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ ყველაზე მაღალი არის ბულგარეთში (0.96). ასევე საკმაოდ მაღალია არის რიგ ქვეყნებში: საქართველო (0.95) და ჩრდილოეთ მაკედონია (0.94).
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები - 25-დან 18 კოეფიციენტი არის პოზიტიური. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი არის ჩეხეთში და შეადგენს 0.82-ს.
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები - 25-დან მხოლოდ 13 კოეფიციენტი არის პოზიტიური. კორელაცია ყველაზე მაღალი არის სომხეთში და 0.92-ს შეადგენს.

ცხრილი 3.9. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, 2008-2018 წლები.

Avg Z (Fisher)	0.23
Avg R	0.22
Avg R2	0.05

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

მთლიანად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდექსის და მთლიან შიდა პროდუქტს შორის 25 კორელაციის კოეფიციენტიდან 19 დადებითია, რაც ნიშნავს რომ მთლიანად ინსტიტუციური გარემო უფრო ხშირად არის პოზიტიურ კორელაციაში ეკონომიკასთან, ვიდრე ცალკეული ინსტიტუციური

ჯგუფები. ყველაზე მაღალი კორელაცია არის და ჩრდილოეთ მაკედონიაში (0.89) და ყირგიზეთში (0.89). ასევე, მაღალია ის საქართველოში (0.87).

მთლიანობაში, 25-ივე ეკონომიკისთვის მოცემულ ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციის კოეფიციენტებიდან, 62 დადებითია, ხოლო 38 უარყოფითი. ეს გულისხმობს რომ კოეფიციენტთა 62% არის დადებითი. შედარებისთვის, მხოლოდ ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებული კავშირების შეფასებისას, კოეფიციენტთა 90% გახლდათ დადებითი და მხოლოდ 10% უარყოფითი.

საშუალო კორელაციის კოეფიციენტი (ფიშერის ტრანსფორმაციით გაანგარიშებული) ინსტიტუციური ჯგუფებს და მშპ-ს შორის 0.23-ია, ხოლო დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.05. ეს გულისხმობს, რომ განსხვავებით უშუალოდ ინსტიტუტებს შორის ინტერაქციებისა, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში ინსტიტუციურ ჯგუფებსა და ეკონომიკას შორის საშუალოდ შედარებით სუსტი კავშირია. რიგ ქვეყნებში შეიმჩნევა მაღალი დადებითი კორელაცია ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის, ხოლო რიგ ქვეყნებში კორელაცია სუსტი ან საერთოდ უარყოფითია.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მთლიანად ინსტიტუციური ინდექსის რეალურ ეკონომიკასთან კორელაციის კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკული ყველა პოსტ-ტრანსფორმაციულ ქვეყანას შორის 0.31-ია, რაც მიუთითებს დადებით, თუმცა არც ისე ძლიერ კავშირზე რეალური ეკონომიკის და ინსტიტუციური განვითარების დონეებს შორის.

რაც შეეხება ცალკეულ ინსტიტუციურ ჯგუფებს (დიაგრამა 3.11) - რეალურ ეკონომიკასთან საშუალო კორელაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია არაფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფისთვის (0.34), მაჩვენებლები შედარებით დაბალია ფორმალური გარე ინსტიტუტების (0.23) და ფორმალური შიდა ინსტიტუტების (0.28) ჯგუფებისთვის. ეკონომიკურ ზრდასთან ყველაზე დაბალი კავშირი არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს გააჩნიათ, სადაც კორელაცია პრაქტიკულად არ არსებობს (0.05).

ცხრილი 3.10. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციის კოეფიციენტები, 2008-2018 წლები.

	FEI	FII	IEI	III	ინსტიტუციური ინდექსი
ალბანეთი	0.66	0.59	0.44	0.24	0.51
სომხეთი	0.62	0.87	0.81	0.92	0.84
აზერბაიჯანი	0.52	0.90	0.56	-0.03	0.55
ბულგარეთი	0.58	0.96	0.51	0.12	0.83
კამბოჯა	-0.28	-0.49	-0.22	0.47	-0.26
ჩინეთი	0.17	-0.05	0.67	0.23	0.45
ხორვატია	0.13	0.88	-0.04	-0.19	0.29
ჩეხეთი	0.67	0.51	0.82	0.49	0.75
ესტონეთი	0.10	-0.08	0.70	-0.31	0.68
საქართველო	0.78	0.95	0.79	0.54	0.87
უნგრეთი	-0.66	-0.44	-0.73	-0.66	-0.71
ყაზახეთი	0.71	0.81	0.80	0.79	0.81
ყირგიზეთი	0.77	0.57	0.80	0.80	0.89
ლატვია	-0.13	-0.13	0.24	0.27	0.08
ლიტვა	-0.17	0.05	0.53	0.36	0.36
ჩრდილოეთ მაკედონია	0.89	0.94	0.80	0.83	0.89
მონტენეგრო	-0.50	-0.64	-0.58	-0.35	-0.55
პოლონეთი	0.42	0.59	0.31	-0.78	0.30
რუმინეთი	0.58	-0.23	0.17	-0.29	0.21
რუსეთი	0.39	0.15	0.42	0.45	0.41
სერბეთი	0.36	0.79	0.66	-0.04	0.46
სლოვაკეთი	-0.61	-0.12	-0.64	-0.76	-0.61
სლოვენია	-0.12	0.38	-0.07	-0.34	-0.10
უკრაინა	-0.12	-0.21	0.64	-0.83	0.10
ვიეტნამი	-0.04	-0.53	-0.04	-0.77	-0.32

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

შევადაროთ საქართველოს და დანარჩენი ქვეყნების მაჩვენებლები (დიაგრამა 3.11).

დიაგრამა 3.11. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის, საქართველო და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკები, 2008-2018 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

მსგავსად ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირების შედარებისას, საქართველოს მაჩვენებლები ოთხივე ინსტიტუციური ჯგუფისთვის მკვეთრად აღემატება პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების საშუალო მაჩვენებლებს და რიგ ინსტიტუციურ ჯგუფთან მიმართებაში არსებული კორელაციით ერთ-ერთი ლიდერიცაა. ასევე, ხაზგასასმელი ფაქტია, განსხვავებით ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირების ანალიზისგან, რეალურ ეკონომიკასთან ინსტიტუციური ჯგუფების კორელაციებს შორის განსხვავება საქართველოსა და პოსტ

ტრანსფორმაციული ეკონომიკების საშუალო მაჩვენებლებს შორის, მეტად უფრო მკვეთრია. კერძოდ, საქართველოსთვის გაანგარიშებულ კორელაციის კოეფიციენტებს და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების საშუალო კორელაციის კოეფიციენტებს შორის აბსოლუტური სხვაობა თითოეულ ინსტიტუციურ ჯგუფთან მიმართებაში მერყეობს 0.45-0.69 დიაპაზონში. სხვაობა ყველაზე მაღალია ფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფისთვის და 0.69-ს შეადგენს.

შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოში ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ინდიკატორებს შორის არსებული კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია პოსტ-ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში. როგორც ზევით ვახსენეთ, თუ ავიღებთ მთლიან ინსტიტუციურ ინდექსს და ეკონომიკის დამოკიდებულებას, საქართველოში არსებული კორელაცია ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. რაც შეეხება თითოეული ინსტიტუციური ჯგუფსა და რეალურ ეკონომიკას შორის საშუალო კორელაციას, აქ საქართველო კავშირის სიძლიერით მხოლოდ ჩრდილოეთ მაკედონიას ჩამორჩება.

მსგავსად ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირების ანალიზისას, გამოვიყენოთ ქვეყანათა ჯგუფები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის ანალიზის პროცესშიც.

განვიხილოთ შედეგები რეალურ ეკონომიკასა და თითოეულ ინსტიტუციურ ჯგუფთან მიმართებაში:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები - ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკებში (0.45), სადაც ისე როგორც დანარჩენ ინსტიტუციურ ჯგუფებში უდიდესი წვლილი საქართველოში არსებული მაღალი კორელაციას მიუძღვის.
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - უარყოფითია კოეფიცენტი ბალტიის ჯგუფში (-0.05), ხოლო 0.63-ია აღმოსავლეთ ევროპაში
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები - ოთხიდან სამ ჯგუფში საშუალო კოეფიციენტი დადებითია, 0.70 აღმოსავლეთ ევროპაში

- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები - უარყოფითია ცენტრალური ევროპის ჯგუფში (-0.37), ხოლო ყველაზე მაღალი აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფში (0.15)

დიაგრამა 3.12. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის, ქვეყანათა ჯგუფებისთვის, 2008-2018 წლები.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

მთლიანად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუციური ინდექსის და მთლიანი შიდა პროდუქტს შორის, ოთხიდან სამი ჯგუფის კოეფიციენტი დადებითია, ყველაზე მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა აღმოსავლეთ ევროპა (0.59). ბალტიის ქვეყნებში 0.37-ია, სამხრეთ ევროპაში 0.39, ხოლო ცენტრალურ ევროპაში მხოლოდ 0.01.

სხვადასხვა ინსტიტუციურ ჯგუფების რეალურ ეკონომიკაზე გავლენის საშუალო კორელაციის კოეფიციენტი (ფიშერის ტრანსფორმაციით გაანგარიშებული),

ყველაზე მაღალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა ჯგუფში 0.51, ხოლო 0.32-ს შეადგენს სამხრეთ ევროპის ქვეყანათა ჯგუფისთვის. კავშირი თითქმის არ გვხვდება 0.13 ბალტიის ქვეყნების ჯგუფისთვის (0.13) და ცენტრალური ევროპის ჯგუფისთვის (-0.04).

ცხრილი 3.11. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2008-2018 წლები.

	Baltic	SEE	CE	EEC
Avg Z (Fisher)	0.13	0.33	-0.04	0.56
Avg R	0.13	0.32	-0.04	0.51
Avg R2	0.02	0.10	0.00	0.26

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

3.4 . ინსტიტუციური ჯგუფების რეალურ ეკონომიკაზე გავლენის შეფასება გლობალური ფინანსური კრიზისის ჭრილში

ჩვენი კვლევის პერიოდი ემთხვევა გლობალურ ფინანსურ კრიზისს, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე, მათ შორის მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა რამდენი წლით აღმოჩნდნენ რეცესიაში, რაც გამოხატული იყო ეკონომიკური შემცირებით რიგი ფინანსური პრობლემებით.

კრიზისულ პერიოდში, ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება უამრავი დროებითი, მოკლევადიანი ფაქტორით. შესაბამისად, ლოგიკურია რომ ასეთ დროს, რიგ შემთხვევებში შემცირდეს ინსტიტუციური განვითარების ცვლილების გავლენა ეკონომიკის მოცულობის ცვლილებაზე და ეკონომიკა მეტწილად განვითარდეს სხვა ეგზოგენური ფაქტორების ხარჯზე.

შესაბამისად, აუცილებელია ცალკეული ანალიზი არაკრიზისული პერიოდის, რათა შეფასებულ იქნას ინსტიტუციურ და რეალურ ეკონომიკურ ცვლადებს შორის გრძელვადიანი კავშირები. ჩვენს ანალიზში, ცალკეულად შევაფასებთ კავშირებს არაკრიზისული პერიოდისთვის და შევადარებთ მას მთლიან მაჩვენებლებს მთლიანი დროითი პერიოდის შესახებ.

კერძოდ, ჩვენს მიერ შერჩეული 11 წლიანი დროთი პერიოდიდან ამოვიღებთ პირველ სამ წელს (2008-2011) და მსგავს ანალიზს ჩავატარებთ მხოლოდ 7 წლიანი პერიოდისთვის 2011-2018. ამით მოვახდენთ კრიზისის გავლენის მინიმიზაციას, და შესაბამისად არაკრიზისულ პერიოდში ინსტიტუციური და ეკონომიკური ცვლადების ურთიერთქმედების შესწავლას.

დიაგრამა 3.13 გვიჩვენებს კორელაციის კოეფიციენტებს საქართველოში, შერჩეული ორივე დროთი პერიოდის შესახებ. როგორც 11 წლიან პერიოდისთვის, 8 წლიანი პერიოდის (2011-2018) ანალიზის პროცესში, საქართველოს მაგალითზე კორელაციის ყველა კოეფიციენტი ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის დადებითია.

დიაგრამა 3.13. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის საქართველოში, პერიოდების მიხედვით.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

გავაანალიზოთ პერიოდებს შორის ცვლილებები, რეალურ ეკონომიკასთან თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის მიმართებაში:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები - კორელაციის კოეფიციენტი ეკონომიკის მოცულობასთან შეადგენს 0.86-ს. 11 წლიანი პერიოდის განხილვისას ის 0.22 პროცენტული პუნქტით მაღალი იყო და 0.79-ს შეადგენდა.
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - ამ ჯგუფისთვის კორელაციის კოეფიციენტი 11 წლიანიდან 8 წლიან პერიოდზე გადასვლისას თითქმის არ შეცვლილა და 0.96-ს შეადგენს. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნულ ინსტიტუციურ ჯგუფს ყველაზე მაღალი კორელაცია გააჩნია მთლიან შიდა პროდუქტთან.
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები - კორელაციის კოეფიციენტი 0.57-ს შეადგენს და ის მხოლო 0.02 პროცენტული პუნქტითაა შედარებული.
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები - კორელაციის კოეფიციენტი ამ შემთხვევაშიც ყველაზე დაბალია და 0.12-ს შეადგენს. ის 0.42 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული.

მთლიანი ინსტიტუციური ინდექსის კორელაცია მშპ-სთან 0.81-ია და ის 0.03 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

ცხრილი 3.12. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში, პერიოდების მიხედვით.

	2011-2018	2008-2018
Avg Z (Fisher)	0.99	1.15
Avg R	0.76	0.82
Avg R2	0.57	0.67

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

საშუალო კორელაციის კოეფიციენტი ინსტიტუციურ ჯგუფებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის 0.76-ია, ხოლო 11 წლიანი პერიოდის ანალიზის შემთხვევაში ის 0.82-ს შეადგენდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შემთხვევაში კრიზისული პერიოდის ამოგდება მნიშვნელოვნად არ ცვლის საერთო სურათს მთლიანად ინსტიტუტებს და ეკონომიკას შორის კავშირების შესახებ, ასევე უცვლელია ინსტიტუციური ჯგუფების იერარქია რეალურ ეკონომიკაზე გავლენის მიხედვით. თუმცა კონკრეტული ინსტიტუციური ჯგუფებისთვის არაკრიზისულ პერიოდში კავშირი შესუსტებულია, კერძოდ არაფორმალური გარე და არაფორმალური შიდა ინსტიტუტებისთვის. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ფაქტი, რომ გარდა ფინანსური კრიზისისა, ეს არის საომარი პერიოდი საქართველოსთვის.

საქართველოს მაგალითის განხილვის შემდეგ, გადავიდეთ სხვა პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებზე და ვნახოთ, რა ხარიხის გავლენას ახდენს დროის პერიოდის ცვლილება, რეალურ ეკონომიკასა და ინსტიტუტებს შორის კავშირებზე.

დიაგრამა 3.14 გვიჩვენებს ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის საშუალო კავშირს პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, როგორც 2008-2018 წლების, ასევე 2011-2018 წლების დროითი პერიოდებისთვის.

დიაგრამა 3.14. კორელაციის კოეფიციენტები ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, პერიოდების მიხედვით.



სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

გავანალიზოთ პერიოდებს შორის ცვლილებები, რეალურ ეკონომიკასთან თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის მიმართებაში:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები - ქვეყნების საშუალო კორელაციის კოეფიციენტი, 8 წლიან პერიოდში მშპ-სთან მიმართებით თითქმის არ შეცვლილა და კვლავ 0.22-ს შეადგენს. 25 ეკონომიკიდან 16-სთვის კორელაციის კოეფიციენტი დადებითია. ყველაზე მარალი აქვს სერბეთს- 0.90.

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - ქვეყნების საშუალო კორელაციის კოეფიციენტი გაიზარდა და 0.37-ს შეადგენს, შედარებისთვის 10 წლიან პერიოდში ის მოლოდ 0.28 იყო. 25 ეკონომიკიდან 18-სთვის კორელაციის კოეფიციენტი დადებითია. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ბულგარეთშია - 0.99.
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები - კორელაციის კოეფიციენტი 0.21-ია, წინა პერიოდში კი 0.33-ს შეადგენდა. 25 ეკონომიკიდან 16-სთვის კორელაციის კოეფიციენტი დადებითია. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი სერბეთი (0.94).
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები - კორელაციის კოეფიციენტი მხოლოდ 0.05-ია. ასეთივე დაბალი იყო კავშირი 10 წლიანი პერიოდის განხილვისაც (0.04). 25 ეკონომიკიდან 14-სთვის კორელაციის კოეფიციენტი დადებითია. ყველაზე მაღალი კოეფიცენტი არის ლიტვაში - 0.90.
- მთლიანი ინსტიტუციური ინდექსის კორელაცია მთლიან შიდა პროდუქტთან შეადგენს 0.05-ს, თითქმის უცვლელია რადგან 0.04-ს შეადგენდა. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი სომხეთში (0.93). 25 ეკონომიკიდან 17-სთვის კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, რაც კვლავ მიუთითებს დადებით კავშირზე ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებას შორის.

რაც შეეხება ინსტიტუციური ჯგუფების მშპ-ზე გავლენის საშუალო კორელაციის კოეფიციენტს 2011-2018 წლებისთვის,(ფიშერის ტრანსფორმაციით გაანგარიშებული), ის 0.23-ია და თითქმის უცვლელია წინა პერიოდთან შედარებით (2008-2018 წლებში კოეფიციენტი 0.22-ს შეადგენდა).

ცხრილი 3.13. ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, პერიოდების მიხედვით.

	2011-2018	2008-2018
Avg Z (Fisher)	0.23	0.23

Avg R	0.23	0.22
Avg R2	0.05	0.05

სტატისტიკური მასალის წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (2018) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2019) მონაცემები, ავტორის გაანგარიშებები

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა ჩვენი ანალიზის ფარგლებში, პოსტ ტრანსფორმაციული ქვეყნების მთლიან ჯგუფზე არაარსებითია, რადგან ინსტიტუციური ჯგუფების საშუალო კორელაცია თითქმის უცვლელია (0.01 პროცენტული პუნქტით შემცირება). ასევე, მცირედით შემცირდა მთლიანი ინსტიტუციური ინდექსის კორელაცია რეალურ ეკონომიკასთან (0.07 პროცენტული პუნქტი), ამასთანავე არ გვაქვს დიდი გადახრები ცალკეული ინსტიტუციური ჯგუფების კორელაციაში. ეს შედეგები უფრო მეტად მნიშვნელოვანს ხდის კვლევის წინა ეტაპს და უფრო მეტ ეკონომიკურ შინაარს თუ სანდოობას სძენს დაკვირვების 11 წლიან პერიოდს, ასევე უფრო ხაზს უსვამს კვლევაში გამოყენებული მიდგომის ეფექტიანობას, ინსტიტუციურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის კავშირების აღმოჩენის შესახებ.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში მკვეთრად ხაზგასმულია ინსტიტუციური ცვლილებების პროცესის მაღალი აქტუალობა და ასევე მათი როლი ნებისმიერი სახის ეკონომიკურ პროცესებში.

სადისერტაციო კვლევაში გამოყენებულ იქნა თანამედროვე მიდგომები ინსტიტუტების დაჯგუფებისთვის, კერძოდ ორგანზომილებიანი ინსტიტუციური მატრიცა, რომლის მიხედვითაც ინსტიტუტების კლასიფიკაცია მოვახდინეთ: ერთის მხრივ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებად, ასევე შიდა და გარე ინსტიტუტებად.

შედეგად ნაშრომში მიღებული შედეგები დახასიათებულ იქნა ოთხი ინსტიტუციური ჯგუფისთვის, რომელთა ერთობლიობაც გვაძლევს მთლიან ინსტიტუციურ სივრცეს.

ეს ჯგუფებია:

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები
- ფორმალური გარე ინსტიტუტები
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები

ინსტიტუციური ჯგუფები, მათი ურთიერთკავშირები და ასევე ინტერაქციები რეალურ ეკონომიკასთან შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს მაგალითზე, ასევე მოხდა მათი შედარება სხვა პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არსებულ ინსტიტუტებთან.

კვლევამ აჩვენა, ფორმალური შიდა ინსტიტუტები, რომლებიც ასახავენ კერძო სექტორში არსებული ფორმალიზებულ ნორმებს, ყველაზე მძლავრად წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკაში. ასევე აღსანიშნავია არაფორმალური გარე ინსტიტუტების მაღალი განვითარების დონე, რომლებიც ახასიათებენ სახელმწიფო დონეზე მოქმედ არაფორმალურ ნორმებს. შედარებით სუსტია

ფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია კანონმდებლობის სახით. ხოლო ყველაზე სუსტი, არაფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფია, რომელიც ახასიათებს საზოგადოებაში არსებულ დაუწერელ ნორმებს.

კერძოდ თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის კოეფიციენტია (1-7):

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - 4.55
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები – 4.28
- ფორმალური გარე ინსტიტუტები – 4.07
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები– 3.87

თუ გადავხედავთ აღნიშნული ინსტიტუციური ჯგუფების განვითარებას დინამიკაში, კერძოდ კი 2008-2018 წლებში - დავინახავთ ინსტიტუტთა ჯგუფების კოეფიციენტები 3-დან 5-მდე დიაპაზონში მერყეოდნენ. ხსენებულ პერიოდში, ყველა ინსტიტუციურმა ჯგუფმა დააფიქსირა დადებითი ზრდა. შედეგად, ოთხივე ინსტიტუციურ ჯგუფს გააჩნია უფრო მაღალი განვითარების დონე 2018 წელს, ვიდრე 2008 წელს.

2008-2018 წლებში, საქართველოში ყველაზე მკვეთრი გაუმჯობესება დააფიქსირა ფორმალურმა გარე ინსტიტუტების ჯგუფმა, რაც განპირობებული იყო საკუთრების უფლებების კანონმდებლობის დახვეწით. ხოლო გაუმჯობესების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი არაფორმალურ შიდა ინსტიტუტების ჯგუფში გვხვდება, რომელიც კვლავ ნელი ტემპით განიცდის ტრანსფორმაციას და ეკონომიკაში არსებული ბიზნეს ეთიკა ნაწილობრივ კვლავ გეგმური ეკონომიკის წესების გავლენის ქვეშაა. 2008-2018 წლებში, კოეფიციენტების ზრდა თითოეული ინსტიტუციური ჯგუფისთვის გახლდათ:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები: 33.1%
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 23.3%
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 18.8%
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 10.1%

კვლევის ფარგლებში, ასევე შევაფასეთ ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტები სხვა პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკებისთვის. პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნებში ყველაზე მაღალი ინსტიტუციური მაჩვენებლებით გამოირჩევა ესტონეთი, სადაც ოთხივე ინსტიტუციური ჯგუფი საკმაოდ ძლიერია. ასევე, აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ საკმაოდ განვითარებული ინსტიტუტებით გამოირჩევა საქართველო და თითოეული ჯგუფისთვის საქართველოს მაჩვენებელი აღემატება დანარჩენი პოსტ ტრანსფორმაციული ქვეყნების საშუალოს.

მსგავსად საქართველოსი, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში ყველაზე ძლიერი ფორმალური შიდა ინსტიტუტების ჯგუფია და მისი მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება სხვა ჯგუფების კოეფიციენტებს. მას მოყვება არაფორმალური გარე და არაფორმალური შიდა ინსტიტუტები, ხოლო ყველაზე სუსტი ფორმალური გარე ინსტიტუტებია.

კერძოდ, თითოეული ინსტიტუციური ჯგუფის საშუალო კოეფიციენტი (1-7) პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არის შემდეგი:

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები - 4.36
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები – 3.83
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები – 3.80
- ფორმალური გარე ინსტიტუტები – 3.67

29 პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკიდან, უმეტესობაში - კერძოდ კი 23 მათგანში ყველაზე ძლიერი ფორმალური შიდა ინსტიტუტებია, ხოლო თითქმის ქვეყანათა ნახევარში (16 ქვეყანა) ყველაზე სუსტი ფორმალური გარე ინსტიტუტებია. შედეგად, პრობლემებს ძირითადად ვაწყდებით ეფექტიან კანონმდებლობასთან, ხოლო კერძო სექტორში არსებული ფორმალური ნორმები შედარებით ეფექტიანად მოქმედებენ.

შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოში არსებული სიტუაცია ინსტიტუციური ჯგუფების განვითარების შესახებ, მეტ-ნაკლებად შეესაბამება დანარჩენ ეკონომიკებში არსებულ სიტუაციას, თუმცა გვხდება განსხვავება მეტად

სუსტი არაფორმალური შიდა ინსტიტუტების სახით. საქართველოში ამ ინსტიტუტების ტრანსფორმაცია მეტად გაიწელა დროში.

კვლევამ გამოკვეთა მეტად ძლიერი კავშირები ინსტიტუციური ჯგუფების განვითარებას შორის საქართველოში, სადაც საშუალო ინსტიტუციურ ჯგუფის წყვილებს შორის საშუალო კორელაციის კოეფიციენტი (ფიშერის ტრანსფორმაციის ინდექსით გაანგარიშებული) 0.72-ია.

თუ განვიხილავთ უშუალოდ ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირებს, ექვსი წყვილიდან ექვსივე კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, რაც ცხადად მიუთითებს ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის არსებულ კომპლექსურ კავშირებზე.

ყველაზე მაღალი კავშირი ფორმალურ შიდა და არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის გვხვდება (0.85), კერძო სექტორის ფორმალური საქმიანობის სტანდარტების ხარისხის განვითარება ემთხვევა ქვეყანაში არაფორმალური ზოგადი გარემოს განვითარებას. ბიზნესის უსაფრთხოების შეგრძნების მაღალი და კორუფციის დაბალი დონე უბიძგებს ბიზნესს, მოახდინონ მათი საქმიანობის ფორმალიზება მაღალ ხარისხში და იყვნენ უფრო მეტად გამჭირვალე და ანგარიშვალდებულნი. თავის მხრივ, მოწესრიგებული ბიზნეს პრაქტიკა აუმჯობესებს ქვეყანაში ზოგად ბიზნეს გარემოს.

არაფორმალური შიდა ინსტიტუტები ნაკლებად კორელირებენ დანარჩენ ინსტიტუციურ ჯგუფებთან, მათ შორის ყველაზე დაბალია მაჩვენებელი არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს და ფორმალურ გარე ინსტიტუტებს შორის (0.27), კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებები არ ახდენს მყისიერ გავლენს ბიზნესში მოქმედ არაფორმალურ წესებზე.

კორელაციის კოეფიციენტები თითოეული ინსტიტუციური ჯგუფების წყვილისთვის საქართველოში არის შემდეგი:

- არაფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.85
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.83.

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.81,
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.71,
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.60,
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.27.

მსგავსად საქართველოს, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში შეიმჩნევა დადებითი კავშირი ინსტიტუციურ ჯგუფების განვითარებას შორის, თუმცა საშუალო მაჩვენებელი შედარებით დაბალია და ინსტიტუციურ ჯგუფის წყვილებს შორის საშუალო კორელაციის კოეფიციენტი (ფიშერის ტრანსფორმაციის ინდექსით გაანგარიშებული) 0.57-ია. თუმცა, ეს მაინც მიუთითებს მეტად ძლიერ კავშირზე.

კერძოდ, ოთხ ინსტიტუციურ ჯგუფს შორის არსებული ექვსი კორელაციური წყვილიდან, ექვსივე შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი დადებითია. როგორც კვლევამ აჩვენა, ყველაზე ძლიერი კავშირი არსებობს ფორმალურ გარე და ფორმალურ შიდა ინსტიტუტებს შორის (0.70). ექვსი კორელაციური წყვილიდან ხუთ მათგანში საქართველოში არსებული კავშირის მაჩვენებელი აღემატება დანარჩენი ეკონომიკების საშუალო მაჩვენებელს. გამონაკლისი არის ფორმალურ გარე და არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს შორის კავშირი, სადაც კოეფიციენტი 0.57-ია და მთელი 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება კოეფიციენტს ქართულ ეკონომიკაში.

აღვნიშნოთ, რომ მსგავსად საქართველოსი, არაფორმალური შიდა ინსტიტუტები შედარებით ნაკლებად კორელირებადი ჯგუფია დანარჩენ პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნებშიც.

საშუალო კორელაციის კოეფიციენტები თითოეული ინსტიტუციური ჯგუფების წყვილისთვის პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არის შემდეგი:

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.70

- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.65
- ფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.57
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები <-> ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.56
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.48
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები <-> არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.43

კვლევაში განხილული ეკონომიკებიდან, ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის კავშირის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მონტენეგროშია, სადაც საშუალო კორელაცია 0.90-ს შეადგენს. მაჩვენებელი ნულთან ახლოს და უარყოფითია მხოლოდ ესტონეთში (-0.11), რომელიც ჩვენი კვლევის პერიოდის დასაწყისში (2008 წელი) უკვე გამორჩეული ქვეყანა იყო ინსტიტუტების განვითარების დონით. შესაბამისად, მომდევნო წლების ინსტიტუციური ცვლილებათა პროცესი შედარებით ნაკლებად სენსიტიური და სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგებმა, ასევე გვიჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის. კვლევის შესაბამის ეტაპზე, ინსტიტუციური ინდიკატორების გარდა გამოყენებულ იქნა მაკროეკონომიკური ცვლადები, კერძოდ კი რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემები.

2008-2018 წლებში, საქართველოში ინსტიტუციურ ჯგუფსა და რეალურ ეკონომიკას შორის პოზიტიური და ძლიერი კავშირი შეიმჩნევა. კორელაციის კოეფიციენტები ოთხივე ინსტიტუციურ ჯგუფსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის არის დადებითი და მაღალი. ყველაზე მაღალი კორელაცია არის არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს და რეალურ ეკონომიკას შორის (0.95), რაც გულისხმობს რომ ეკონომიკური ზრდა და ბიზნესის ფორმალიზებული ნორმების განვითარება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. კორელაციის კოეფიციენტები ასევე, საკმაოდ მაღალია არაფორმალური გარე და ფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის.

საქართველოში, რეალურ ეკონომიკასთან ყველაზე სუსტი კავშირი არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს აქვთ, სადაც კორელაციის კოეფიციენტი 0.54-ია, თუმცა ამ შემთხვევაშიც სტატისტიკურად კავშირი საკმაოდ მაღალია. არაფორმალურ შიდა ინსტიტუტები ასევე ნაკლები კავშირით ხასიათდებოდნენ სხვა ინსტიტუციურ ჯგუფებთან.

კორელაციის კოეფიციენტები თითოეული ინსტიტუციური ჯგუფსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, საქართველოში არის შემდეგი:

- ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.95
- არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.79
- ფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.78
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.54

ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კორელაციების საშუალო კოეფიციენტი საქართველოში 0.82-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

განსხვავებით საქართველოსგან, დანარჩენ პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში ბევრ შემთხვევაში არ შეიმჩნევა მჭიდრო კავშირი ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის.

პოსტ ტრანსფორმაციული საშუალო კოეფიციენტი რეალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ოთხივე ჯგუფისთვის დადებითია. თუმცა ეს მაჩვენებლები არცთუ მაღალია, კერძოდ ყველაზე მაღალი კოეფიციენტი გააჩნია არაფორმალურ გარე ინსტიტუტებს, სადაც კორელაცია 0.34-ს შეადგენს. კორელაციური კავშირი ფაქტიურად არ არსებობს რეალურ ეკონომიკას და არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს შორის, ამ შემთხვევაში კოეფიციენტი მხოლოდ 0.04-ია.

საშუალო კორელაციის კოეფიციენტები თითოეული ინსტიტუციური ჯგუფსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არის შემდეგი:

- არაფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.34
- ფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.28
- ფორმალური გარე ინსტიტუტები: 0.23
- არაფორმალური შიდა ინსტიტუტები: 0.04

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკების განხილვისას, შედეგები მეტად განსხვავებულია ქვეყნების დონეზე, რიგ ქვეყნებში კავშირი ძალიან სუსტია, ხოლო ქვეყნების ნაწილში ნეგატიურ ინტერაქციებსაც ვაწყდებით, რაც თავისთავად უარყოფითი მიმართულებით მოქმედებს საშუალო მაჩვენებლებზე. საშუალო კორელაციის კოეფიციენტი ინსტიტუციურ ჯგუფებს და რეალურ ეკონომიკას შორის 0.22-ია, რაც დადებით, თუმცა სუსტ კავშირზე მიგვითითებს.

საქართველოს საშუალო მაჩვენებელი ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის დადებითი კავშირის ხარისხით, ჩამორჩება მხოლოდ ჩრდილოეთ მაკედონიის და სომხეთის მაჩვენებელს. განხილული 25 ეკონომიკიდან 18 მათგანში, საშუალო კორელაციის კოეფიციენტი დადებითია.

კვლევამ ასევე შეისწავლა ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის გავლენა პოსტ კრიზისულ პერიოდში ანუ 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ. ამ შემთხვევაში, ერთმანეთს შეედარა ინსტიტუტებსა და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული ინტერაქციები 2008-2018 წლებში და ასევე 2011-2018 წლების პერიოდში.

საქართველოში, ოთხი ინსტიტუციური ჯგუფისთვის, კვლევის მთლიანი პერიოდიდან (2008-2018) პოსტ კრიზისულ პერიოდზე გადასვლისას (2011-2018), ორი ინსტიტუციური ჯგუფისთვის შემცირდა კორელაციის კოეფიციენტი (ფორმალური შიდა და ფორმალური გარე) რეალურ მთლიან შიდა პროდუქტთან, ხოლო ორ შემთხვევაში უმნიშვნელოდ გაიზარდა (არაფორმალური შიდა და არაფორმალური გარე).

საშუალო კორელაციის კოეფიციენტები თითოეული ინსტიტუციური ჯგუფსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, დროის პერიოდების მიხედვით საქართველოში არის შემდეგი:

ფორმალური გარე ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.78
- 2011-2018: 0.86

ფორმალური შიდა ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.95
- 2011-2018: 0.96

არაფორმალური გარე ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.79
- 2011-2018: 0.57

არაფორმალური შიდა ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.54
- 2011-2018: 0.12

საშუალო კორელაციის კოეფიციენტი ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის, საქართველოში შემცირდა 0.82-იდან 0.76-მდე. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსური კრიზისის ამოგდება მკვეთრად არ ცვლის ინსტიტუციურ ჯგუფებსა და რეალურ ეკონომიკას შორის კავშირის აქტუალობას, შედეგად 11 წლიანი პერიოდის შედეგების ეკონომიკური სანდოობა უფრო მეტად მაღალია.

კრიზისის პერიოდის გარეშე მონაცემთა განხილვა, კიდევ უფრო მეტად ერთგვაროვანს ხდის სურათს პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკათა ერთობლიობის განხილვისას. ამ შემთხვევაში რეალურ მთლიან შიდა პროდუქტთან გავლენის ზრდა შეიმჩნევა ფორმალურ შიდა ინსტიტუტებისთვის, ხოლო შემცირების არაფორმალური გარე ინსტიტუტებისთვის. ფორმალური გარე ინსტიტუტების და არაფორმალური შიდა ინსტიტუტების კოეფიციენტი თითქმის უცვლელია.

საშუალო კორელაციის კოეფიციენტები თითოეული ინსტიტუციური ჯგუფსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, დროის პერიოდების მიხედვით პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არის შემდეგი (2008-2018 -> 2011-2018):

ფორმალური გარე ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.22
- 2011-2018: 0.22

ფორმალური შიდა ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.28
- 2011-2018: 0.37

არაფორმალური გარე ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.33
- 2011-2018: 0.21

არაფორმალური შიდა ინსტიტუტები:

- 2008-2018: 0.04
- 2011-2018: 0.05

მთლიანად ინსტიტუციური ჯგუფების საშუალო კორელაციის კოეფიციენტი გაიზარდა 0.01 პროცენტული პუნქტით 0.22-დან 0.23-მდე, რაც არაარსებითი ცვლილებაა და ხაზს უსვამს ინსტიტუტებსა და რეალურ ეკონომიკას შორის არსებული კავშირების ლოგიკას.

სადისერტაციო კვლევაში მიღებული შედეგების ფართო სპექტრიდან, შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი მიგნებები, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

1. **ინსტიტუციური ინდიკატორების ანალიზი აჩვენებს საკმაოდ მაღალ ინსტიტუციური განვითარების დონეს საქართველოსთვის.** ის ამ კუთხით, ერთ-ერთი ლიდერია პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში, მათ შორის ევროკავშირის წევრ კომუნისტური წარსულის მქონე ეკონომიკების მიმართ. რიგი ქართული ინსტიტუტები, ასევე არ ჩამორჩება განვითარებული

ქვეყნების ინსტიტუტებს თავისი განვითარების ხარისხით. შედეგად, იკვეთება ქართული ეკონომიკის ჩამორჩენა ძირითადი ეკონომიკური პარამეტრებით. კერძოდ კი, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველოში ბევრად უფრო დაბალია ვიდრე საშუალო ევროპულ ეკონომიკებში.

2. **საქართველოში ინსტიტუციური ჯგუფების შესწავლამ გამოკვეთა ფორმალური შიდა ინსტიტუტები, როგორც ყველაზე მაღალი განვითარების მქონე ინსტიტუციური ჯგუფი.** ბიზნესში არსებული ფორმალური ნორმები ქართულ ეკონომიკაში საკმაოდ განვითარებულია და მისი უმთავრესი შედეგი, მეტწილად გამჭირვალე ბიზნეს საქმიანობაა, რითაც საქართველო ინვესტიციებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ეკონომიკაა მთლიანად რეგიონში.
3. **საქართველოში ინსტიტუციური ჯგუფების შესწავლამ გამოკვეთა არაფორმალური შიდა ინსტიტუტები, როგორც ყველაზე დაბალი განვითარების დონის მქონე ინსტიტუციური ჯგუფი.** საზოგადოებაში არსებული არაფორმალური ნორმები დროში საკმაოდ ნელა განიცდის ტრანსფორმაციას, მათ შორის ბიზნეს საქმიანობის ეთიკური ნორმები, რაც ეკონომიკაში არსებული უმთავრესი შიდა არაფორმალური ინსტიტუტებია.
4. **საკმაოდ განვითარებულია არაფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფი,** შესაბამისად საჯარო ინსტიტუტების არაფორმალური საქმიანობის შესახებ მეტწილად პოზიტიურ დამოკიდებულებას ვაწყდებით საზოგადოების და ბიზნესის მხრიდან. მათ შორის, აღსანიშნავია კორუფციის დაბალი აღქმა, ბიზნესის უსაფრთხოება და რიგი ინსტიტუტების ეფექტიანობა. თუმცა, მეორეს მხრივ არსებობს პრობლემები სახელმწიფო ინსტიტუტებში არსებული არაფორმალური ზეგავლენების, სახელმწიფო ხარჯვის არაეფექტიანობის და პოლიტიკოსების თუ საჯარო პირების მიმართ მეტად დაბალი ნდობის ხარისხის შესახებ.
5. **უკანასკნელი დეკადის მანძილზე, ფორმალური გარე ინსტიტუტების ჯგუფმა განიცადა ყველაზე მკვეთრი ზრდა საქართველოში;** რაც აისახა

გაუმჯობესებული საკანონმდებლო ნორმებით, რაც ჰქმნის მნიშვნელოვან საფუძვლებს როგორც სხვა ინსტიტუტების, ასევე მთლიანად ეკონომიკის განვითარებისთვის.

6. **მსგავსად საქართველოს, ფორმალური შიდა ინსტიტუტები არიან ყველაზე განვითარებული ჯგუფი პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში**, შედეგად ამ კუთხით საქართველოს პოზიცია შესაბამისია პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში არსებული ეკონომიკური ტენდენციების.
7. **განსხვავებით საქართველოსგან, არაფორმალური შიდა ინსტიტუტები, თავისი განვითარების ხარისხით მკვეთრად არ ჩამორჩებიან სხვა ინსტიტუციურ ჯგუფებს დანარჩენ პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში**, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნესში არსებული არაფორმალური ნორმების ტრანსფორმაცია მოსალოდნელზე უფრო მეტად გაიწელა საქართველოს მაგალითზე.
8. **კვლევამ აჩვენა მაღალი კორელაცია ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის საქართველოში,** ყველა ინსტიტუციური ჯგუფი მნიშვნელოვან კორელაციას აჩვენებს ერთმანეთთან განვითარების პროცესში. ეს კი გულისხმობს რომ ინსტიტუტების განვითარება დამოკიდებულია ერთმანეთზე და ასევე მათზე ერთდროულად მოქმედებს ბევრი სხვა გარე ფაქტორი. შედეგად, ინსტიტუციური რეფორმები იკვეთება, როგორც მეტად კომპლექსური პროცესი.
9. **საქართველოში, არაფორმალური შიდა ინსტიტუტები ყველაზე ნაკლებად კორელირებადი ჯგუფია.** თავის ბუნებიდან გამომდინარე, მოცემულ ინსტიტუტებზე მოქმედებს ბევრი განსხვავებული ფაქტორი და ნაწილობრივ გააჩნია თავის განვითარების დამოუკიდებელი ტრაექტორია.
10. **პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში შეიმჩნევა მაღალი კავშირი ინსტიტუციურ ჯგუფებს შორის, საქართველო კი ერთ-ერთი ლიდერია კავშირის ხარისხით.** ქვეყნების უმეტესობაში, შეიმჩნევა ძლიერი ინტერაქციები სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის, საქართველოში არსებული კავშირები კი უმეტეს შემთხვევებში მკვეთრად აღემატება კავშირის ხარისხს

საშუალო პოსტ ტრანსფორმაციულ ქვეყნებში. შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული ინსტიტუტები მეტად მგრძნობიარენი არიან ტრანსფორმაციული ცვლილებების პროცესში.

11. **მსგავსად საქართველოს, არაფორმალური შიდა ინსტიტუტები ნაკლებად მიყვებიან საერთო ინსტიტუციური განვითარების ტრენდს სხვა პოსტ კომუნისტურ ეკონომიკებში.** ამ ინსტიტუტებს გააჩნიათ დადებითი კორელაცია სხვა ინსტიტუციურ ჯგუფებთან, თუმცა კავშირი არის შედარებით დაბალი, რაც ასევე აიხსნება ხსენებული ინსტიტუტების თეორიული საფუძვლებით.
12. **საქართველოში შეინიშნება მეტად ძლიერი სტატისტიკური კავშირი ინსტიტუციურ განვითარებასა და რეალურ ეკონომიკას შორის,** კერძოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა ემთხვევა ინსტიტუციური განვითარების მაღალ ტემპებს. შედეგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მათ შორის არსებობს ძლიერი ორმხრივი კავშირი. ასევ ქვეყანაში გატარებული რეფორმები ახდენენ გავლენას ერთდროულად ორივე კუთხით, ერთის მხრივ როგორც ინსტიტუტების განვითარებაზე, ასევე აჩქარებენ ეკონომიკურ ზრდას. ისევე, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე ინსტიტუციური ინდიკატორები საქართველოში, მეტად მგძნობიარე არიან შიდა თუ გარე ფაქტორების მიმართ და გარემოს ცვლილება გვაძლევს განსხვავებულ ეკონომიკურ შედეგებს მოკლევადიან პერიოდში.
13. **არაფორმალურ შიდა ინსტიტუტებს ყველაზე ნაკლები კორელაცია ახასიათებთ ეკონომიკის განვითარებასთან.** აღნიშნული მოსალოდნელი იყო, როგორც ამ ინსტიტუტების თეორიული საფუძვლების გათვალისწინებით, ასევე იმ ფაქტით რომ ხსენებული ჯგუფი ვითარდება, სხვა ინსტიტუტებისგან განსხვავებული ტრაექტორიით, შესაბამისად ეს ინსტიტუტები მყისიერად არ რეაგირებენ გატარებულ რეფორმებსა თუ არსებულ მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე.
14. **განსხვავებით საქართველოსგან, პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში ყოველთვის არ შეიმჩნევა მსგავსი მაღალი კავშირი ინსტიტუტებს და**

რეალურ ეკონომიკას შორის, საქართველო ერთ-ერთია ლიდერია კავშირის სიძლიერით. რიგ, სწრაფად მზარდ ეკონომიკებში ვხედავთ საქართველოს მსგავსად ძლიერ დადებით კავშირს ეკონომიკას და ინსტიტუტებს შორის, თუმცა რიგ შემთხვევებში კავშირი მეტად სუსტი ან საერთოდ ნეგატიურია. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საქართველო მეტად კარგი მაგალითია ეკონომიკას და ინსტიტუტებს შორის მჭიდრო კავშირით, ეს კი საკმაოდ პოზიტიური ფაქტია ეკონომიკური პროცესების ანალიზის პროცესის გასამარტივებლად.

სადისერტაციო კვლევაში მიღებული შედეგების და ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციათა პაკეტი, რომლის ადრესატთა ჯგუფი, კვლევის საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს სახელმწიფო უწყებებს, საჯარო თუ კერძო ინსტიტუტებს, ბიზნეს სექტორს, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებს და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს.

კვლევის ძირითადი რეკომენდაციებია:

1. **მეტი აქცენტის გადატანა არაფორმალური შიდა ინსტიტუტების მიმართ**, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მხრიდან. აღნიშნული ინსტიტუტი საკმაოდ ნელი ტემპით ახორციელებ ტრანსფორმაციას, თუმცა მათი გრძელვადიანი როლი ეკონომიკურ პროცესებში შეუფასებელია. განსაკუთრებით, აქტუალური ხდება ეს ინსტიტუტები დღეს, ციფრული ეკონომიკის და დეცენტრალიზებული პლატფორმებზე მოქმედი ინსტიტუციური სივრცის კონტექსტში, სადაც პერსონალი ურთიერთობები ბიზნესსა და ეკონომიკაში ახალ და უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს შედეგად აუცილებელია, ბიზნეს თუ მმართველობის სფერო აქტიურად მუშაობდეს თავის რეპუტაციის განვითარებაზე, რადგან რეპუტაცია მიმდინარე საუკუნეში ერთ-ერთი უდიდესი აქტივია.

2. **ინსტიტუციური რეფორმების უწყვეტობა და მუდმივად პროგრესზე ორიენტირება.** კვლევამ აჩვენა ინსტიტუციური ცვლილებების მაღალი სიჩქარე და ასევე, საქართველოში მათი პოზიტიური გავლენა ეკონომიკაზე. ამასთანავე, დღევანდელ მსოფლიოში ცვლილებები უფრო სწრაფი ხდება შესაბამისად აუცილებელია მუდმივად ძებნა ახალი ინსტიტუციური განვითარების მიდგომების, რაც გაზრდის ინსტიტუციების ეფექტიანობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თანამედროვე მკვლევარები თანხმდებიან იმის შესახებ რომ მთლიანად მსოფლიო დგას ფუნდამენტური ინსტიტუციური ცვლილებების ზღვრის წინაშე. შესაბამისად, განვითარებადი და პოსტ ტრანსფორმაციული ეკონომიკებისთვის კიდევ უფრო მეტად აუცილებელია, დროულად ადაპტაცია გლობალურ ინსტიტუციური ცვლილებების პროცესთან.
3. **ინსტიტუციური განვითარების, როგორც მომავალი ეკონომიკური ზრდის ინდიკატორის განხილვა.** საქართველოს მაგალითზე, კვლევამ აჩვენა მაღალი კორელაცია ყველა ინსტიტუციურ ჯგუფსა და რეალურ ეკონომიკას შორის, რაც აიხსნება მათ შორის მაღალი ინტერაქციებით და ასევე მათზე ერთდროულად მოქმედი გარე ფაქტორებით. შესაბამისად, რთული წარმოსადგენია მათი ერთმანეთის გარეშე განხილვა. ამიტომ, წარმატებულად შეფასებული ინსტიტუციური რეფორმები, შეგვიძლია აღვიქვათ როგორ სიგნალი მომავალი ეკონომიკური ზრდის.
4. **მაღალი ეკონომიკური ზრდის, როგორც გამოწვევის განხილვა.** ინსტიტუციური და ეკონომიკური ინდიკატორების შეფასებისას, ცხადი ხდება რომ საქართველოს აქვს ძირითადი ჩამორჩენა ეკონომიკური კუთხით და არა ინსტიტუციური კუთხით. შესაბამისად, მაღალი ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს ძირითადი მიზანი ქვეყნის, რათა მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდეს განვითარებულ სამყაროსთან კონვერგენცია შემოსავლების მოცულობის კუთხით. გასათვალისწინებელია, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდის მიზანი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადაიფაროს რაიმე სხვა მაკროეკონომიკური მიზნებით.

5. **საქართველოს, როგორც ინსტიტუციურად განვითარებული და სწრაფად მზარდი ქვეყნის პოზიციონირება.** ეკონომიკის მცირე ზომის გამო, საქართველოში არსებული ბაზარი დიდი ზომის არაა. თუმცა, სტაბილური და მოქნილი ინსტიტუციური გარემო აჩენს მოტივაციას უცხოური ინვესტიციებისთვის. მოქნილი კანონმდებლობა, სტაბილური ბიზნეს გარემო, მარტივი და გამჭირვალე ვალდებულებები ბიზნესის კეთებისთვის, თავისუფალი და დამოუკიდებელი და ინსტიტუტები, ნებისმიერ ეკონომიკაში აჩენს სტიმულს როგორც შიდა ინვესტიციების მობილიზების, ასევე უცხოური კაპიტალის შემოდინების. გაზრდილი ინვესტიციების დონე კი სწრაფი ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა. შესაბამისად, უფრო მეტად სასურველია, ქართული ინსტიტუტების და მათი მახასიათებლების პოზიციონირება მოხდეს, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე კერძო სექტორის და სამეცნიერო წრეების მხრიდან.
6. **ინსტიტუციური რეფორმების უნიკალური, ქართული მოდელის განვითარება** - როგორც კვლევამ აჩვენა, რიგი ინსტიტუციური მიმართულებით საქართველო ერთ-ერთი ლიდერია პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში. ასევე, შეიმჩნევა ტენდენცია განსხვავებული ინსტიტუტებს შორის არსებული მაღალი კავშირების. შესაბამისად, ქვეყანა ანვითარებს თავის ინდივიდუალურ ინსტიტუციურ მოდელს და არ არის საჭიროება რომელი ეკონომიკაში გატარებული რეფორმების საქართველოში მექანიკური გადმოტანის მცდელობის. ნებისმიერი ინსტიტუციური რეფორმის გატარების დროს ყურადღება უნდა ექცეოდეს მომავალ გამოწვევებს და არა მხოლოდ წარსულ გამოცდილებას. ასევე, ინსტიტუციური რეფორმის უმთავრესი დანიშნულება უნდა იყოს ინდივიდებისთვის ეკონომიკური საქმიანობის გამარტივება, რაც როგორც თეორიულ ნაწილში მიმოვიხილეთ, ინსტიტუტების უმთავრესი და ფუნდამენტური დანიშნულებაა.
7. **ინსტიტუციური ქაოსის საფრთხის არიდება**, თეორიულ ნაწილში ინსტიტუციების ფუნქციის განხილვისას, აღნიშნულ იქნა ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში ინსტიტუტების შექმნა ხდება მექანიკურად მათი მიზნის

გათვალისწინების გარეშე. ასეთი ინსტიტუტების წარმოქმნა, რომლებიც არ არიან განპირობებული ადამიანთა მოთხოვნილებებიდან, წარმოშობენ პრობლემებს, რომელთა მოგვარებას ახალი ინსტიტუტების შექმნა მოყვება. შესაბამისად იქმნება ჯაჭვი არაეფექტიანი მიზნების გარშემო არსებული ინსტიტუტების. ამიტომ ამ საფრთხის თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია ნებისმიერი ინსტიტუტის ეკონომიკური საფუძვლების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში არაეფექტიანი ინსტიტუციური სტრუქტურების სრულად მოშლა და ახალი ინსტიტუტების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი. „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“., ეკონომიკა და ბიზნესი. 2014, # 5, გვ. 13-54.
2. ანანიაშვილი ი., „ეკონომეტრიკა“. სახელმძღვანელო. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, მერიდიანი, 2012. 412 გვ.
3. ბალარჯიშვილი ი. „ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ბარიერული ხასიათი - ტრანსპლანტაცია თუ ევოლუცია“. თბილისი ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #1, 2008
4. ბერიძე თ. „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე“. გვ.115–122; გამომცემლობა ,,უნივერსალი“, 195 გვ.
5. გელაშვილი ს. „ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება“. სახელმძღვანელო. გამომც. ,,მერიდიანი“, თბ., 2012.
6. გელაშვილი ს. „საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა“. სახელმძღვანელო, გამომც. ,,უნივერსალი“, თბ., 2015.
7. გველესიანი რ., „ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.X., #1, 2017
8. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009
9. თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაიძე; [რედ.: ვლადიმერ პაპავა]. 2001. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“
10. კაკულია ნ. 2009. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური თავისებურებები და “ევოლუციური თეორია”. თბილისი. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, # 3, გვ. 37-46.
11. კაკულია ნ. 2014. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. რიდერი. (ლექციების კურსი მაგისტრანტებისათვის) თბილისი.

12. მარშავა ქ. „მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარებები - მშპ ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება“. გამომცემლობა ,,უნივერსალი'', გვ.488-492, 2012
13. მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, #2, 2015
14. მექვაბიშვილი ე. 2012. „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“
15. პაპავა ვ. "საქართველოს ეკონომიკა", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015
16. პაპავა ვ. „დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა – ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო“. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, No. 99, 2018.
17. პაპავა ვ.“არატრადიციული ეკონომიკსი“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011
18. პაპავა. ვ. *„საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე”.* “მეცნიერება”, თბილისი. 1995
19. პაპავა. ვ. გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. თბილისი, "სიახლე", 2010.
20. პაპავა. ვ. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესატყვისი კორუფციის ბუნება და საქართველოში მისი შეზღუდვის მექანიზმის შესახებ. სახელმწიფო და კონტროლი, N 1, 2001.
21. პაპავა. ვ. ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი “შოკური თერაპიიდან” – “სოციალურ სტიმულირებამდე”. თბილისი, სმკ, 1995
22. პაპავა. ვ. ნეკროეკონომიკა. მაკრო მიკრო ეკონომიკა, N 10, 2000
23. პაპავა. ვ., ხადური. ნ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. მეცნიერება და ტექნიკა, N 1-3, 1998
24. პაპავა. ვ., პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ. *თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, # 7, 2013.*
25. სილაგაძე ა. "ეკონომიკური დოქტრინები", თბილისი, 2010
26. ხადური ნ. „ეკონომიკური ზრდა - რეალობა და პერსპექტივები“., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. მასალების კრებული, თბილისი, 2010

27. ხადური ნ. „საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები“., ჟ. ეკონომისტი, №1, 2009
28. ხადური ნ. „ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა., IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ კრებული. თბილისი, 2012
29. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. „მაკროეკონომიკა“, ლექციების კურსი. თბილისი, 2011
30. ხარაიშვილი ე. „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, მონოგრაფია
31. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე ი. „მიკროეკონომიკა“, სახელმძღვანელო, მე-3 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ავტორები: გამომცემლობა ,,უნივერსალი”, თბილისი, 2014.
32. Acemoglu, D., Johnson, S., Robinson, J., & Thaicharoen, Y. (2003). Institutional causes, macroeconomic symptoms: volatility, crises and growth. *Journal of monetary economics*, *50*(1), 49-123.
33. Beck, Thorsten, and Luc Laeven. *Institution building and growth in transition economies*. The World Bank, 2005.
34. Botsman, Rachel, and Roo Rogers. *What's mine is yours: how collaborative consumption is changing the way we live*. Vol. 5. London: Collins, 2011.
35. Botsman, Rachel. *Who Can You Trust?: How Technology Brought Us Together–and Why It Could Drive Us Apart*. Penguin UK, 2017.
36. Casson, M. C., Della Giusta, M., & Kambhampati, U. S. Formal and informal institutions and development. *World Development*, *38*(2), (2010), 137-141.
37. Coase, Ronald Harry. "The nature of the firm." *economica* 4, no. 16 (1937): 386-405.
38. Commons, J. R., A. Nicita, and M. Vatiero. "The Contract and the Market: Towards a Broader Notion of Transaction?." American Economic Review 21 (1931)
39. Commons, John R. "Institutional Economics. Madison." (1934).
40. De Soto, Hernando. The mystery of capital: Why capitalism triumphs in the West and fails everywhere else. Basic Civitas Books, 2000.
41. De Soto, Hernando. *The other path: The economic answer to terrorism.* Basic Books (AZ), 2002.

42. Eggertsson, Thrainn, *Economic behavior and institutions: Principles of Neoinstitutional Economics*. Cambridge University Press, 1990.
43. Furubotn, E., and R. Richter. "Institutional and Economic Theory: The Contribution of the New Institutional Economics. Ann Arbor: UMP." (1998).
44. Groenewegen, John, A. H. G. M. Spithoven, and Annette Van Den Berg. "Institutional economics: An introduction." (2010).
45. Hayek, Friedrich A. "Law, legislation and liberty. Vol. 1: Rules and order." (1973).
46. Hodgson, G. M. The Evolution of Economic Institutions. (2006).
47. Hodgson, G. M. What Are Institutions? (2006).
48. Kasper, W., Streit, M. E., & Boettke, P. J. (2012). Institutional economics: Property, competition, policies. Edward Elgar Publishing.
49. Lichtenstein, Peter M. "A new-institutionalist story about the transformation of former socialist economies: a recounting and an assessment." *Journal of Economic Issues* 30, no. 1 (1996): 243-265.
50. Murrell, Peter, and Mancur Olson. "The devolution of centrally planned economies." *Journal of Comparative Economics* 15, no. 2 (1991): 239-265.
51. Murrell, Peter. *Evolution in economics and in the economic reform of the centrally planned economies*. Center for Institutional Reform and the Informal Sector, University of Maryland at College Park, 1991.
52. Nooteboom, B., Van Haverbeke, W., Duysters, G., Gilsing, V., & Van den Oord, A. (2007). Optimal cognitive distance and absorptive capacity. *Research policy*, *36*(7), 1016-1034.
53. North, D. C. Institutions, Institutional Change and Economic Performance, 2006.
54. North, D. C. *Structure and change in economic history*. Norton, 1981.
55. North, D. C. *Understanding the process of economic change*. Academic foundation, 1991.
56. North, D. C., & Thomas, R. P. The rise of the western world: A New Economic History. New York: Cambridge University Press. 1973
57. North, Douglass Cecil. *The contribution of the new institutional economics to an understanding of the transition problem*. No. 1. Unu/Wider, 1997.
58. Ostrom, Elinor. "An agenda for the study of institutions." *Public choice* 48, no. 1 (1986): 3-25.

59. Parker, Geoffrey, Marshall W. Van Alstyne, and Xiaoyue Jiang. "Platform ecosystems: How developers invert the firm." *Boston University Questrom School of Business Research Paper* 2861574 (2016).
60. Riordan, Michael H., and Oliver E. Williamson. "Asset specificity and economic organization." International Journal of Industrial Organization 3, no. 4 (1985): 365-378.
61. Rodrik, Dani, Arvind Subramanian, and Francesco Trebbi. "Institutions rule: the primacy of institutions over geography and integration in economic development." *Journal of economic growth* 9, no. 2 (2004): 131-165.
62. Stiglitz, J. "Creating and harnessing social capital." Social Capital: A Multifaceted Perspective, International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, Washington, DC (2000): 59-68.
63. Stiglitz, J. E. (2000). Formal and informal institutions. *Social capital: A multifaceted perspective*, 59-68.
64. Sundararajan, A. (2016). The sharing economy: The end of employment and the rise of crowd-based capitalism. Mit Press.
65. Swan, Melanie. „Blockchain: Blueprint for a new economy. " O'Reilly Media, Inc., 2015.
66. Tapscott, D., & Tapscott, A. *Blockchain revolution: how the technology behind bitcoin is changing money, business, and the world*. Penguin. 2016.
67. Veblen, Thorstein. "B., 1899,„The Theory of the Leisure Class: An Economic Study in the Evolution of Institutions”." 190-1.
68. Voigt, S. How to Measure Informal Institutions. 2016.
69. Voigt, Stefan. "How (not) to measure institutions." Journal of Institutional Economics 9, no. 1 (2013): 1-26.
70. Williamson, C. R., & Kerekes, C. B. Is Codification of Informal Property Institutions Necessary for Economic Development?. *Journal for the New Europe*, 2006. *3*(2), 27-57.
71. Williamson, Oliver E. "The new institutional economics: taking stock, looking ahead." *Journal of economic literature* 38, no. 3 (2000): 595-613.
72. Williamson, Oliver E. "Transaction cost economics: how it works; where it is headed." *De economist* 146, no. 1 (1998): 23-58.
73. Williamson, Oliver E. "Transaction cost economics: how it works; where it is headed." *De economist* 146, no. 1 (1998): 47

გამოქვეყნებული შრომების სია

"Formal and Informal Monetary Institutions in Transition – The Case of Georgia". Proceedings of International Academic Conference on Management, Economics, Business and Marketing (IACMEBM 2016).

"*Institutional Groups in Georgia and Transition/post-transition Economies"*. Ekonomisti. #3, 2017.

"Measure Types of Institutions – Georgia and Transition Economies". International Journal of Innovation, Management and Technology (IJIMT), June 2017. ISSN: 2010-0248.

"Institutional framework of The Economy against Corruption in Georgia". International Journal of Trade, Economics and finance (IJTEF), November 2017 ISSN: 2010-023X.

"Trust as Accelerator of Informal Institutions (The case of Georgian Economy)". Proceedings of International Conference on Applied Research in Management, Economics and Accounting. ISBN: 978-609-96043-0-5.

"Institutional Development Versus Economic Development in Georgia", Ekonomisti, #4, 2018. ISSN:1987-6890.

დანართი

ცხრილი 4.1 ინსტიტუციური ჯგუფების კოეფიციენტების პოსტ ტრანსფორმაციულ ეკონომიკებში (1-7, 2008-2018 წლები).

ალბანეთი					ლატვია				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	2.85	3.95	2.93	3.79	**2008**	4.02	4.63	3.86	3.95
2009	3.00	4.05	3.19	3.86	**2009**	4.02	4.67	3.92	3.99
2010	3.27	4.23	3.63	3.82	**2010**	3.80	4.48	3.86	3.80
2011	3.55	4.68	3.98	4.14	**2011**	3.56	4.33	3.87	3.53
2012	3.65	4.76	3.89	4.53	**2012**	3.59	4.36	3.95	3.74
2013	3.38	4.61	3.50	3.86	**2013**	3.75	4.39	4.09	3.99
2014	3.13	4.34	3.18	3.25	**2014**	3.81	4.52	4.14	4.07
2015	3.12	4.30	3.32	3.30	**2015**	3.88	4.62	4.15	4.15
2016	3.34	4.60	3.60	3.89	**2016**	4.02	4.63	4.19	4.09
2017	3.53	4.62	3.68	4.30	**2017**	3.80	4.42	4.02	3.95
2018	3.70	4.53	3.71	4.27	**2018**	3.42	4.28	3.86	3.75

სომხეთი					ლიტვა				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.49	3.78	3.22	3.45	**2008**	4.14	4.63	3.80	4.39
2009	3.62	3.82	3.36	3.39	**2009**	4.13	4.78	4.02	4.32
2010	3.52	3.82	3.43	3.32	**2010**	3.76	4.79	3.91	4.08
2011	3.39	3.81	3.56	3.25	**2011**	3.67	4.51	4.11	3.86
2012	3.61	4.00	3.66	3.38	**2012**	3.75	4.44	3.95	3.83
2013	4.02	4.08	3.84	3.63	**2013**	3.84	4.55	3.97	4.01
2014	4.04	4.38	3.87	3.79	**2014**	3.76	4.54	4.04	4.26
2015	3.70	4.33	3.78	3.76	**2015**	3.73	4.55	3.98	4.27
2016	3.61	4.25	3.81	3.63	**2016**	3.84	4.63	4.09	4.35
2017	3.88	4.44	3.97	3.85	**2017**	3.88	4.79	4.24	4.28
2018	3.97	4.38	4.03	4.04	**2018**	3.78	4.75	4.18	4.19
აზერბაიჯანი					ჩრდილოეთ მაკედონია				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.47	3.84	3.56	4.16	**2008**	3.23	3.96	3.18	3.55
2009	3.90	4.17	4.05	4.26	**2009**	3.44	4.05	3.54	3.63
2010	4.05	4.23	4.20	4.12	**2010**	3.48	4.06	3.69	3.82
2011	3.74	4.22	3.82	3.91	**2011**	3.37	4.39	3.84	3.75
2012	3.72	4.30	3.79	3.87	**2012**	3.38	4.30	3.75	3.55
2013	3.97	4.38	3.91	3.86	**2013**	3.70	4.30	3.79	3.57
2014	3.93	4.43	4.06	4.01	**2014**	3.96	4.54	4.00	3.92
2015	3.76	4.39	3.96	4.01	**2015**	4.13	4.73	4.20	4.34
2016	3.76	4.27	3.96	4.01	**2016**	4.05	4.64	4.06	4.19
2017	4.13	4.42	4.25	4.22	**2017**	3.84	4.65	3.87	4.03
2018	4.70	4.62	4.65	4.53	**2018**				
ბულგარეთი					მონტენეგრო				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.18	3.96	2.85	3.88	**2008**	3.56	4.14	3.68	3.56
2009	3.26	4.08	2.95	3.72	**2009**	3.85	4.50	4.11	3.99
2010	3.09	4.01	2.96	3.43	**2010**	4.08	4.51	4.35	4.28
2011	3.03	4.12	3.24	3.30	**2011**	4.29	4.41	4.60	4.40
2012	3.07	4.12	3.23	3.42	**2012**	4.38	4.44	4.68	4.42
2013	3.21	4.11	3.27	3.52	**2013**	4.22	4.39	4.53	4.23
2014	3.21	4.21	3.21	3.55	**2014**	3.92	4.37	4.28	4.09
2015	3.08	4.39	3.08	3.68	**2015**	3.81	4.23	4.01	3.89
2016	3.21	4.45	3.15	3.64	**2016**	3.78	4.09	3.91	3.90
2017	3.39	4.60	3.30	3.63	**2017**	3.66	4.13	3.76	3.90
2018	3.29	4.66	3.27	3.54	**2018**	3.77	4.28	3.86	3.98
კამბოჯა					პოლონეთი				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.32	3.87	3.14	3.78	**2008**	3.41	4.25	3.49	4.17
2009	3.28	3.99	3.32	3.72	**2009**	3.24	4.41	3.42	4.54
2010	3.34	4.02	3.44	3.67	**2010**	3.44	4.63	3.82	4.50

2011	3.42	4.02	3.50	3.66	**2011**	3.72	4.67	4.34	4.20
2012	3.67	4.06	3.58	3.73	**2012**	3.73	4.58	4.36	4.14
2013	3.83	4.17	3.77	3.76	**2013**	3.62	4.53	4.32	4.17
2014	3.48	4.13	3.50	3.80	**2014**	3.54	4.44	4.19	4.08
2015	3.06	3.92	3.05	3.76	**2015**	3.57	4.46	4.17	4.12
2016	3.13	3.83	3.19	3.80	**2016**	3.69	4.67	4.15	4.09
2017	3.27	3.80	3.40	3.83	**2017**	3.66	4.69	4.01	3.99
2018	3.30	3.83	3.24	3.72	**2018**	3.50	4.64	3.82	3.92
ჩინეთი					რუმინეთი				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.83	3.82	3.60	3.71	**2008**	3.41	4.13	3.21	3.66
2009	4.34	4.31	4.05	4.17	**2009**	3.53	4.40	3.48	3.61
2010	4.48	4.49	4.33	4.26	**2010**	3.39	4.53	3.65	3.60
2011	4.46	4.39	4.36	4.18	**2011**	3.34	4.43	3.87	3.58
2012	4.43	4.41	4.28	4.11	**2012**	3.21	4.24	3.50	3.40
2013	4.34	4.26	4.18	4.04	**2013**	3.13	4.01	3.31	3.19
2014	4.26	4.24	4.25	4.17	**2014**	3.20	3.98	3.33	3.08
2015	4.18	4.26	4.24	4.16	**2015**	3.45	4.14	3.48	3.49
2016	4.15	4.11	4.20	4.00	**2016**	3.55	4.27	3.62	3.45
2017	4.29	4.18	4.40	4.08	**2017**	3.46	4.13	3.62	3.27
2018	4.44	4.20	4.54	4.16	**2018**	3.62	4.31	3.67	3.41
ხორვატია					რუსეთი				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.69	4.45	3.79	3.96	**2008**	2.88	4.01	2.96	3.26
2009	3.62	4.35	3.76	3.99	**2009**	3.05	4.05	3.19	3.47
2010	3.35	4.08	3.64	3.93	**2010**	2.95	3.78	3.22	3.37
2011	3.32	3.80	3.78	3.81	**2011**	2.92	3.79	3.25	3.29
2012	3.30	3.77	3.70	3.67	**2012**	2.79	3.72	3.04	3.25
2013	3.22	3.77	3.63	3.62	**2013**	2.82	3.64	3.05	3.35
2014	3.19	3.85	3.73	3.86	**2014**	3.02	3.84	3.19	3.66
2015	3.10	3.75	3.76	3.94	**2015**	3.20	4.00	3.34	3.94
2016	3.11	4.15	3.79	3.78	**2016**	3.20	4.06	3.34	3.94
2017	3.12	4.39	3.76	3.61	**2017**	3.35	4.18	3.59	3.92
2018	2.99	4.33	3.53	3.44	**2018**	3.55	4.30	3.71	3.79
ჩეხეთი					სერბეთი				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.68	4.70	3.68	3.95	**2008**	3.11	3.65	3.29	4.02
2009	3.74	4.83	3.72	3.77	**2009**	3.17	3.77	3.36	3.73
2010	3.87	4.84	3.75	3.85	**2010**	3.01	3.67	3.23	3.42
2011	3.71	4.47	3.85	3.61	**2011**	2.90	3.65	3.26	3.23
2012	3.47	4.42	3.64	3.33	**2012**	2.85	3.66	3.24	3.05
2013	3.51	4.38	3.64	3.41	**2013**	2.86	3.60	3.26	3.09
2014	3.50	4.27	3.58	3.55	**2014**	2.86	3.63	3.27	3.32
2015	3.71	4.40	3.65	3.73	**2015**	2.83	3.70	3.27	3.45

2016	4.08	4.77	3.98	3.82	**2016**	2.85	3.94	3.27	3.36
2017	4.12	4.94	4.07	3.81	**2017**	2.98	3.97	3.34	3.33
2018	3.90	5.01	4.16	3.96	**2018**	3.22	4.00	3.40	3.41
ესტონეთი					სლოვაკეთი				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	4.91	5.15	4.56	4.53	**2008**	4.04	4.75	3.73	4.06
2009	4.97	5.18	4.68	4.82	**2009**	3.85	4.79	3.58	3.88
2010	4.76	5.04	4.81	5.06	**2010**	3.68	4.78	3.47	3.84
2011	4.72	4.76	5.04	5.04	**2011**	3.48	4.43	3.45	3.59
2012	4.76	4.81	5.15	5.10	**2012**	3.37	4.22	3.33	3.40
2013	4.66	4.76	5.16	4.98	**2013**	3.39	4.11	3.30	3.40
2014	4.70	4.78	5.09	4.80	**2014**	3.26	4.18	3.11	3.34
2015	4.77	4.90	5.13	4.90	**2015**	3.24	4.32	3.09	3.41
2016	4.86	4.96	5.20	4.90	**2016**	3.34	4.47	3.21	3.35
2017	4.99	5.00	5.31	4.84	**2017**	3.41	4.62	3.28	3.27
2018	4.81	5.06	5.25	4.81	**2018**	3.42	4.66	3.30	3.35
საქართველო					სლოვენია				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	3.31	3.88	3.76	3.61	**2008**	4.26	4.57	4.49	4.61
2009	3.57	4.06	4.08	3.84	**2009**	4.27	4.71	4.38	4.46
2010	3.52	4.08	3.94	3.81	**2010**	4.34	4.51	4.48	4.71
2011	3.50	4.13	4.07	3.75	**2011**	4.10	4.43	4.48	4.52
2012	3.47	4.25	4.23	3.95	**2012**	3.82	4.31	4.17	4.13
2013	3.38	4.32	4.30	4.09	**2013**	3.75	4.28	4.15	4.17
2014	3.47	4.28	4.27	4.01	**2014**	3.56	4.31	4.05	4.07
2015	3.72	4.32	4.51	4.18	**2015**	3.44	4.18	3.95	3.84
2016	4.03	4.42	4.67	4.13	**2016**	3.66	4.25	4.08	3.76
2017	4.21	4.55	4.52	3.88	**2017**	3.76	4.58	4.24	3.90
2018	4.07	4.55	4.28	3.87	**2018**	3.76	4.57	4.12	3.97
უნგრეთი					უკრაინა				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III
2008	4.13	4.85	4.01	3.91	**2008**	2.93	3.61	3.13	3.06
2009	3.81	4.71	3.86	3.76	**2009**	3.04	3.79	3.24	3.30
2010	3.57	4.70	3.70	3.59	**2010**	2.73	3.68	3.14	3.23
2011	3.57	4.40	3.82	3.34	**2011**	2.60	3.62	3.00	3.01
2012	3.63	4.41	3.83	3.38	**2012**	2.64	3.59	3.01	3.10
2013	3.38	4.23	3.79	3.57	**2013**	2.70	3.65	3.25	3.22
2014	3.28	4.19	3.76	3.73	**2014**	2.50	3.61	3.07	3.25
2015	3.30	4.22	3.74	3.72	**2015**	2.68	3.61	2.82	3.70
2016	3.22	4.13	3.61	3.35	**2016**	2.93	3.63	2.80	3.82
2017	2.96	4.16	3.50	2.65	**2017**	2.98	3.67	2.83	3.37
2018	3.15	4.40	3.55	2.90	**2018**	3.13	3.94	3.01	3.39
ყაზახეთი					ვიეტნამი				
	FEI	FII	IEI	III		FEI	FII	IEI	III

2008	3.65	4.22	3.52	3.70	**2008**	3.53	4.28	3.73	4.03
2009	3.67	4.20	3.62	3.64	**2009**	3.71	4.22	3.84	4.03
2010	3.47	4.05	3.64	3.63	**2010**	3.80	4.25	3.91	4.00
2011	3.38	4.16	3.55	3.62	**2011**	3.56	3.80	3.92	3.91
2012	3.41	4.28	3.41	3.61	**2012**	3.32	3.63	3.85	3.59
2013	3.91	4.77	3.79	3.86	**2013**	3.31	3.58	3.80	3.65
2014	4.00	4.81	3.95	4.11	**2014**	3.26	3.45	3.71	3.73
2015	3.87	4.58	3.89	4.27	**2015**	3.33	3.41	3.63	3.58
2016	4.04	4.64	4.09	4.24	**2016**	3.61	3.75	3.73	3.58
2017	4.15	4.56	4.22	4.13	**2017**	3.64	3.75	3.88	3.63
2018	3.87	4.67	3.97	3.96	**2018**	3.66	3.88	3.89	3.67

ყირგიზეთი				
	FEI	FII	IEI	III
2008	2.79	3.49	2.73	2.87
2009	2.94	3.66	2.99	3.06
2010	2.78	3.66	2.94	2.89
2011	2.81	4.01	2.91	2.87
2012	2.62	4.04	2.79	2.86
2013	2.58	4.12	2.85	2.76
2014	2.81	4.20	2.86	3.19
2015	3.00	4.15	2.97	3.66
2016	3.18	3.96	3.13	3.46
2017	3.32	3.98	3.24	3.39
2018	3.35	3.95	3.34	3.48